ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 იანვარი ოთხშაბათი 2013 №017 (13 933) ფასი 80 თეთრი

# არაბული: ჯერ დილა, მერე ფრანკფურტი?

## გორელებს ლიტველი ივანაუსკასი გაწვრთნის



ვალდას ივანაუსკასი



ბაჩანა არაბული (N10)

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ბაჩანა არაბული** „დუისბურგის" შემდეგ მორიგ მეორებუნდესლიგურ კლუბში, „ფრანკფურტში" გასინჯეს. როგორც „საბურთალოში" გვითხრეს, გერმანიაში ჩასულ კლუბის წარმომადგენელს, **გოჩა თამაზაშვილს** „ფრანკფურტმა" მოთამაშისთვის ბევრად უფრო მისაღები პირობები შესთავაზა და გუნდი, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში მე-8 ადგილზეა, მზადაა ქართველი თავდამსხმელი დაიმატოს.

თუმცა, ეს სავარაუდოდ ზაფხულში მოხდება, მანამდე კი, ბაჩანა საქართველოში დაბრუნდება და დროებით გორის „დილაში" ითამაშებს. ეს ამბავი მას შემდეგ გადაწყდა, რაც გორული კლუბის მთავარ მწვრთნელად **ვალდას ივანაუსკასი** დაინიშნა – ეს კიდევ ერთი სიახლეა. დიახ, **გიორგი დარასელიას** შემდეგ, „დილას" სწორედ ლიტვის ნაკრებისა და „ჰამბურგის" ყოფილი ვარსკვლავი გაწვრთნის.

რაც შეეხება ვალდას ივანაუსკასის სამწვრთნელო კარიერას: მუშაობდა იენის „კარლ ცაისში", ლიტვის 18-წლამდელთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში, ლიტვის კლუბებში „ბანგასა" და „შაულიაიში", შოტლანდიურ „ჰარტსსა" და აზერბაიჯანულ „სუმგაითში".

ლიტველი სპეციალისტი არაბულს კარგად იცნობს. ივანაუსკასი მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი კლუბის მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად განიხილებოდა და 18 წლის ქართველი თავდამსხმელის წაყვანას აპირებდა.

მერაბ მამულაშვილი

# მჭედლიძემ ემპოლისთან კონტრაქტი გააგრძელა



22 წლის **ლევან მჭედლიძემ** სერია B-ს „ემპოლისთან" ხელშეკრულება 2 სეზონით გაახანგრძლივა. ქართველი ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს უსრულდებოდა, მაგრამ კლუბმა მას და შეტევაში მის პარტნიორ **ფრანჩესკო ტავანოს** კონტრაქტები გაუგრძელა. სხვათა შორის, მჭედლიძემ და ტავანომ ახლახან სამოყვარულო გუნდთან სპარინგში 6-6 გოლი გაიტანეს.

ამ სეზონში ლევანმა 8 მატჩში მიიღო მონაწილეობა (მხოლოდ ერთხელ სასტარტოში) და გოლი არ გაუტანია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ოლიმპირველი



12

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



# რონალდინიო ბრაზილიის ნაკრებში ბრუნდება!

## სკოლარიმ ჟულიო სეზარი და ლუიშ ფაბიანოც დააფასა, კაკა ისევ თამაშგარეშია

5



# ავსტრალიის პირველი ნახევარფინალისტები

## კაცებში ჯოკოვიჩი და ფერერი, ქალებში ლი და შარაპოვა

16









ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

U17



ფოტო: www.gff.ge

# ქართველებმა მასპინძლებს შანსი არ დაუტოვეს

## ფინალში გასვლის შანსს ვინარჩუნებთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ტურის მატჩი გამართა და მასპინძელ ბელარუსს დამაჯერებლად, 2:0 სძლია. ანგარიში 32-ე წუთზე **ილია კერძევაძემ** გახსნა, ხოლო მეორე ბურთი 75-ე წუთზე **ლუკა ზარანდიამ** გაიტანა.

შეგახსენებთ, **გიორგი დევდარიანის** გუნდმა ტურნირი ბელგიასთან განცდილი დასანანი მარცხით (2:3) დაიწყო, რითაც ფინალში გასვლის შანსი მკვეთრად შეიმცირა. შეგახსენებთ, მინსკში ნახევარფინალები არ იმართება და ჯგუფების გამარჯვებულები ავტომატურად გადიან ფინალში.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ბელგიამ ლიტვა 1:0 დაამარცხა, რის შემდეგაც ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. ლიტვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

ფინალში გასასვლელად საქართველოს ნაკრებს ლიტვის რაც შეიძლება დიდი ანგარიშით დამარცხება და ბელარუსის მიერ ბელგიის ძლევა სჭირდება. ჯგუფური ეტაპი ხვალ დასრულდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# კობიაშვილი ბაიერნის დუბლებს დაუზავდა

## სირბილაძე თასზე კვლავ ვერ იგებს

ბერლინის "ჰერტა" ტესტმატჩში მიუნხენის "ბაიერნის" მეორე გუნდს 2:2 დაუზავდა. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, **ლევან კობიაშვილი** კი მოედანზე მე-15 წუთზე, ტრავმირებული თანაგუნდელის, **პეტერ ნიმაიერის** ნაცვლად შევიდა. ვეტერანმა ქართველმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. ყველა გოლი კობიაშვილის თამაშში ჩართვის შემდეგ გავიდა.

მეორე ბუნდესლიგა 1 თებერვალს განახლდება, "ჰერტა" კი მეორე ადგილზეა და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შესანიშნავი შანსი აქვს. შესაბამისად, კობისაც აქვს იმის შანსი, რომ პირველ ბუნდესლიგაში ლეგიონერთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობით პერუელ **კლაუდიო პისაროს** გადაუსწროს და ამ საპატიო რეიტინგს სათავეში ჩაუდგეს.

ფინეთის ლიგის თასზე **ირაკლი სირბილაძის** "ინტერ ტურკუმ" "ლაჰტის" უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა. ქართველმა თავდამსხმელმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. ცნობისთვის, ფინეთის ლიგის თასზე პლეი ოფებამდე ჯგუფური ეტაპი იმართება და ეს შეხვედრა სწორედ ამ ეგიდით გაიმართა. ორ ტურში "ინტერს" მხოლოდ ერთი ქულა აქვს.

**გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილი აზერბაიჯანული "სიმურგი" საკონტროლო შეხვედრაში ბულგარულ ცსკა-ს დაუზავდა – 3:3. "ამ მატჩში რამდენიმე სავარაუდო ახალწვეული გამოვცადე და ამ მხრივ თამაშმა თავისი ფუნქცია აბსოლუტურად შეასრულა. ჩემმა გუნდმა თავი ნორმალურად წარმოაჩინა", - განაცხადა ნამატჩევს ჩიხრაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სამზადისი

# სამტრედიამ ტორპედოს მოუგო

გუშინ ქუთაისის "ტორპედომ" მიმდინარე მოსამზადებელ ეტაპზე პირველი ამხანაგური მატჩი "სამტრედიასთან" ჩაატარა. შეხვედრა ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა.

სტუმრებმა, რომლებიც პირველ ლიგაში თამაშობენ, პირველივე ტაიმში ქუთაისელთა კარი ორჯერ აიღეს. თავი ჯერ **თამაზ კიკაბიძემ** გამოიჩინა, შემდეგ - **ნიკა ჩიხლაძემ**. საბოლოოდ, "სამტრედიამ" 2:0 გაიმარჯვა.

**„ტორპედო": მიგინეიშვილი (60 კუპატაძე), რიგვავა, ზ. ჭელიძე (46. სანდოხაძე), ცინცაძე (60. მამასახლისი), გ. გურული (46. ტაბატაძე) - ფირცხალავა (46. გიგაური), ვ. ბოლქვაძე (60. კუხიანიძე) - დოლიძე (46. მარკოზაშვილი), ე. გრიგალაშვილი (46. საბანაძე), ტულუში (46. ფანცულაია) - ვ. კვარაცხელია (46. ბერიაშვილი).**

ტორპედოელთა შემადგენლობაში არ გამოჩენილა გორის "დილადან" ახლახან დამატებული 29 წლის ცენტრალური მცველი **გიორგი ონიანი**. სამაგიეროდ, ითამაშა მეორე ახალწვეულმა, ასევე ცენტრალურმა მცველმა **ბიძინა ცინცაძემ**.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას "ტორპედო" 26 მაისს ქუთაისში ასევე პირველლიგელ "გაგრასთან" გამართავს.

ფუტსალი



# საქართველო მალტაზე გაემგზავრა

გუშინ, საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები მალტაზე გაემგზავრა, სადაც 23-25 იანვარს ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრებს ჩაატარებს.

**ავთანდილ ასათიანისა და ბესიკ არველაძის** გაწვრთნილები მალტაში ორ მატჩს გამართავენ: პაოლაში, "ჰიბერნიანსის" დარბაზში 23 იანვარს — მასპინძლებთან, ხოლო 24 იანვარს — მოლდოვასთან.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ფინალური ეტაპი 2014 წელს ბელგიაში, ანტვერპენში 28 იანვრიდან - 8 თებერვლამდე გაიმართება. ფინალურ ეტაპზე მასპინძელი ბელგია უკონკურსოდ ითამაშებს. დანარჩენთა ვინაობა საკმაოდ რთული შეჯიბრების შედეგად გაირკვევა: 44 გუნდიდან 22 მონაწილე 6 ჯგუფში განაწილდა, საიდანაც შემდეგ ეტაპზე ბრძოლას მხოლოდ გამარჯვებულები აგრძელებენ.

წინასწარი ეტაპის გამარჯვებულები დანარჩენ 22 გუნდთან ერთად შვიდ ჯგუფს ჩამოაყალიბებენ და ესპანეთში, იტალიაში, სერბეთში, სლოვაკეთში, ჰოლანდიაში, თურქეთსა და ლატვიაში 27-30 მარტს გასამართ ძირითადი ეტაპის ჯგუფურ ტურნირებში ფინალისტებს გამოავლენენ. საქართველომ მალტაზე გასამართი შესარჩევი ეტაპი თუ დასძლია, ძირითად ეტაპზე ჩეხეთს, ბელარუსსა და ჰოლანდიას შეხვდება – ტურნირს კი ეს უკანასკნელი უმასპინძლებს.

ევრო-2014-ზე სულ 16 გუნდი ითამაშებს: შვიდივე ჯგუფის გამარჯვებული და მეორეადგილოსანი, პლუს მასპინძელი ბელგია და საუკეთესო მესამეადგილოსანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ბლიც-ინტერვიუ. ჯანო ანანიძე

# ფეხბურთი საშინლად მომენატრა

**მოსკოვის „სპარტაკის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ჯანო ანანიძესთან მცირე ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.**



ჯანო ანანიძე

**- სად ისვენებდით?**

- თითქმის მთელი შვებულება სახლში გავატარე, ორი კვირა თბილისში რეაბილიტაციის კურსს გავდიოდი, დანარჩენი დრო კი ქობულეთში ვიყავი.

**- ამინდმა თუ გაგიმართლათ?**

- დიახ, ძალიან კარგი ამინდი იყო, საახალწლოდ მზე და +15-16 გრადუსი იყო. მოკლედ, კარგად დავისვენე, ძალებიც აღვიდგინე საფეხბურთო სეზონის გასაგრძელებლად.

**- როგორ არის ნაოპერაციევი მუხლი?**

- ჯერჯერობით ხელს არაფერში მიშლის. პირველ ვარჯიშებზე ნორმალურად დავიტვირთე.

**- დაიღალეთ?**

- ცოტა დავიღალე, მაგრამ ეს სასიამოვნო შეგრძნებაა. ძალიან მომენატრა ფეხბურთი და ბურთი. ტრავმის ჩათვლით, ბურთს 2 თვე არ შევხებივარ! შვებულების პერიოდში ექიმებმა სასტიკად ამიკრძალეს ბურთთან მიკარება, მხოლოდ კუნთებს ვავარჯიშებდი. დღეს მანეჟში, როგორც იქნა, ბურთს ცოტა ხნით გავეთამაშე, თუმცა „კვადრატებში" შესვლა ამიკრძალეს. არა უშავს, ცოტასაც მოვითმენ.

**- თქვენთვის გასული წელი ძალიან რთული გამოდგა, რას ელით ახალი წლისგან?**

- ყველაზე მთავარია, ტრავმები აღარ მივიღო. ძალიან მინდა რეგულარულად ვითამაშო სასტარტო შემადგენლობაში და „სპარტაკს" სარგებელი მოვუტანო. ამისთვის თავს არ დავზოგავ. რა გამოვა, ვნახოთ".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# გია გრიგალავა ვოლგაში რჩება

## ამისულაშვილი კრილიას თურქეთში შეუერთდა

გუშინ, რუსულმა ინტერნეტ-პორტალმა „სპორტ-ბოქსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრების წევრები **ალექსანდრე ამისულაშვილი** და **გია გრიგალავა** სამარის „კრილია სოვეტოვში" გადადიან.

შეგახსენებთ, რომ მცირე ხნის წინ გავრცელდა ცნობა, თითქოს, 30 წლის ამისულაშვილმა ვლადიკავკაზის "ალანიასთან" კონტრაქტი გააფორმა.

ამისულაშვილის ოჯახში გვითხრეს, რომ "ალანიასთან" კონტარქტის გაფორმებაზე გავრცელებული ცნობა სიმართლეს არ შეეფერებოდა. რად მთავარია, დაგვიდასტურეს, რომ ალეკო გუშინ მართლაც თურქეთში გადაფრინდა და "კრილია სოვეტოვს" შეუერთდა.

რაც შეეხება 23 წლის გრიგალავას, ის ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" (19 მატჩი, 1 გოლი) თამაშობდა. „სპორტ-ბოქსის" ცნობით, ორივე მათგანი თურქეთში, შეკრებაზე შეუერთდება „კრილია სოვეტოვს", რომელიც 16-გუნდიან რუსულ პრემიერლიგაში 16 ქულით მე-14 ადგილზეა.

თუმცა, გრიგალავას ოჯახში გიას გადასვლაზე გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს. როგორც გვითხრეს, სამარელების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "კრილიაში" გიას მართლაც იწვევდნენ. კლუბის ახალ მთავარ მწვრთნელად **გაჯი გაჯიევი** დანიშნეს, რომელიც პირველ წრეში გრიგალავას "ვოლგაში" ავარჯიშებდა. გაჯიევს ნიჟნიდან გიასა და ალექსანდრ ბელოზეროვის წაყვანა სურდა, თანაც სამარელები ქართველ მცველს "ვოლგაზე" ბევრად უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ გია გრიგალავას არა მხოლოდ "კრილია სოვეტოვი", არამედ საბერძნეთის სუპერლიგის მეორეადგილოსანი, სალონიკის პაოკ-ი, თურქეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატის კლუბები იწვევდნენ.

გრიგალავამ ამ ყველაფერზე უარი თქვა, რადგან ნიჟნელებთან კონტრაქტი 2013 წლის მაისში, ანუ სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება და ახლა კლუბის შეცვლა მიზანშეუწონლად ჩათვალა.

გადასვლა არც მისმა აგენტმა **გერმან ტკაჩენკომ** ურჩია, რომელიც ზაფხულში, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ძლიერ კლუბში სოლიდურ კონტრაქტს ჰპირდება. მოკლედ, გია გრიგალავა სამმაგ ხელფასს უკეთესი მომავლის იმედად არ დახარბდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# დიდად გასაკვირი არაფერია

## კიდევ ერთი უცნაური ნოვაცია

ნულოვანი ტოლერანტობა მოდაში აღარ არის. ყველაფერს თავის დრო, დასაწყისი და დასასრული აქვს. ტოლერანტობას კი ზომიერება სჭირდება, როცა ამაზე მიდიხარ, ყველაფერი კარგად ნაფიქრ-გათვლილი უნდა გქონდეს, თორემ ტოლერანტობით მხოლოდ თავის მოწონება საქმეს ვერ წაადგება.

ფეხბურთის ფედერაციაში ასეთი რამე გავიგე - მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე დაგროვილი ყვითელ-წითელ ბარათები ფეხბურთელებს მეორე ეტაპზე ანულირებული აქვთ.

ამ ყველაფერმა ძალაუნებურად წინა სეზონი გამახსენა, როცა პირველი ეტაპის შემდეგ გუნდებს ქულები გაუნახევრდათ, ანუ მონაგარი მთლიანად არ გადმოჰყვათ პლეი ოფსა თუ პლეი აუტში. წინა სეზონი კარგად ვერ დამთავრდა, სკანდალების და უხერხულობების მონელება მოუხდა ფეხბურთის ფედერაციას.

ყვითელ-წითელი ბარათების ჩამოჭრა კი ნოვაციას ჰგავს, ოღონდაც რას ემსახურება ასეთი სიახლე?

გამოდის, რომ მსაჯები სულ ტყუილად აფრიალებდნენ ბარათებს სეზონის პირველ ეტაპზე. ასეთი ტიპის ამნისტიას საფუძვლად რა უდევს, ძნელი სათქმელია.

ფედერაცია ასეთ უცნაურ ნოვაციაზე კლუბებთან კონსულტაციის გარეშე არ დაფიქრდებოდა. კარგია, რომ ფედერაციასა და კლუბებს შორის მჭიდრო, გამჭვირვალე ურთიერთობა ყალიბდება, ოღონდაც ეს თუ იმისთვის ხდება, რომ ყველა უცნაურ გადაწყვეტილებაზე ყვირილი არავინ დაიწყოს, ვერ მოსვლიათ კარგი საქმე.

მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს „ზესტაფონის“ ფეხბურთელები რომ გაიფიცნენ, ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებთან საუბრის შემდეგ უმაღლესი ლიგის კალენდარი შეცვალა. საფეხბურთო სამყარო გაგებით რომ მოეკიდა „ზესტაფონის“ პრობლემას, გასაგებია, მაგრამ ხვალ სხვა გუნდის ფეხბურთელები თუ გაიფიცებიან, კალენდარი წარამარა უნდა შეიცვალოს?



ყვითელ-წითელი ბარათების განულებაც ძალიან უხერხული რამეა. მომდევნო სეზონშიც იგივე უნდა მოხდეს? ეს წესად უნდა დადგინდეს?

ერთი სიტყვით, კითხვები გაჩნდა, ნოვაციის შემოღების არგუმენტები კი ჯერ არ ჩანს.

■ ■ ■

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი პირადი განცხადების საფუძველზე სამმა წევრმა დატოვა: **გიორგი აბესალაშვილმა, ლადო ვარძელაშვილმა და დავით ნამგალაურმა.**

შევიტყვეთ, რომ აბესალაშვილის ადგილს იმერეთის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელი **ვალერი მანაგაძე** დაიკავებს, აბესალაშვილიც ფედერაციის იმავე სუბიექტიდან იყო წარდგენილი. ვაკანტური რჩება ორი ადგილი.

ვარძელაშვილი და ნამგალაური წინა ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ აღმასკომში მათ ნაცვლად ის ბიზნესმენები მოხვდებიან, საკუთარ ფულს რომ ხარჯავენ საფეხბურთო კლუბისთვის.

პროცედურა მარტივია: ფედერაციის სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა უნდა შესთავაზოს აღმასკომს და ეს ორგანოც ხმათა უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასკომში წევრების ვაკანსიის შესავსებად ფედერაციის ყრილობის გამართვა აუცილებელი არ არის.

აღმასკომში გონებაგახსნილი, აქტიური ხალხი ძალიან საჭიროა. აღმასკომს ბევრი შეუძლია, აღმასკომის წევრობა უკვე ის ტრიბუნაა, საიდანაც უფრო ხმამაღლა, უფრო ეფექტურად შეიძლება პოზიციის დაფიქსირება.

არა მგონია, რომ დღესაც ძალადობრივი გზით მოხდეს ფედერაციის აღმასკომის ჩამოყალიბება. თუნდაც ორი ახალი წევრი აღმასკომს მნიშვნელოვნად გამოაკეთებს და უცნაურ იდეებს მხარს არ დაუჭერს.

ფეხბურთის ფედერაციის ამ თუ უწინდელ შემადგენლობას ბევრი ცუდი ვერდიქტი აქვს გამოტანილი. ეს საქართველოა, სხვანაირად ვერ გამოვიდოდა - ისინი და მათი მხარდამჭერები კულუარულ საუბრებში ასეთნაირად იმართლებდნენ თავს.

ერთი ქართული კლუბის პრეზიდენტმა მითხრა: კაცი რომ კაცს კლავს, რაიმე გამართლებას ამაშიც გამოძებნის, მაგრამ განა ეგ საქმეა?

მასეა, რალაცის რალაცით გამართლება ყოველთვის მოხერხდება, ოღონდაც ცუდ საქმეს კარგი შედეგი არ მოჰყვება...

■ ■ ■

**...გიორგი მეგრელაძე** 15-16 წლის იყო, წყალტუბოს „სამგურალში“ რომ თამაშობდა და გოლები გაჰქონდა. მერე ქუთაისის „ტორპედოში“ გადავიდა, მეგოლე თავდამსხმელად ჩამოყალიბდა. მამამისი, **მერაბ მეგრელაძე** ნამდვილი გოლეადორი იყო, მას მთელ საბჭოთა კავშირში იცნობდნენ, ნიჭი შვილზე გადავიდა.

გიორგი მეგრელაძეც მეგოლედ არის დაბადებული. ეს ან გაქვს, ან არ გაქვს, ამის ვარჯიშითა და შრომით შექმნა შეუძლებელია - უმცროს მეგრელაძესაც ასეთი ნიჭი აღმოაჩნდა. მას ბევრი სასწაული ბურთი აქვს გატანილი, ისეთი პოზიციიდან დაულაშქრავს კარი, რომ ამას მხოლოდ ის თუ მოახერხებდა. ასეთი მეგოლეები ფეხბურთს ალამაზებენ, მოულოდნელობის ფაქტორს ამძაფრებენ, ქმნიან იმას, რაც ყველაზე მთავარია ფეხბურთში - გოლი.

გიორგი მეგრელაძემ რამდენიმე უცხოური გუნდი გამოიცვალა, მაგრამ საზღვარგარეთ ვერ გაიბრწყინა. ის საქართველოში ბრუნდებოდა, გაიტანდა გოლებს და მერე ისევ სხვა ქვეყანაში გადაბარგდებოდა.

ერთხელ ყაზახურ „უეტისუში“ წავიდა, საქართველოში ჩამოსულს წონა ისე მოემატებინა, რომ მუცელი წამოზრდილი ჰქონდა, ასეთ კონდიციაში „ბორჯომში“ მივიდა და გოლების გატანა ხელახლა დაიწყო, მუცელწამოზრდილი მეგრელაძე სხვა თავდამსხმელებზე ერთი თავით მაღლა დადგა...

ცხოვრებისეული ფათერაკებიც არ აკლდა, საგოლე ალლო კი არასდროს დაუკარგავს, ფეხბურთი „დინამო თბილისშიც“ კარგად ითამაშა, გოლები „დინამოსთვისაც“ გაიტანა.

ორი წელი ისე გავიდა, მის ფეხბურთელობაზე არაფერი გამეგო, მაგრამ თურმე რა ხდება - გიორგი მეგრელაძე ისევ აპირებს მოედანზე გასვლას და გოლების გატანას, ამ საქმეს მარტვილის „მერანისთვის“ ეშურება.

გიორგი 34 წლისაა, მამამისმა კი ფეხბურთელობას თავი 43 წლისამ დაანება. ასე რომ, გიორგის დაბრუნებაში დიდად საკვირველი არაფერია.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

### სოსო ფილია:

# კოლხეთს საკუთარ ბაზას აუშენებენ

## სამწლიანი პროგრამა და აფრიკელები ფოთელებისთვის

**ორიოდე დღის წინ "ლელოში" უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის ბიუჯეტი გამოქვეყნდა. აღმოაჩინეთ, რომ ლიგის ყველაზე ღარიბი კლუბი ფოთის "კოლხეთი 1913" იყო, რომელიც წლეულს დაარსებიდან 100-წლის იუბილეს აღნიშნავს.**

**2013 წლისთვის ფოთის მუნიციპალიტეტმა "კოლხეთს" 300 ათასი ლარი გამოუყო. ასეთმა მწირმა დაფინანსებამ ჩვენი გაოცება გამოიწვია. ცხადია, ეს თანხა მთელი წელი გუნდსაც არ ეყოფა. თანაც, წლეულს ფოთის "კოლხეთის" იუბილეა.**

**საერთოდაც, ქართული ფეხბურთის აკვანი სავალალო მდგომარეობაშია, "კოლხეთის" თავკაცები წლიდანწლამდე არასტაბილურ გარემოში მუშაობენ: სულ გაურკვევლობაში არიან, დააფინანსებენ თუ არა კლუბს და თანხმობის შემთხვევაში, მწირ თანხას იღებდნენ. შედეგი სახეზეა – საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საფეხბურთო ქალაქის პოტენციალი მხოლოდ მცირედით არის ათვისებული.**

**ამ ყველაფერის ფონზე, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ დამაიმედებელი ამბები გვაცნობა:**

- დიახ, "კოლხეთის" ბიუჯეტი 300 ათასი ლარი იქნება, მაგრამ ეს არის არა წლიური ბიუჯეტი, არამედ მაისამდე დასარიცხი თანხა. ჩვენ ძალიან დაგვაიმედა ფეხბურთით ქალაქის მმართველთა დაინტერესებამ. შობის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელი დაგვიბარეს ფოთის მერიისა და საკრებულოს ერთობლივ სხდომაზე, სადაც მხოლოდ "კოლხეთის" მომავალსა და ფოთში ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე ვილაპარაკეთ.

წინასწარ გეტყვით, რომ ლაპარაკი იყო არა მხოლოდ კლუბის წლევანდელ დაფინანსებაზე, არამედ, რა ვუშველოთ კლუბს, რომელსაც აშკარად დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ დღემდე ამ რესურსს ვერ ვიყენებთ.

**- დავაკონკრეტოთ, კლუბის დაფინანსებაზე რა გადაწყდა?**

- 300 ათასი წლის ბოლომდე უნდა ვიმყოფინოთ. მაგრამ მერიასა და საკრებულოში უკვე ზრუნავენ, რომ მომავალი სეზონისთვის მინიმუმ 1,5 მილიონლარიანი ბიუჯეტი გვქონდეს.

**- ამ თანხას ვინ გამოყოფს?**

- აწარმოებენ მოლაპარაკებებს ინვესტორებთან, შესაძლოა, კლუბს პორტი დაეხმაროს. საკითხი ასე დგას: ჩვენ გვჭირდება არა ერთწლიანი ამოცანების შესრულება, არამედ, მინიმუმ, "კოლხეთის" განვითარების სამწლიანი პროგრამა და შესაბამისი დაფინანსება, ან დაფინანსების გარანტია. საკადრო საკითხებზე მერე ვიტყვი, ახლა კი ჩანაფიქრს მოკლედ ავხსნი: საჭიროა ახალგაზრდული გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც წლეულს უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, მეორე წელს შეთამაშდება და მოღონიერდება, მესამე წელს კი სერიოზული ამოცანების გადასაჭრელად იბრძოლებს. თუ მიზანმიმართული გეგმა არ გვექნება, ყოველწლიური ამოცანის გადაწყვეტით "კოლხეთი" გულშემატკივრის გულს ვერასოდეს მოიგებს.

მე ის მახარებს, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენზე არანაკლებ ესმით და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. სხვათა შორის, კიდევ შევხვდით და სხვა საკითხებზეც დავილაპარაკეთ.

**- მაგალითად?**

- ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე. როგორც საწვავის გარეშე ვერ გაფრინდება თვითმფრინავი, ასევეა კლუბი, რომლის "საწვავიც" სავარჯიშო პირობებია: თუ ეს პირობები არ გააჩნია, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს. ჩვენ სავარჯიშოდ ურეკში დავდივართ, 30 კილომეტრი იქითაქეთ ყოველდღე სასიამოვნო ნამდვილად არ არის, დისკომფორტს გვიქმნის. საქმე ისაა, რომ ფოთში კარგი სავარჯიშო მოედანი არ გვაქვს, აღარაფერს ვამბობ კლუბის ბაზაზე, რაც ჩვენთვის დღემდე ოცნებად რჩება.

**- ბაზის მშენებლობას დიდძალი თანხა დასჭირდება და ამ ფულს საიდან მოიტანთ?**

- მგონია, ახლა საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა. ქალაქის მერიასა და საკრებულოში სურთ, რომ კლუბისთვის თანამედროვე ბაზა ააშენონ, სადაც იქნება 2 ბუნებრივი მოედანი, ერთიც – ხელოვნურსაფრიანი, შენობა 30 ოთახით, ტრენაჟორების დარბაზი, აღდგენითი და სამედიცინო ცენტრები, კვების ბლოკი, აუზი. საამისოდ, ფოთთან ახლოს ან თავად ქალაქში 5 ჰექტარ მიწას ეძებენ, ერთხელ და სამუდამოდ "კოლხეთს" ბაზის პრობლემა რომ მოუგვარონ. სხვაგვარად არც ჩემს და არც სხვა მწვრთნელის მუშაობას აზრი არ ექნება.

გარდა ამისა, ლაპარაკია საფეხბურთო სკოლის შემოერთებაზე, რომელიც კლუბისთვის იმუშავებს – მცირე სტადიონის მოწყობა ამისთვისაც იგეგმება.



**- სტადიონის მშენებლობა განახლდება?**

- სტადიონზე მშვენიერი საფარია, მაგრამ თითქმის ყველა სხვა საკითხი მოსაწესრიგებელია. ნორმალური გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები არ გვაქვს. ეს პრობლემები სწრაფად უნდა მოვაგვაროთ, ფოთში სტუმრები რომ მივილოთ და ფედერაციამ თამაშის უფლება დაგვრთოს. საერთოდ, ჩემი აზრით, თუ კეთდება, კარგი და მასშტაბური პროექტი უნდა შედგეს, თანამედროვე სტადიონი ფოთშიც რომ გვქონდეს, სადაც საერთაშორისო შეხვედრებსაც თამამად ვუმასპინძლებთ. სხვადასხვა ვარიანტი განვიხილეთ და ვფიქრობ, ფოთს 10 ათასზე ნაკლები ტევადობის სტადიონი არ შეეფერება.

**- ეს საკითხები როდის გადაწყდება?**

- ფოთის მერი დავით სარსანია და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა ისეთი დაინტერესებულები არიან, მგონია, რომ მნიშვნელოვან საფეხბურთო პროექტებს ფოთში მალე განახორციელებენ. კონკრეტულ ამბავსაც გეტყვით: დავით ხომერიკი ფოთის ვიცემერია და სპორტისა და კულტურის საკითხებს კურირებს. სხვათა შორის, ჩემი ფეხბურთელი იყო და 18 წლამდე "კოლხეთში" თამაშობდა, ის საფეხბურთო ნიუანსებში კარგად ერკვევა და ვიცი, რომ უახლოეს პერიოდში თბილისში იმ კომპანიებს უნდა შეხვდეს, რომლებიც სტადიონების დაპროექტებაზე მუშაობენ.

**- ეს ყველაფერი ფოთის "კოლხეთის" 100 წლის იუბილემ გამოიწვია?**

- იუბილემაც და კლუბის საჭიროებამაც. ადრე თუ გვიან ხომ უნდა მოვიფიქროთ გამოსავალი. ეს კი სწორედ ის მიდგომაა, რაც კლუბს სჭირდება. მერე "კოლხეთს" ფილია გაწვრთნის თუ სხვა ვინმე, წელში გამართულ და ძლიერი გუნდს ჩაიბარებს. ფოთში თანამედროვე სტადიონის აშენება ჯერ კიდევ 17 წლის წინათ, პორტის ყოფილ ხელმძღვანელს, ვალერი გეგიძეს სურდა, პროექტიც შეუკვეთა, რომლის პრეზენტაციაც შედგა, მაგრამ ქვეყანა აირია და ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა. მიმაჩნია, რომ ახლა ქვეყანა ამ პროექტის განხორციელებისთვის მზადაა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნებაც არსებობს.

**- რაც შეეხება საკადრო საკითხებს?**

- მეორე წრიდან გუნდში, სულ მცირე, 3/4 ადგილობრივი უნდა იყოს. ბოლო ტურებში, როდესაც "კოლხეთიდან" 11 მოთამაშე გავუშვით, "დილასთან" და "ვიტ ჯორჯიასთან", ძირითადად, ადგილობრივები ვათამაშეთ და მათ თავი ჩინებულად გამოავლინეს.

პირველი წრის შემადგენლობიდან კი მხოლოდ 6 მოთამაშე დავიტოვეთ – ბუბუტეიშვილი, ფარულავა, მოსიაშვილი, ხარშილაძე, კრასოვსკი და კვანტალიანი, ახლახან, ზამირ ჯანაშიაც დაგვიბრუნდა. სხვა ყველა ადგილობრივია და მჯერა, მალე ისინი დიდ დონეზე ითამაშებენ.

**- სეზონისთვის მზადება თუ დაიწყეთ?**

- ვარჯიში 10 იანვარს განვაახლეთ. ჩვენს განკარგულებაში ამჯერად 32 ფეხბურთელია და ბევრს კიდევ ვაკვირდებით. მაგალითად, ახლახან ორი აფრიკელი ჩამოვიდა, ნიგერიელი შემტევი ნახევარმცველი, ბობო და კოტ დივუარელი თავდამსხმელი, ბაჩუ. შესაძლოა, კიდევ რამდენიმე მოთამაშე დავიმატოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. შესარჩევი ტურნირების სტატისტიკა

# მეათე ცდა და ათი შესარჩევის მონაწილეები

საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე ოც წელზე მეტია, რაც არსებობს, ხოლო მის მიერ ჩატარებული პირველი ოფიციალური მატჩიდან წელს 19 წელი სრულდება. ამ დროის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის უმთავრესმა საფეხბურთო გუნდმა 10-ჯერ იასპარეზა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ერთხელაც ვერ გავიდა. "ლელო" ყოველწლიურად გთავაზობთ საქართველოს ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელების მონაგარის შეჯამებას, სადაც მხოლოდ შესარჩევი შეხვედრების მონაცემებია შეტანილი. აქვე გაეცნობით ნაკრების მწვრთნელთა მიერ ნაჩვენებ შედეგებსაც.

სანამ ამ სტატისტიკას გაეცნობით, რამდენიმე საინტერესო ფაქტს გავუსვათ ხაზი:

- ოფიციალურ შეხვედრებში საქართველოს ღირსება 129 ფეხბურთელს დაუცავს;
- ოფიციალურ მატჩებში ჩვენი ეროვნული ნაკრები 12 მწვრთნელს გაუყვანია;
- ერთზე მეტ შესარჩევ ტურნირში ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანს, კლაუს ტოპმიოლერსა და თემურ ქეცბაიას უმუშავიათ;
- თავიდან ბოლომდე მთელი ციკლი ჩივაძეს, ტოპმიოლერს, ექტორ რაულ კუპერსა და ქეცბაიას ჩაუმთავრებიათ;
- ქეცბაია საქართველოს ნაკრების პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც მისი მთავარი მწვრთნელი გახდა;
- საუკეთესო ბომბარდირობას შოთა არველაძეს კიდევ დიდხანს ვერავინ შეეცილება;
- ოფიციალური მატჩების რაოდენობაში ლევან კობიაშვილს მოცილე ასევე დიდხანს არ ეყოლება. მეორეადგილოსანმა კახა კალაძემ საფეხბურთო კარიერა შარშან დაასრულა, ხოლო მესამეადგილოსან ზურაბ ხიზანიშვილს ნაკრების ბოლო მატჩებში არ უთამაშია;
- ყველაზე მეტ, რვა შესარჩევ ციკლში მონაწილეობა კობიაშვილმა, კალაძემ და ხიზანიშვილმა მიიღეს.

## მწვრთნელები

| ალექსანდრე ჩივაძე (1-2-4-5) | | |
|---|---|---|
| შ | მოლდოვა | 0:1 |
| ს | ბულგარეთი | 0:2 |
| შ | უელსი | 5:0 |
| ს | ალბანეთი | 1:0 |
| შ | გერმანია | 0:2 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უელსი | 1:0 |
| ს | გერმანია | 1:4 |
| შ | ბულგარეთი | 2:1 |
| ს | მოლდოვა | 2:3 |
| ს | იტალია | 0:1 |
| შ | ინგლისი | 0:2 |
| შ | უნგრეთი | 3:1 |
| შ | ლიტვა | 2:0 |
| ს | რუმინეთი | 1:1 |
| ს | შვეიცარია | 1:4 |
| შ | ირლანდია | 1:2 |
| შ | შვეიცარია | 0:0 |

18 თამაში, 7 მოგება, 2 ფრე
9 წაგება, ბურთები 18-24
საშუალოდ 1.27 ქულა თამაში

| დავით ყიფიანი (2) | | |
|---|---|---|
| ს | ინგლისი | 0:2 |
| შ | მოლდოვა | 2:0 |
| ს | პოლონეთი | 1:4 |
| შ | იტალია | 0:0 |
| ს | მოლდოვა | 1:0 |
| შ | პოლონეთი | 3:0 |

6 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე
2 წაგება, ბურთები 7-6
საშუალოდ 1.66 ქულა თამაში

| ვლადიმერ გუცაევი (3) | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 1:0 |
| ს | ლატვია | 0:1 |
| ს | საბერძნეთი | 0:3 |
| შ | სლოვენია | 1:1 |
| შ | ნორვეგია | 1:4 |

5 თამაში, 1 მოგება, 1 ფრე
3 წაგება, ბურთები 3-9
საშუალოდ 0.80 ქულა თამაში

| იოჰან ბოსკამპი (3) | | |
|---|---|---|
| ს | ნორვეგია | 0:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |
| ს | სლოვენია | 1:2 |
| შ | ლატვია | 2:2 |
| ს | ალბანეთი | 1:2 |

5 თამაში, 0 მოგება, 1 ფრე
4 წაგება, ბურთები 5-9
საშუალოდ 0.2 ქულა თამაში

| დავით ყიფიანი - რევაზ ძოძუაშვილი (4) | | |
|---|---|---|
| ს | ლიტვა | 4:0 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | რუმინეთი | 0:2 |
| შ | იტალია | 1:2 |
| ს | უნგრეთი | 1:4 |

5 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე
4 წაგება, ბურთები 6-10
საშუალოდ 0.6 ქულა თამაში

| ივო შუშაკი (5) | | |
|---|---|---|
| შ | რუსეთი | 1:0 |
| ს | ირლანდია | 0:2 |

2 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე
1 წაგება, ბურთები 1-2
საშუალოდ 1.5 ქულა თამაში

| მერაბ ჟორდანია (5) | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 3:0 |
| ს | ალბანეთი | 1:3 |
| ს | რუსეთი | 1:3 |

3 თამაში, 1 მოგება, 0 ფრე
2 წაგება, ბურთები 5-6
საშუალოდ 1 ქულა თამაში

| ალენ ჟირესი (6) | | |
|---|---|---|
| ს | თურქეთი | 1:1 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უკრაინა | 0:2 |
| შ | დანია | 2:2 |
| შ | საბერძნეთი | 1:3 |
| შ | თურქეთი | 2:5 |
| ს | ალბანეთი | 2:3 |

7 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე
4 წაგება, ბურთები 10-16
საშუალოდ 0.71 ქულა თამაში

| გაიოზ დარსაძე (6) | | |
|---|---|---|
| ს | ყაზახეთი | 2:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | დანია | 1:6 |
| შ | ყაზახეთი | 0:0 |
| ს | საბერძნეთი | 0:1 |

5 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე
2 წაგება, ბურთები 5-9
საშუალოდ 1 ქულა თამაში

| კლაუს ტოპმიოლერი (7) | | |
|---|---|---|
| ს | ფარერები | 6:0 |
| შ | საფრანგეთი | 0:3 |
| ს | უკრაინა | 2:3 |
| შ | იტალია | 1:3 |
| ს | შოტლანდია | 1:2 |
| შ | ფარერები | 3:1 |
| ს | ლიტვა | 0:1 |
| ს | საფრანგეთი | 0:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | შოტლანდია | 2:0 |
| შ | ლიტვა | 0:2 |

12 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე
8 წაგება, ბურთები 16-19
საშუალოდ 0.83 ქულა თამაში



საქართველოს ნაკრებმა საშუალოდ ყველაზე მეტი ქულა დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით მოიპოვა

| ექტორ კუპერი (8) | | |
|---|---|---|
| შ | ირლანდია | 1:2 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | კვიპროსი | 1:1 |
| შ | ბულგარეთი | 0:0 |
| ს | ირლანდია | 1:2 |
| ს | კვიპროსი | 1:2 |
| შ | ჩერნოგორია | 0:0 |
| შ | იტალია | 0:2 |
| ს | ჩერნოგორია | 1:2 |
| ს | ბულგარეთი | 2:6 |

10 თამაში, 0 მოგება, 3 ფრე,
7 წაგება, ბურთები 7-19
საშუალოდ 0.3 ქულა თამაში

| თემურ ქეცბაია (9-10) | | |
|---|---|---|
| ს | საბერძნეთი | 1:1 |
| შ | ისრაელი | 0:0 |
| შ | მალტა | 1:0 |
| ს | ლატვია | 1:1 |
| შ | ხორვატია | 1:0 |
| ს | ისრაელი | 0:1 |
| ს | ხორვატია | 1:2 |
| შ | ლატვია | 0:1 |
| ს | მალტა | 1:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |
| შ | ბელარუსი | 1:0 |
| შ | ესპანეთი | 0:1 |
| ს | ფინეთი | 1:1 |
| ს | ბელარუსი | 0:2 |

14 თამაში, 3 მოგება, 5 ფრე
6 წაგება, ბურთები 9-13
საშუალოდ 1 ქულა თამაში

| მწვრთნელთა რეიტინგი ქულათა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით | |
|---|---|
| 1. დავით ყიფიანი | 1.66 |
| 2. ივო შუშაკი | 1.5 |
| 3. ალექსანდრე ჩივაძე | 1.27 |
| 4-6. თემურ ქეცბაია | 1 |
| გაიოზ დარსაძე | 1 |
| მერაბ ჟორდანია | 1 |
| 7. კლაუს ტოპმიოლერი | 0.83 |
| 8. ვლადიმერ გუცაევი | 0.8 |
| 9. ალენ ჟირესი | 0.71 |
| 10. ყიფიანი/ძოძუაშვილი | 0.6 |
| 11. ექტორ კუპერი | 0.3 |
| 12. იოჰან ბოსკამპი | 0.2 |

## ფეხბურთელთა მონაგარი შესარჩევ მატჩებში (მატჩი, გოლი)



ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ლევან კობიაშვილი რეკორდსმენია

| ფეხბურთელი | მ | გ |
|---|---|---|
| ლევან კობიაშვილი (2-3-4-5-6-7-8-9) | 63 | 8 |
| კახა კალაძე* (2-3-4-5-6-7-8-9) | 55 | - |
| ზურაბ ხიზანიშვილი (3-4-5-6-7-8-9-10) | 52 | - |
| ალექსანდრე იაშვილი (3-4-5-6-7-8-9) | 42 | 12 |
| შოთა არველაძე* (1-2-3-4-5-6-7) | 40 | 18 |
| გიორგი დემეტრაძე* (3-4-5-6-7) | 36 | 5 |
| გიორგი ნემსაძე* (1-2-3-4-5) | 35 | - |
| გოჩა ჯამარაული* (1-2-3-4-5-6) | 33 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი* (1-3-4-5-6-7-8) | 32 | - |
| გიორგი ქინქლაძე* (1-2-3-4-5) | 31 | 5 |
| დავით კვირკველია (5-6-7-8-9-10) | 29 | - |
| თემურ ქეცბაია* (1-2-3-4-5) | 28 | 9 |
| გიორგი ლომაია (მეკ.) (5-6-7-8) | 27 | -47 |
| მალხაზ ასათიანი* (5-6-7-8-9) | 26 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე (6-7-8-9) | 26 | - |
| მიხეილ ყაველაშვილი* (1-2-3-4-5) | 25 | 1 |
| ჯაბა კანკავა (6-7-9-10) | 24 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი (4-6-7-8) | 21 | - |
| დავით სირაძე (7-8-9) | 19 | 5 |
| არჩილ არველაძე* (1-2-3-4) | 18 | 3 |
| მურთაზ შელია* (1-2-3) | 16 | - |
| ალექს. ამისულაშვილი (5-6-9-10) | 15 | 1 |
| კახა გოგიჩაიშვილი* (1-2) | 15 | - |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი* (3-4-5-6) | 15 | - |
| უჩა ლობჟანიძე (8-9-10) | 14 | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი (3-5-6-7) | 14 | - |
| გოგიტა გოგუა (6-7-9) | 14 | - |
| გიორგი შაშიაშვილი (5-7-8) | 13 | 1 |
| ლევან მჭედლიძე (7-8-9-10) | 13 | 1 |
| გიორგი ჩიხრაძე* (1-2) | 13 | - |
| დავით გვარამაძე* (მეკ.)…(3-4-5) | 13 | -18 |
| კახა ცხადაძე* (1-2) | 12 | 1 |
| აკაკი დევაძე* (მეკ.) (1-6) | 12 | -15 |
| მიხეილ აშვეთია* (3-5-6-7) | 12 | 1 |
| ვლადიმერ ბურდული* (4-5-6-7) | 12 | 1 |
| დავით მუჯირი* (6-7) | 12 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (6-9-10) | 12 | -9 |
| გიორგი გახოკიძე* (2-3-4-6-7) | 11 | 2 |
| ვლადიმერ დვალიშვილი (8-9) | 11 | 2 |
| ლევან ყენია (7-8-10) | 11 | 1 |
| გივი დიდავა (3-5) | 11 | - |
| ჯანო ანანიძე (8-9-10) | 11 | - |
| ირაკლი ზოიძე* (მეკ.) (1-2-4) | 10 | -20 |
| გელა შეყილაძე* (2-3-5) | 10 | - |
| დავით ოდიკაძე (6-8) | 10 | - |
| ოთარ მარცვალაძე (7-9) | 10 | - |
| გურამ კაშია (8-9-10) | 9 | 1 |
| რატი ალექსიძე (3-4-5-8) | 9 | - |
| მურთაზ დაუშვილი (9-10) | 9 | - |
| დიმიტრი კუდინოვი* (1-2) | 8 | - |
| კახა მჭავანაძე (6) | 8 | - |
| გიორგი მერებაშვილი (8-9) | 8 | - |
| დავით თარგამაძე (9-10) | 7 | 1 |
| გელა ინალიშვილი* (1-2) | 7 | - |
| ნუგზარ ლობჟანიძე* (1-2) | 7 | - |
| ლუკა რაზმაძე (8) | 7 | - |
| გოჩა გოგრიჭიანი* (1-2) | 6 | 1 |
| მამუკა წერეთელი* (3) | 6 | - |
| რევაზ ძემოკლიძე (4-5) | 6 | - |
| ბექა გოცირიძე* (6-8) | 6 | - |
| ლევან ხმალაძე (8) | 6 | - |
| გიორგი ლორია (მეკ.) (8-9-10) | 6 | -7 |
| ზაზა რევიშვილი* (1) | 5 | - |
| ნიკა ტოგონიძე* (მეკ.) (2-3) | 5 | -7 |
| გიორგი კიკნაძე* (2-3) | 5 | - |
| ზაზა ჯანაშია* (2-3-4) | 5 | 2 |
| ლევან სილაგაძე* (3-4) | 5 | - |
| ლაშა ჯაკობია (6-7) | 5 | - |
| ილია კანდელაკი (7) | 5 | - |
| გია გრიგალავა (9-10) | 5 | - |
| თორნიკე ოქრიაშვილი (10) | 4 | 1 |
| გიორგი ღუდუშაური* (1-2) | 4 | - |
| გრიგოლ ჭანტურია* (მეკ.) (3-7) | 4 | -8 |
| ედიკ საჯაია (4-5) | 4 | - |
| გიორგი განუგრავა (6) | 4 | - |
| ზაალ ელიავა (7-8) | 4 | - |
| ალექსანდრე კვახაძე (7-8) | 4 | - |
| რევაზ არველაძე* (1-2) | 3 | - |
| ბესიკ ბერაძე* (1) | 3 | - |
| გიორგი კილასონია* (1) | 3 | - |
| დავით ჭიჭვეიშვილი* (3) | 3 | - |
| ვიტალი დარასელია* (5-6) | 3 | - |
| კახა ალადაშვილი (6-7) | 3 | - |
| ამირან სანაია (8) | 3 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი (7-8-9) | 3 | - |
| აკაკი ხუბუტია (9) | 3 | - |
| შოთა გრიგალაშვილი (9) | 3 | - |
| სანდრო კობახიძე (9-10) | 3 | - |
| გია გურული* (1) | 2 | - |
| დავით ჯანაშია* (1-3) | 2 | - |
| მამუკა მაჭავარიანი* (1-2) | 2 | - |
| გიორგი დარასელია* (2-3) | 2 | - |
| ვალტერ გუჩუა* (2-3)… | 2 | - |
| ზურაბ ფოფხაძე* (3) | 2 | - |
| თენგიზ სიჭინავა* (3) | 2 | - |
| ბადრი ახვლედიანი* (3) | 2 | - |
| ვალერი აბრამიძე (4) | 2 | - |
| რატი წინამძღვრიშვილი (6) | 2 | - |
| მათე ღვინიანიძე (7) | 2 | - |
| გიორგი მაკარიძე (მეკ.) (7) | 2 | -2 |
| დავით დევდარიანი (10) | 2 | - |
| ირაკლი სირბილაძე (10) | 2 | - |
| მიხეილ ჯიშკარიანი* (1) | 1 | - |
| დავით ყიზილაშვილი* (1) | 1 | - |
| გოჩა გუჯაბიძე* (1) | 1 | - |
| გიორგი ჩხაიძე* (3) | 1 | - |
| გიორგი ბალაშვილი* (3) | 1 | - |
| სოსო გრიშიკაშვილი* (მეკ.) (3) | 1 | -1 |
| მიხეილ ფოცხვერია* (3) | 1 | - |
| სევასტი თოდუა (4) | 1 | - |
| ზვიად სტურუა* (მეკ.) (6) | 1 | -3 |
| ლევან მაღრაძე (6) | 1 | - |
| მამია ჯიქია* (6) | 1 | - |
| გივი კვარაცხელია (6) | 1 | - |
| მიხეილ ბობოხიძე* (6) | 1 | - |
| ვასილ გიგიაძე* (7) | 1 | - |
| დავით იმედაშვილი (7) | 1 | - |
| დიმიტრი ტატანაშვილი (7) | 1 | - |
| ირაკლი კლიმიაშვილი (8) | 1 | - |
| მათე ვაწაძე (8) | 1 | - |
| გიორგი ფოფხაძე (8) | 1 | - |
| ჯაბა ლიპარტია (8) | 1 | - |
| ზურაბ მამალაძე (მეკ.) (8) | 1 | -3 |
| თორნიკე აფციაური (9) | 1 | - |
| ალექსანდრე კოშკაძე (9) | 1 | - |
| სანდრო გურული (9) | 1 | - |
| რონ კვასხვაძე (10) | 1 | -1 |
| თორნიკე გორგიაშვილი (10) | 1 | - |
| ნიკა ძალამიძე (10) | 1 | - |

### შენიშვნები

*ფრჩხილებში მოცემული ციფრი აღნიშნავს იმ ციკლის რიგით ნომერს, რომელშიც მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მიიღეს მონაწილეობა.*

1 - ევრო-96-ის შესარჩევი
2 - 1998 წლის მუნდიალის შესარჩევი
3 - ევრო 2000-ის შესარჩევი
4 - 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი
5 - ევრო-2004-ის შესარჩევი
6 - 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი
7 - ევრო-2008-ის შესარჩევი
8 - 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი
9 - ევრო-2012-ის შესარჩევი
10 - 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი

* ნიშნით აღნიშნულია ფეხბურთელი, რომელმაც კარიერა დაასრულა

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ. ჩავი ერნანდესი.

# ბარსას თითოეული თამაშის მოგება სურს



**თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩავი ერნანდესი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. „ბარსელონას“ და ესპანეთის ნაკრების 32 წლის ფეხბურთელი უკვე წლებია ყველას აღაფრთოვანებს. იშვიათია ფეხბურთელი, რომელსაც ჩავის მსგავსად შეუძლია თამაშის რიტმის და ბურთის კონტროლი. მოედნის ხედვისა და საოცარი გადაცემების შესრულების უნარის გამო, ერნანდესი უკვე წლებია, „ბარსელონას“ და „ფურია როხას“ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა.**

**ცოტა ხნის წინ, „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიაზე, ჩავი 2012 წლის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. ფიფას ოფიციალურმა საიტმა ამ ფაქტით ისარგებლა და „ბარსელონას“ ვიცე-კაპიტანს ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- ჩავი, „ფიფას ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიაზე კიდევ ერთხელ იმყოფებით. რას გრძნობთ ამჯერად?**

- ძალიან სასიამოვნოა, რომ „ბარსელონაში“ და ესპანეთის ნაკრებში ჩატარებული საკმაოდ კარგი სეზონის შემდეგ, რომლის გვირგვინიც ევროპის ჩემპიონატის მოგება იყო, აქ მოხვედრის საშუალება მომეცა. მართალია, წელს სამ კანდიდატს შორის არ ვარ, მაგრამ აქ ყოფნით მაინც ბედნიერი ვარ.

**- თქვენ FIFA/FIFPro-ს გამოკითხვაში, თქვენმა კოლეგებმა, ფეხბურთელებმა, წლის სიმბოლურ ნაკრებში დაგასახელეს...**

- ეს ძალიან დიდი პატივია. მსოფლიოში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა კოლეგებმა თერთმეტ საუკეთესოს შორის დამასახელს.

**- ესპანეთმა 2012 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ტიტული შეინარჩუნა, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. რა არის ასეთი წარმატების მიზეზი?**

- ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელშიც ბევრი ნიჭიერი და მოტივირებული ფეხბურთელი თამაშობს. როდესაც გუნდი მოგებას დაეჩვევა, მნიშვნელოვანია, რომ მოტივაცია არ დაკარგო და საკუთარი თავი წნეხში მოაქციო. რა თქმა უნდა, გვიმართლებდა კიდევაც, თუნდაც პორტუგალიასთან ნახევარფინალი გავიხსენოთ, მაგრამ ამის შემდეგ, ჩვენ გავედით ფინალში და იტალიასთან საოცარი მატჩი ჩავატარეთ. ჩემი აზრით, ფეხბურთელთა ეს თაობა, საუკეთესოა ესპანეთის ისტორიაში.

**- თქვენ გამართლება ახსენეთ. მიგაჩნიათ, რომ იღბალი ფეხბურთში ასეთი მნიშვნელოვანია?**

- კი, მნიშვნელოვანია. იყო მომენტები, როდესაც იღბალი ჩვენს მხარეს იყო. როგორც ასეთ დროს ამბობენ, ისე გვიმართლებდა, როგორც ჩემპიონებს უმართლებთ. რთულ სიტუაციებში ფორტუნა აშკარად გვიღიმოდა, მაგალითად იმავე პორტუგალიასთან უკანასკნელ ევროზე, იტალიასთან ევრო 2008-ზე, ხორვატიასთან... რა თქმა უნდა, ჩვენ გვიმართლებდა, მაგრამ გარდა ამისა, ჩვენ ყველა სიტუაციაში ბოლომდე ვიბრძოდით და წარმატების მიღწევაში ესეც გვეხმარებოდა.

**- როგორ მოახერხეთ, რომ საკლუბო დაპირისპირება „ბარსელონასა“ და „რეალის“ ფეხბურთელებს შორის, ეროვნულ ნაკრებზე არ აისახა?**

- ეს დაპირისპირება გვერდზე გადავდეთ. როდესაც ნაკრებში ვართ, ჩვენ ყველა ერთი საერთო მიზნისთვის ვიბრძვით. იკერ კასილიასი ჩემი მეგობარია და ცოტა ხნის წინ, ერთად ჯილდოც მივიღეთ (ასტურიის პრინცის ჯილდო). ნაკრებში თამაშის დროს, კლუბებს შორის არსებულ დაპირისპირებას ვივიწყებთ, ისევე როგორც, კლუბებში ყოფნისას, მეგობრობას. მიუხედავად ამისა, ერთმანეთის მიმართ პატივისცემას არასდროს ვკარგავთ.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ ბოლო პერიოდში, „ბარსა“-“რეალის“ დარისპირება კიდევ უფრო გამწვავდა?**

- ეს ყოველთვის ასე იყო. მე მთელი ცხოვრება „ბარსელონაში“ გავატარე და ვიცი, რომ ეს ნამდვილი საფეხბურთო ომია. ზოგიერთი ადამიანი, ამ მტრობის მეშვეობით, ფულის შოვნას ცდილობს, მაგრამ, საბოლოოდ ჯამში, ეს კარგია ფეხბურთისთვის და ქვეყნისთვის. სიმართლე რომ გითხრათ, მე ვამაყობ იმით, რომ ესპანეთში ორი ასეთი დიდი გუნდი გვყავს.

> **ტიტო და პეპი განსხვავებული ტიპაჟის ადამიანები არიან, მაგრამ სავარჯიშო პროცესი და ტაქტიკა დაახლოებით იგივეა**

**- ესპანური პრესა ორივე კლუბთან დაახლოებულია. კითხულობთ იმას, რაც გაზეთებში იწერება?**

- კი, მე გაზეთებს ვკითხულობ, რადგან ფეხბურთი ჩემი სამსახურია და მაინტერესებს რას წერენ ჩვენზე. რა თქმა უნდა, პრესაში ბევრ განსხვავებულ მოსაზრებას ვაწყდებით, მაგრამ ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და სხვის აზრს პატივი უნდა ვცეთ, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა.

**- „ბარსელონაზე“ გადავიდეთ. შარშანდელ სეზონში წარუმატებლობის მიზეზი რა იყო?**

- გარკვეულწილად არ გაგვიმართლა. განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან“. ორივე შეხვედრაში ძალიან დიდ უპირატესობას ვფლობდით და წესით, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. „კამპ ნოუზე“ მეტოქე 10 კაცით იყო და ჩვენ 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ ამხელა უპირატესობა ხელიდან გავუშვით. დაახლოებით იგივე დაგვემართა ესპანეთის ჩემპიონატშიც. წელს, ყველა შეხვედრას ძალიან სერიოზულად ვუდგებით და ამიტომაც გვაქვს ასეთი შედეგი. წინა სეზონში, ჩემი აზრით, საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ვაჩვენებდით, რის გამოც დავისაჯეთ კიდეც.

**- წინა სეზონის დასრულების შემდეგ, პეპ გვარდიოლა გუნდიდან წავიდა და ამით მთელი ეპოქა დასრულდა. ამ ყველაფრის გამო, მოტივაცია ხომ არ დაკარგეთ?**

- არა. დააკვირდით ჩვენს ვარჯიშებს და ნახავთ, რომ ფეხბურთელები ორმაგად მონდომებულნი არიან. ჩვენთან უდიდესი კონკურენციაა და ამის გარდა, „ბარსას“ თითოეული თამაშის მოგება სურს, თუნდაც ეს ამხანაგური მატჩი იყოს. ჩვენ თითქმის იგივე გუნდი გვყავს და პრაქტიკულად იდეალური შედეგი გვაქვს.

**- შარშანდელი ჩავარდნის გამო, გულშემატკივართა ვალი გაქვთ?**

- არა მგონია, რადგან წინა წლებში საკმაოდ ბევრი ტიტული მოვიგეთ. გვსურს, რომ „ბარსელონას“ ქომაგი ამაყი და ბედნიერი იყოს. არ ვფიქრობ, რომ ერთი ჩაგდებული სეზონის გამო, ვინმეს ვალი გვაქვს, მაგრამ შარშანდელი წარუმატებლობა მოტივაციას გვმატებს და ახალი ტიტულების მოგების სურვილს გვიორმაგებს.

**- რა განსხვავებაა ტიტო ვილანოვასა და გვარდიოლას გუნდებს შორის?**

- სხვაობა დიდი არ არის. წელს უფრო მეტად გვიმართლებდა, მაგრამ ჩვენი მუშაობის სტილი არ შეცვლილა. ტიტო პეპის ასისტენტი გახლდათ და ისინი ერთად დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ. ტიტო და პეპი განსხვავებული ტიპაჟის ადამიანები არიან, მაგრამ სავარჯიშო პროცესი და ტაქტიკა დაახლოებით იგივეა.

**- გუნდი ახლა შესანიშნავად თამაშობს, თუმცა სეზონის სტარტზე თითქოს ოდნავ გიჭირდათ...**

- სეზონის დასაწყისში ფიზიკური მომზადების მხრივ მოვიკოჭლებდით და გვიჭირდა იმ გუნდებთან თამაში, რომლებიც ისედაც საკმაოდ კარგად გვიცნობენ. უბრალოდ დროის საკითხი იყო – მთავარი გახლდათ ფორმაში შევსულიყავით. ბოლო ორი თუ სამი თვეა, მართლაც შესანიშნავად ვთამაშობთ და იმ დონეზე ვართ, რა დონეზეც ბოლო წლებში ვიყავით.

**- როგორი შეგრძნებაა, როდესაც „რეალთან“ ამხელა უპირატესობა გაქვთ?**

- შესანიშნავი. ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა სეზონი საკმაოდ გრძელია და წინ კიდევ ბევრი მატჩი გველის. ფაქტია, საკმაოდ დიდი ფორა გვაქვს და ნელ-ნელა ჩემპიონის ტიტულს ვუახლოვდებით.

**- ჩემპიონთა ლიგასაც შევეხოთ. რას იტყვით „მილანის“ შესახებ?**

- „მილანი“ ძალიან ძლიერი გუნდია. მათთან თამაში ყოველთვის გვიჭირდა. „სან სიროზე“ თამაში იოლი არ არის, განსაკუთრებით მათი საოცარი გულშემატკივრების გამო. „მილანს“ ჩემპიონთა თასი ჩვენზე მეტჯერ აქვს მოგებული და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. მართალია, ახლა საუკეთესო დროება არ უდგას, მაგრამ ამ გუნდს ამჯერადაც ჰყავს ფეხბურთელები, ვისაც ჩვენთვის დიდი პრობლემების შექმნა შეუძლია.

**- და ბოლო კითხვა: შესაძლებელია, რომ ეს წელი „ბარსელონასთვის“ ისტორიული იყოს?**

- ჩვენ ყველა ტურნირზე წარმატების მიღწევა გვსურს. გუნდი ძალიან ძლიერია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თუ არ გაგვიმართლა, ისე ტიტულების მოგება გაგვიჭირდება.

ბრაზილიის ნაკრები

# სკოლარიმ რონალდინიო ნაკრებში დააბრუნა



რონალდინიო ნაკრებში ბრუნდება.

6 თებერვალს, ბრაზილიის ნაკრები, „უემბლიზე“ ინგლისის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. „სელესაოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა – **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ**, სანაკრებო შეკრებაზე 20 ფეხბურთელს უხმო.

„ფელიპაომ“ ნაკრებში **რონალდინიო, ჟულიო სეზარი** და **ლუიშ ფაბიანო** დააბრუნა. სამაგიეროდ, ნაკრებში ვერ მოხვდა **კაკა**, რომელსაც „რეალიდან“ წასვლა სურს.

ბრაზილიის ნაკრებში რამდენიმე ახალწვეულია: „ატლეტიკოს“ მცველები **მირანდა** და **ფილიპე ლუიში**, ასევე „ბაიერნის“ მცველი **დანტე** „სელესაოში“ პირველად გამოიძახეს.

**სრული სია ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** ჟულიო სეზარი (ქუინ პარკ რეინჯერსი), დიეგო ალვეში (ვალენსია).

**მცველები:** დანიელ ალვეში (ბარსელონა), ადრიანო კორეია (ბარსელონა), ფილიპე ლუიში (ატლეტიკო), დანტე (ბაიერნი), დავიდ ლუისი (ჩელსი), ლეანდრო კასტანი (რომა), მირანდა (ატლეტიკო).

**ნახევარმცველები:** არუკა (სანტოსი), პაულინიო (კორინთიანსი), ერნანესი (ლაციო), რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), რამირესი (ჩელსი), ოსკარი (ჩელსი).

**თავდამსხმელები:** ჰალკი (ზენიტი), ფრედი (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ნეიმარი (სანტოსი), ლუკას მოურა (პარი სენ ჟერმენი).

აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. I ტური.

# ფავორიტს გაუჭირდა



კოტ დივუარს ჟერვინიომ მოაგებინა

**D ჯგუფი**

| კოტ დივუარი-ტოგო | 2:1 |
| --- | --- |

**გოლები:** 1:0 იაია ტურე (8), 1:1 ჯ. აიტე (45), 2:1 ჟერვინიო (88).

| ტუნისი-ალჟირი | 1:0 |
| --- | --- |

**გოლი:** 1:0 მსაკნი (90).

გამარჯვებით დაიწყო აფრიკის თასზე ასპარეზობა ტურნირის მთავარმა ფავორიტმა, კოტ დივუარის ნაკრებმა. **საბრი ლამუშის** შეგირდებმა ტოგო დაამარცხეს. შეხვედრის გმირები **იაია ტურე** და **ჟერვინიო** გახდნენ – ორივე ფეხბურთელმა თითო გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

ანგარიში მერვე წუთზე „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა ჟერვინიოს პასით გახსნა, ხოლო გამარჯვების მომტანი და გამანყვეტი გოლი „არსენალის“ ფორვარდმა ტურეს პასით გაიტანა. შუაში იყო **ჯონათან აიტეს** გოლი – „ბრესტის“ ფორვარდმა **სერჟ გაკპეს** გადაცემით ისარგებლა და 45-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. ტოგოს ნაკრების მწვრთნელი, საფრანგეთის ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი, **დიდიე სიქსი** გახლავთ. მის გუნდს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ადებაიორმა და კომპანიამ ქულის აღება ვერ შეძლო, არადა ამ ქულას ძალიან დიდი ფასი ექნებოდა, ვინაიდან ეს ჯგუფი აშკარად ყველაზე ძლიერია – კოტ დივუარის და ტოგოს გარდა, ამ ჯგუფში ხომ ალჟირი და ტუნისიც არიან.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

## უცხოური ფეხბურთი

● მილანი

# გალიანი: პრობლემა ფინანსებშია

## ბოლოს და ბოლოს, ჩაიშალა კაკას ტრანსფერი თუ არა?



კაკას მომავალი ბუნდოვანია

„მილანი" იტალიური სპორტული პრესის ყურადღების ცენტრში რჩება. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ **კაკას** „როსონერიში" გადასვლა პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავი იყო. 30 წლის ბრაზილიელის ტრანსფერზე **ადრიანო გალიანიმ** და **სილვიო ბერლუსკონიმ** გააკეთეს კომენტარები, თუმცა გვიან ღამით, სრულიად საპირისპირო ცნობა გავრცელდა... მოლაპარაკება ჩაიშალა, კაკა მადრიდში დარჩება და „რეალში" გააგრძელებს კარიერას - ამის შესახებ გუშინდელ ნომერშიც გამცნეთ, დღეს კი გალიანის მოვუსმინოთ:

*„თითქმის შეთანხმებული ვიყავით ყველაფერზე, მაგრამ ტრანსფერი მაინც არ შედგა. რატომ? - პრობლემა ფინანსებშია და უფრო დაკონკრეტების აუცილებლობას ვერ ვხედავ. დღეს არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ფეხბურთელში მილიონები ვიხადოთ, „რეალის" მესვეურებს კი დათმობაზე წასვლა არ სურთ. კაკას გადაბირება ძალიან გვინდოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საქმე არ გამოდის".*

იტალიელ ჟურნალისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს საქმე ასე იოლად არ დასრულდება და კაკა მაინც გადავა „მილანში". საქმე იმაშია, რომ მილანელები და მადრიდელები ტრანსფერის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. „როსონერის" მესვეურებს ნახევარწლიანი იჯარის გაფორმება სურდათ გამოსყიდვის პერსპექტივით, ესპანელებს კი აქედანვე სრულფასოვანი ტრანსფერი უნდოდათ. **ფლორენტინო პერესმა** ოთხი წლის წინ, კაკა 60 მილიონ ევროდ გაყიდა და როგორც ჩანს, მისი უკან უსასყიდლოდ დაბრუნება მეტისმეტად მიიჩნია. თუმცა, ამბობენ, რომ მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდება და მაინც არის შანსი, შეთანხმება შედგეს. რაც უნდა იყოს, რიკარდო „რეალს' დღეს უფრო ტვირთად აწევს, ვიდრე სარგებელი მოაქვს და მასთან განშორება ესპანელთა ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

● ინტერი

# კოუტინიოს დარჩენა სურს



მინაწერი: ფელიპე კოუტინიო

**ფელიპე კოუტინიოზე** „ინტერში" დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ 20 წლის ბრაზილიელი შემტევი მილანურ გრანდს ვერაფრით ვერ მოერგო. ნახევარი სეზონით, ფელიპე „ესპანიოლში" იყო განათხოვრებული და იქ შესანიშნავად ირჯებოდა, მაგრამ დაბრუნდა თუ არა „ინტერში", ისევ ჩრდილში მოექცა. ამბობენ, რომ ამ ზამთარს კოუტინიო ისევ დატოვებს მილანურ გრანდს და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს. სახელდება ვარიანტებიც, რომლის მიხედვითაც ფელიპე ან „ლივერპულში" გადაბარგდება, ან „ასტონ ვილაში". თავად ფეხბურთელს სულ სხვა სურვილები აქვს:

*„სულაც არ ვთვლი, რომ „ინტერში" ზედმეტი ვარ და უნდა წავიდე. ამის შესახებ არც კლუბის მესვეურებს უთქვამთ რამე და არც მწვრთნელს. პირიქით, სრულ ნდობას ვგრძნობ და ვფიქრობ, რომ „ინტერში" კიდევ მომეცემა თავის გამოჩენის საშუალება. რამდენიმე შემოთავაზება მართლაც მაქვს, მაგრამ პირადად ჩემი სურვილი მილანში დარჩენაა და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება".*

● ტრანსფერი

# რომა მცველს იმატებს

**ზდენეკ ზემანის** გუნდებს ტრადიციულად დაცვაში უჭირთ და ამ მხრივ, გამონაკლისი არც „რომაა". ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ დედაქალაქური კლუბის მესვეურები დაცვის გაძლიერებაზე ზრუნავენ. „კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ამიერიდან „ჯალოროსის" ღირსებას **ვასილის ტოროსიდისი** დაიცავს. 27 წლის მცველი 2007 წლიდან „ოლიმპიაკოსის" ღირსებას იცავდა, ბოლო წლებში კი სულაც კაპიტანი გახლდათ. ვასილისს საბერძნეთის ჩემპიონატში 200-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, ეროვნული ნაკრების ამუნიცია კი 54-ჯერ მოურგია. მოკლედ, ტოროსიდისის სახით, „რომამ" მაღალი კლასის მცველი დაიმატა. აქვე ვთქვათ, რომ ვასილისი მარჯვენა ფრთაზე ირჯება და გამოდის, რომ კონკურენციას **ივან პირისს** გაუწევს.

„რომას" გულშემატკივრებისთვის ერთი არასასიამოვნო ინფორმაციაც გავრცელდა. **დანიელე დე როსიმ** კუნთი დაიზიანა და წინასწარი პროგნოზით, მინიმუმ ორი კვირა იუქმებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დანიელე იტალიის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩს გამოტოვებს, რომელიც „რომამ" „ინტერთან" უნდა გამართოს, ასევე, სერია A-ს მინიმუმ ორ პაექრობას „ბოლონიასთან" და „კიევოსთან", ასევე შესაძლოა „სამპდორიასთანაც".



ვასილის ტოროსიდისი „რომაში" ითამაშებს

● ამბები

## სამპას პრეზიდენტი ალ[illegible]



რიკარდო გარონე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 77 წლის ასაკში „სამპდორიას" პრეზიდენტი **რიკარდო გარონე** გარდაიცვალა. ცნობილი ბიზნესმენი გენუურ კლუბს 2002 წელს ჩაუდგა სათავეში და დიდი რეფორმები გაატარა. პრაქტიკულად გაბანკროტებული კლუბი ფეხზე წამოაყენა და ელიტაში დააბრუნა. მისი პრეზიდენტობის დროს, „სამპამ" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშა, მაგრამ ბრემენის „ვერდერთან" ორმატჩიან დუელში დამარცხდა. ეს ის პერიოდია, როდესაც გენუურ გუნდში **ანტონიო კასანო** და **ჯამპაოლო პაცინი** ბრწყინავდნენ.

გარონე სკანდალებშიც ხშირად ეხვეოდა და თანაც მხცოვან ასაკში. გახსოვთ ალბათ, მისი დაპირისპირება ანტონიო კასანოსთან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი საახალწლო წვეულებაზე არ მივიდა, მიზეზად კი ფეხმძიმე მეუღლე დაასახელა. მაშინ, უმეტესობამ ანტონიოს მხარე დაიჭირა, თუმცა პრეზიდენტი შეუვალი გამოდგა და ფეხბურთელი მთავარი გუნდიდან მოკვეთა. შედეგად, კასანო „მილანში" გადავიდა, „სამპას" კი კრიზისი დაეწყო და სერია B-ში დაქვეითდა. გენუელებმა ქვედა დივიზიონში ერთი სეზონი დაჰყვეს და ისევ ელიტას დაუბრუნდნენ, რასაც გარონეს ხმამაღალი განცხადებები მოჰყვა გუნდისთვის ძველი დიდების დაბრუნების შესახებ. „სამპა" ოდესმე შეიძლება მართლაც დაბრუნდეს ძველ სიმაღლეზე და კიდევ ითამაშოს ჩემპიონთა ლიგის ფინალი, როგორც ძველ, კარგ დროს, მაგრამ უკვე რიკარდო გარონეს გარეშე.

## ატალანტა ფორვარდით გაძლიერდა

გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ 32 წლის ხორვატი ფორვარდი **იგორ ბუდანი** ამიერიდან „ატალანტას" ღირსებას დაიცავს. სეზონის პირველი ნახევარი ბალკანელმა „პალერმოში" გაატარა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იყო ძირითად შემადგენლობაში და შესაბამისად, ბევრი ვერაფრით გამოირჩა. მოკლედ, იგორი არ ჯდებოდა სიცილიელთა გეგმებში და გარემოს გამოცვლაც ამად გადაწყვიტა - თავად ფეხბურთელი ცვლილებამ მეტად გაახარა:

*„ბოლო პერიოდში, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, რადგან თამაში პრაქტიკულად არ მიწევდა. სხვა გუნდში ვფიქრობდი გადასვლას და „ატალანტას" ვარიანტიც ამ დროს გამოჩნდა. ახალ გუნდში ხერმან დენისის მხარდამხარ მომიწევს თამაში და ეს ძალიან მახარებს - არგენტინელი ბრწყინვალე თავდამსხმელია და იმედია, მასთან შედეგიან ტანდემს შევქმნი".*

## ასტორი: კალიარი ჩემი ბედისწერაა



დავიდე ასტორი

**დავიდე ასტორი** უკვე დიდი ხანია ჟურნალისტებს „კალიარიდან" სხვადასხვა გუნდში გადაჰყავთ, მაგრამ ჯერჯერობით, ის ისევ სარდინიული გუნდის ფეხბურთელია. 26 წლის მცველისთვის განსაკუთრებულად წარმატებული გასული სეზონი გამოდგა, როდესაც თვით იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ჩეზარე პრანდელის** ყურადღება მიიპყრო. ასტორის გადაბირება „მილანს", „ინტერს" და „ფიორენტინას' სურთ, უკანასკნელი ინფორმაციით კი მათ რიცხვს ინგლისური გუნდებიც შეემატნენ, კერძოდ: „საუთჰემპტონი" და „ფულჰემი". თავად ფეხბურთელს შემდეგი პოზიცია აქვს:

*„დიდი ხანია ჩემს წასვლაზე ლაპარაკობენ, მაგრამ როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ „კალიარიში" ვთამაშობ. გასულ ზაფხულს, ჟურნალისტებმა მოსკოვის „სპარტაკში" გადამიყვანეს, მაგრამ ესეც ტყუილი აღმოჩნდა. გავრცელებულ ხმებს ნუ აჰყვებით, ჯერჯერობით შეთავაზება არ მიმიღია და შესაბამისად, მხოლოდ „კალიარიზე" ვარ კონცენტრირებული. რომ მივიღო, ალბათ უარს ვიტყვი, რადგან სარდინიის დატოვება ძალიან გამიჭირდება. „კალიარი" ჩემი ბედისწერაა, ამაში სულ უფრო ვრწმუნდები".*

## დაბრუნდება ვივიანო ბოლონიაში?



ემილიანო ვივიანო

სულ ახლო წარსულში, **ემილიანო ვივიანოს ჯანლუიჯი ბუფონის** შემცვლელად ასახელებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში, 27 წლის კიპერი ჩრდილში მოექცა. „ბოლონიაში" თავგამოჩენილი „ინტერმა" გადაიბირა და არენდით ჯერ „პალერმოში" გაუშვა, შემდეგ კი სულაც „ფიორენტინას" მიჰყიდა. ვივიანო ფლორენციაში ნომერ პირველი კიპერის სტატუსით ჩავიდა, თუმცა ფორმაში ვერაფრით ჩადგა და ბრაზილიელ კიპერ **ნეტოსთან** კონკურენციაში დაიჩაგრა. შედეგად, ვივიანო „ვიოლას" თადარიგშია და ისევ გუნდის გამოცვლას ეშურება.

ემილიანოს სამსახურით „ბოლონიაა" დაინტერესებული, სადაც გაითქვა კიდეც სახელი... ამ დროისთვის, „როსობლუს" პირველი მეკარე **ფედერიკო ალიარდია**, მაგრამ ბოლო შეხვედრებში რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მისი პოზიციებიც შერყეულია. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ბოლონიელებს ვივიანოს იჯარით აყვანა სურთ და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ თანამშრომლობით, შემდეგ ალბათ ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულებაც გაფორმდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ვინ? იქნება პეპის ასისტენტი

## ეფე, ესპანელი წყალბურთელი, რაული, თუ გერლანდი?



გვარდიოლა ასისტენტს ეძებს

**ხოსეპ გვარდიოლა ზაფხულიდან მიუნხენის „ბაიერნში" რომ იმუშავებს, ეს უკვე ყველამ კარგად იცის. ახლა საინტერესო ისაა, თუ ვინ იქნება 42 წლის ესპანელი მწვრთნელის ასისტენტი ბავარიულ გრანდში.**

ცნობილია, რომ **გვარდიოლას** მიუნხენში ორი თანაშემწის ჩაყვანა სურს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მხოლოდ ერთს დასჯერდეს, ერთი კი „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა დაუნიშნონ. ეს დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად ისწავლის პეპი გერმანულ ენას ზაფხულამდე. ასეა თუ ისე, პეპის ასისტენტობის კანდიდატები გამოიკვეთნენ. „ბილდის" ინფორმაციით, რეკორდმაისტერის ბოსები ესპანელთან ერთად ოთხ კანდიდატურას განიხილავენ.

### მანელ ესტიარტე?

51 წლის **მანელ ესტიარტე** წყალბურთის ყოფილი სუპერვარსკვლავია - 1996 წელს ოლიმპიადაზე ოქროს მედალი აიღო. ეს უკანასკნელი გვარდიოლასთან ერთად „ბარსელონაშიც" მუშაობდა და ცნობილია, რომ პეპის ნდობით აღჭურვილი პირია. მანელ ესტიარტე ახლა უმუშევარია.

### რაული?

ესპანეთის ნაკრების ყოფილი ლიდერი და გოლეადორი ახლა 35 წლისაა და „ალ სადში" თამაშობს, სადაც კონტრაქტი ზუსტად 2013 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული. **რაული** და გვარდიოლა ახლო მეგობრები არიან - მათი ძმაკაცობა ჯერ კიდევ ესპანეთის ნაკრებიდან დაიწყო, სადაც ისინი ერთად თამაშობდნენ. „ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს რაულთან მოლაპარაკებები არ უწარმოებიათ, მაგრამ მასთან კავშირი აქვთ. ცნობილია, რომ რაული იანვრის დასაწყისში ყატარში „ბაიერნელებს" ესტუმრა - როგორც იცით, რეკორდმაისტერი იქ მოსამზადებელ შეკრებაზე იყო. თვითონ რაული ამ თემაზე არაფერს ამბობს, მისი გარემოცვა კი არ გამორიცხავს იმას, რომ ესპანელი ზაფხულიდან გვარდიოლას ასისტენტი გახდეს.

### შტეფან ეფენბერგი?

„ბაიერნის" გულშემატკივრებს ყველაზე მეტად სწორედ **შტეფან ეფენბერგის** ვარიანტი მოსწონთ. 45 წლის ეფეს მიუნხენში დღემდე უდიდეს პატივს სცემენ და სურთ, რომ რეკორდმაისტერის ყოფილი კაპიტანი, რომელიც „ბაიერნის" უკანასკნელი კაპიტანია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის თასი აღმართა (2001 წელს), გუნდის სამწვრთნელო შტაბში იხილონ.

ფაქტია, რომ 2011 წელს ეფემ სწორედ „ბაიერნში" გაიარა სამწვრთნელო პრაქტიკა, ცოტა ხნის წინ კი ბავარიელთა ამჟამინდელმა დამრიგებელმა **იუპ ჰაინკესმა** მას თავიდან მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობა ურჩია - მაშინვე მთავარ მწვრთნელობას არ გირჩევ, უმჯობესია, ჯერ თანაშემწე იყოო. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** ეფენბერგს ძალიან აფასებს, მაგრამ ცნობილია, რომ მასთან მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. თუმცა ეფენბერგი მიუნხენში ცხოვრობს...

### ჰერმან გერლანდი?

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ღიაა „ბაიერნის" ამჟამინდელი კო-მწვრთნელის საკითხიც. ჰაინკესის თანაშემწე ახლა 58 წლის **ჰერმან გერლანდია**, რომელიც ამბობს, მთავარია, „ბაიერნს" ვემსახურო და რა ფუნქციას დამაკისრებენ, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვსო.



რაული და პეპი ახლო მეგობრები არიან

ტრანსფერი

# მ'ვილა რუბინში

საფრანგეთის ნაკრებისა და „რენის" ფეხბურთელ **იან მ'ვილას** ყაზანის „რუბინში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. „რუბინი" და „რენი" საბოლოოდ 12 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. 22 წლის ფეხბურთელი ყაზანურ კლუბთან კონტრაქტს 2017 წლამდე გააფორმებს. აქვე გეტყვით, რომ „რუბინის" გარდა, ფრანგის გადაბირება „ქუინზ პარკ რეინჯერსსაც" სურდა, მაგრამ მ'ვილამ **ჰარი რედნაპის** გუნდში გადასვლას და კარიერის ინგლისში გაგრძელებას, ყაზანის „რუბინში" თამაში ამჯობინა.

ამბები

## მარინი მოსკოვის ცსკა-ში?

რუსული გაზეთის, „იზვესტიას" ცნობით, მოსკოვის ცსკა-ს ლონდონის „ჩელსის" გერმანელი შემტევი ნახევარმცველის, **მარკო მარინის** არენდით აყვანა უნდა. ცნობილია, რომ „ჩელსის" ბოს **რომან აბრამოვიჩს** ცსკა-ს ხელმძღვანელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, თუმცა 23 წლის მარინს კიდევ რამენიმე წინადადება აქვს და მოსკოვში გადასვლაზე ორჭოფობს. მისი აგენტი **ფალი რამდანი** „იზვესტიასთან" ინტერვიუში ადასტურებს, რომ ცსკა დაინტერესებულია. თუმცა მარინი ალბათ ხვდება, რომ რუსეთის ჩემპიონატიდან გერმანიის ნაკრებში მოხვედრა გაუჭირდება.



## ერიქსონი ბექჰემს ალ ნასრში ეპატიჟება

**სვენ-გორან ერიქსონის** „მიუნხენ 1860-ის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ბოლო მომენტში ჩაიშალა და შვედმა სპეციალისტმა დუბაის მიაშურა, სადაც „ალ ნასრის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა. ინგლისური მედიის ცნობით, სვენი თავის ახალ კლუბში **დევიდ ბექჰემს** ეპატიჟება.

*„დევიდს აუცილებლად დაველაპარაკები და იმედი მაქვს, რომ მის დათანხმებას შევძლებ, მაგრამ ასი პროცენტით ვერაფერს დაგპირდებით,"* - განაცხადა ერიქსონმა. შეგახსენებთ, რომ 37 წლის ბექჰემს ლოს ანჯელესის „გალაქსისთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალ კლუბს ეძებს.

## შტუტგარტმა ლოპესი ინათხოვრა

„შტუტგარტმა" „ვოლფსბურგიდან" მცველი **ფელიპე ლოპესი** ინათხოვრა. 25 წლის ბრაზილიელი შვაბენლანდურ კლუბში არენდით სეზონის ბოლომდე ითამაშებს. ამასთან, „შტუტგარტმა" მისი კონტრაქტის გამოსყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო. ფელიპე ლოპესი „ვოლფსბურგში" ზუსტად ერთი წლის წინ გადავიდა და „მგლებთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.

*„მიხარია, რომ შევძელით და ისეთი მცველი გადმოვიბირეთ, რომელიც ბუნდესლიგას უკვე კარგად იცნობს. ეჭვი არ მეპარება, რომ ლოპესი გაგვაძლიერებს,"* - აღნიშნა გუშინ შტუტგარტელთა მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა**, რომელმაც ახლა იტალიელი თავდამსხმელის, **ფედერიკო მაკედას** ტრანსფერზე დაიწყო მუშაობა. 21 წლის მაკედას აგენტის, **ჯოვანი ბიას** თქმით, „შტუტგარტთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მოსალოდნელი ტრანსფერი



# ნეიმარი: გვარდიოლასთან სიამოვნებით ვიმუშავებდი...

## ბაიერნს ბრაზილიელი ვარსკვლავის გადაბირების შანსი მართლა აქვს...

ნეიმარი გვარდიოლას აფასებს

**ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაცია დაკონკრეტდა: როგორც ირკვევა, „სანტოსის" ბრაზილიელი ვარსკვლავი, უნიჭიერესი ნეიმარი „ბაიერნში" გადასვლით დაინტერესებულია და ეს ხოსეპ გვარდიოლას დამსახურებაა. 20 წლის ნეიმარს უთქვამს, პეპთან სიამოვნებით ვიმუშავებდიო.**

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ბაიერნი" **ნეიმარით** სერიოზულად დაინტერესდა, ესპანურმა გაზეთმა AS-მა გაავრცელა, თუმცა ფაქტია, რომ უკვე რამდენიმე წელია, ნეიმარის შესახებ სპეკულაციები არ წყდება, ახალგაზრდა ბრაზილიელი კი ჯერ კიდევ „სანტოსში" თამაშობს. ბრაზილიური და ევროპული მედია ნეიმარის მომავალს ევროპის თითქმის ყველა გრანდს უკავშირებს, ახლა კი წინა პლანზე „ბაიერნმა" წამოიწია.

ბავარიული გრანდის მთავარი არგუმენტი კი ამ შემთხვევაში **გვარდიოლაა**. ნეიმარმა ამერიკულ ტელეარხ „ფოქს სპორტს" დაუდასტურა, რომ გვარდიოლას უდიდეს მწვრთნელად მიიჩნევს და მის გუნდში სიამოვნებით ითამაშებდა. *„პეპ გვარდიოლა შესანიშნავი მწვრთნელია. იმედი მაქვს, რომ ერთ დღესაც მის გუნდში ვითამაშებ,"* - უთქვამს ნეიმარს.

თუმცა ბრაზილიელმა იქვე დასძინა, რომ ჯერ ევროპაში გადასვლას არ ჩქარობს: *„ბრაზილიაში თავს იდეალურად ვგრძნობ, ევროპაში გადასვლა არ მეჩქარება."*

ნეიმარს „სანტოსთან" კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე, ანუ, მსოფლიოს იმ ჩემპიონატამდე აკავშირებს, რომელიც სწორედ ბრაზილიაში უნდა გაიმართოს და ცნობილია, რომ მას ამ კონტრაქტის ამოწურვამდე „სანტოსში" დარჩენა უნდა, თუმცა გამორიცხული მაინც არაფერია...

ტრანსფერი

# აბრაამი ჰოფენჰაიმშია

## კომპერი შეიძლება ფიორენტინაში გადავიდეს

**დავიდ აბრაამი** ბუნდესლიგაში შეიძლებოდა გასულ ზაფხულსაც გადასულიყო, მაგრამ მაშინ „ჰამბურგს" „ხეტაფემ" აჯობა. ახლა კი არგენტინელი მცველი მაინც გერმანიაში გადავიდა - 26 წლის აბრაამი „ჰოფენჰაიმმა" გადაიბირა. დავიდმა „სოფლელებთან" კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა და „ჰოფეში" იმ სიცარიელეს ამოავსებს, რომელიც გამოცდილი **მარვინ კომპერის** 23-წლამდელთა გუნდში გადასროლით გაჩნდა.

„ჰოფენჰაიმის" მთავარმა მწვრთნელმა **მარკო კურცმა** კომპერის დასჯის შესახებ გუშინ გამოაცხადა - ამ ფეხბურთელს მოტივაციის პრობლემა აქვს და პირველ გუნდში არ მჭირდებაო. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ კომპერს „ჰოფენჰაიმში" მომავალი აღარ აქვს. სხვათა შორის, გერმანულ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, კომპერი ფლორენციის „ფიორენტინასთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. აბრაამის ტრანსფერი კი „ჰოფენჰაიმმა" გუშინვე დაადასტურა.

ამრიგად, არგენტინელმა ხეტაფე 6 თვეში დატოვა. ამ ხნის მანძილზე მან ლა ლიგაში 9 მატჩის ჩატარება მოასწრო. *„დავიდ აბრაამი ძალიან კარგი, გამოცდილი მცველია და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდს გააძლიერებს,"* - ეს „ჰოფეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერის** სიტყვებია.

აბრაამი მართლაც ძალიან გამოცდილი მოთამაშეა. 2009-დან 2012 წლამდე დავიდი „ბაზელის" ღირსებას იცავდა, სადაც სამჯერ გახდა შვეიცარიის ჩემპიონი და ორჯერ თასი მოიგო. აბრაამს ჩემპიონთა ლიგაში 18 მატჩი აქვს ჩატარებული. დავიდს „ჰოფენჰაიმში" ოფიციალურად ზეგ წარადგენენ.



დავიდ აბრაამი ხეტაფედან ჰოფენჰაიმში გადავიდა

ჰანოვერი

# ბრაზილიური პარადოქსი

## ახალწვეული ფრანკა დაბალი აღმოჩნდა

ჰანოვერში სასაცილო ამბავი მოხდა: „კურიტიბადან" 1.3 მილიონ ევროდ შეძენილი ბრაზილიელი ნახევარმცველი **ფრანკა** მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა! საქმე 1-2 სანტიმეტრს რომ ეხებოდეს, კიდევ არა უშავს, ფრანკას სიმაღლე კი ოფიციალურ მონაცემებში ჩაწერილზე მთელი 9 სანტიმეტრით ნაკლებია!

როცა ტრანსფერი გადაწყდა, „ჰანოვერის" ბოსი **იორგ შმადტკე** ყველა კომენტარში მის სიმაღლეზე საუბრობდა - კარგია, რომ ასეთი ტანმაღალი ფეხბურთელი გადმოვიბირეთო. ოფიციალურად მისი სიმაღლე 1.90 მეტრი უნდა ყოფილიყო. „ჰანოვერის" მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ფრანკასთან პირველივე შეხვედრისას შენიშნა, რომ ის გაცილებით დაბალი გახლდათ. თვითონ სლომკა სიმაღლეში 1.87 მეტრია და იოლად შეამჩნია, რომ ფეხბურთელი არათუ მასზე მაღალი არ იყო, არამედ სულაც მასზე დაბალი გახლდათ. სლომკამ ერთ-ერთ ასისტენტს მაშინვე ფეხბურთელის გაზომვა სთხოვა და მართლაც: ფრანკას სიმაღლე 1.81 მეტრია.

*„არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. გაოცებული ვარ!"* - უთხრა სლომკამ „ბილდს".

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფრანკას შერჩევისას ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი სწორედ მისი სიმაღლე გახლდათ, ახლა კი გამოვიდა, რომ ჰანოვერელებს მოსალოდნელზე 9 სანტიმეტრით დაბალი ფეხბურთელი შერჩათ. კიდევ კარგი, რომ ფეხბურთელის წონა მაინც აღმოჩნდა ზუსტი, მაგრამ თუკი 1.90 მეტრი სიმაღლის მქონე ფეხბურთელისთვის 88 კილოგრამი მისალებია, 1.81-მეტრიანი მოთამაშისთვის ეს უკვე ზედმეტ წონას ნიშნავს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტურის შეჯამება



მაიკლ ოუენს სუონსის კარში მისთვის საიუბილეო 150-ე გოლი გააქვს

# იუბილარი ვეტერანი

## როჯერსის ვარსკვლავები და ოთხი დუბლი

### ოუენის 150

**მაიკლ ოუენმა** "სტოკ სიტის" მიმდინარე სეზონის დაწყებამდე მიაშურა. გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ ვეტერანი ახალ კლუბში მაინც დააღწევდა თავს გაუთავებელ ტრავმებს და ძირითადში მოსახვედრად **პიტერ კრაუჩსა** და **კენუაინ ჯონსს** სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. ვეტერანი თავდამსხმელი თანაგუნდელებს აქამდე პრაქტიკულად არაფრით დახმარებია. არც "სუონსის" კარში გატანილი პრესტიჟის გოლი იქნებოდა დიდად აღსანიშნავია, რომ არა ერთი გარემოება: ოუენმა კარიერაში 150-ე გოლი გაიტანა პრემიერლიგაში, რითაც ის ყველა დროის ბომბარდირთა.შორის მე-7 ადგილზე გადავიდა. ამ შედეგით მაიკლი მოქმედ ფეხბურთელებს შორის მეოთხეა.

150 და მეტი ბურთი ინგლისის ჩემპიონატის ელიტურ ლიგაში გაუტანიათ:

| | |
|---|---|
| 1. ალან შირერი | 260 |
| 2. ენდი კოული | 187 |
| 3. ტიერი ანრი | 175 |
| 4. რობი ფაულერი | 162 |
| 5. ფრენკ ლამპარდი | 157 |
| 6. უეინ რუნი | 151 |
| 7. მაიკლ ოუენი | 150 |

**ბომბარდირები**

18 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
16 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)
13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

**ასისტენტები**

8 - **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ხუან მატა** (ჩელსი)
7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ედენ აზარი** (ჩელსი)

**გოლი+პასი**

24 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 18+6
19 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 16+3
16 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 8+8
15 - **თეო უოლკოტი** (არსენალი) 9+6

**გაფრთხილებები**

7 – **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი), **მაიკ უილიამსონი** (ნიუკასლი)

**სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით**

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ედენ აზარი** (ჩელსი)
5. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)

**ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის**

229 მატჩი
160 მოგება
69 ფრე
117 მშრალად შენახული კარები
21 უგოლო მატჩი
651 გოლი
6 ჰეთთრიკი
39 პენალტი
21 ჯარიმა
121 თავით
470 ფეხით (+სხვა)
2.84 საშუალო შედეგიანობა
31 ავტოგოლი
477 ფეხბურთელი
26.0 საშუალო ასაკი
71 ეროვნების მოთამაშე
315 ლეგიონერი
696 ყვითელი ბარათი
29 წითელი ბარათი
8 გაძევება ორი ყვითლით
21 გაძევება წითელი ბარათით

**ტურის მწვრთნელი**

XXIII ტურში პრემიერლიგაში განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა და შესაბამისად, მწვრთნელებს შორის მხოლოდ ორია გამოსაყოფი. **ბრაიან მაკდერმოტი**, ვისმა "რედინგმაც" "ნიუკასლთან" შეხვედრა (2:1) შემოატრიალა და **ბრენდან როჯერსი** - ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტის შეგირდებმა "ნორვიჩი" გაასწორეს მიწასთან (5:0). ჩვენი არჩევანი უკანასკნელზე შეჩერდა. მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდით. განსაკუთრებით მან თავდამსხმელთა დუეტი (**სუარესი-სტარიჯი**) გამოყო: *"სუარესი ზუსტად ისეთ მაღალ დონეზე თამაშობდა, როგორც წინა შეხვედრებში. ის 100%-ით დაიხარჯა. სტარიჯმა კი დაამტკიცა, რომ მხოლოდ ბოლომდე ბრძოლა კი არ შეუძლია, არამედ შესანიშნავი საფეხბურთო აზროვნება აქვს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს დუეტი მეტოქეებს კიდევ უფრო მეტად დააფიქრებს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე".*

**ტურის გმირი**

XXIII ტურში დუბლი ოთხმა ფეხბურთელმა შეასრულა – სუონსელმა **ჯონათან დე გუზმანმა** "სტოკ სიტისთან", "ქალაქელმა" **დავიდ სილვამ** – "ფულჰემთან", სანდერლენდელმა **სტივენ ფლეტჩერმა** "უიგანთან" და რედინგელმა **ადამ ლე ფონდრემ** "ნიუკასლთან". უკანასკნელის მიღწევა განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ, რადგან 26 წლის თავდამსხმელმა მოედანზე სულ რაღაც 20 წუთი გაატარა, დუბლის შესასრულებლად კი 8 ეყო. აღსანიშნავია, რომ ადამისთვის ეს მიჯრით მეორე თამაშია, როდესაც სათადარიგოთა სკამიდან თამაშში ჩართულს გააქვს. წინა ტურში მან "ვესტ ბრომვიჩთან" პენალტით 88-ე წუთზე გაათანაბრა. სულ მის ანგარიშზე ჩემპიონატში 8 ბურთია. აღსანიშნავია, რომ მეორე ეპიზოდში საგოლე გადაცემა "არისტოკრატების" ახალწვეულმა, ასევე შეცვლაზე შესულმა **ჰოუპ აკპანმა** შეასრულა.

**გამორჩეული შეხვედრა**

| ხვალ | |
|---|---|
| არსენალი-ვესტ ჰემი | 23:45 |

**მომდევნო ტური**

| 29 იანვარი | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-სიტი | 23:45 |
| ასტონ ვილა-ნიუკასლი | 23:45 |
| სტოკ სიტი-უიგანი | 23:45 |
| სანდერლენდი-სუონსი | 23:45 |
| რედინგი-ჩელსი | 00:00 |

| 30 იანვარი | |
|---|---|
| ნორვიჩი-ტოტენჰემი | 23:45 |
| არსენალი-ლივერპული | 23:45 |
| ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 23:45 |
| ფულჰემი-ვესტ ჰემი | 00:00 |
| იუნაიტედი-საუთჰემპტონი | 00:00 |

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




არსენალი

# მერტეზაკერის უცნაური ფუნქცია




არსენ ვენგერმა პერ მერტეზაკერი, შეიძლება ითქვას, თავისი გუნდის მოლარედ დანიშნა

"არსენალმა" დაადასტურა, რომ "დეილი მეილის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია ფეხბურთელთა დისციპლინური სახდელების (თუკი სამართლებრივ ტერმინს გამოვიყენებთ) შესახებ სრული სიმართლეა. ჩრდილოლონდონელებს სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგან ტაბლოიდმა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინა, რომელიც გასახდელის კედელზე იყო გაკრული და სადაც ამა თუ იმ ქმედებისთვის ჯარიმების შესაბამისი სანქცია იყო მითითებული. რაც ყველაზე უცნაურია, ვენგერის "ბრძანებით" ფეხბურთელებს ჯარიმა ნაღდ ფულზე უნდა გადაეხადათ და **პერ მერტეზაკერისთვის** ჩაებარებინათ. გაითვალისწინეთ, რომ დროის გადაცილების შემთხვევაში თანხა ორმაგდება. *"რატომ მერტეზაკერი? იმიტომ, რომ გერმანელები ის ხალხია, რომლებიც ყველანაირ ფულს აკეთებენ,"* - განუცხადა 63 წლის ფრანგმა გაოცებულ ჟურნალისტებს. *"გავრცელებული ფოტო ნამდვილია. როგორც დავადგინეთ, ის ჩვენი თანამშრომლის მეგობარმა გადაიღო, რომელიც ბაზაზე კერძო ვიზიტით გვესტუმრა. საპასუხოდ ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ვიზიტის პროცედურებს გადავხედოთ,"* – ნათქვამია "არსენალის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ახლა კი გთავაზობთ ჯარიმების ნუსხას კლებადობის მიხედვით:

1 000 ფუნტი – განაცხადში ვერმოხვედრილი ფეხბურთელის საშინაო მატჩებზე არდასწრება.

500 – 15 წუთზე მეტით ვარჯიშზე ან სამედიცინო კაბინეტში დაგვიანება; გასვლით თამაშზე გამგზავრების წინ ტრანსპორტზე დაგვიანება; სატელეფონო ზარები ბაზიდან (sms-ები ნებადართულია); კომერციულ ღონისძიებებზე გამოუცხადებლობა.

250 – ვარჯიშზე ან მასაჟზე დაგვიანება; თამაშის დღეს შეკრებაზე ან სადილზე დაგვიანება;

200 – ორი კვირის განმავლობაში შარდის ანალიზის ჩაუბარებლობა.

100 – არასწორი ფორმა თამაშის დღეს; გასახდელს მიღმა მიუღებელი ტანსაცმლით გასვლა; ქუჩის ფეხსაცმლის შეტანა გასახდელში; ტელეფონის, ნოუტბუკის ან გაზეთის სამედიცინო კაბინეტში შეტანა; გაზეთის შეტანა გასახდელში.

მანჩესტერ იუნაიტედი




# იმედი, რომელიც გაქრა

ბრიტანული მედია დავიდ დე ხეას იუნაიტედიდან აბარგებას უწინასწარმეტყველებს

გუშინდელი The Telegraph-ის მტკიცებით, "ტოტენჰემთან" შეხვედრაში **დავიდ დე ხეას** მიერ დაშვებული გადამწყვეტი შეცდომის შემდეგ (გამოსვლაზე შეცდა, რითაც მასპინძლებმა ისარგებლეს და გაათანაბრეს) "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** 22 წლის ესპანელი გოლკიპერისადმი ნდობა საბოლოოდ დაკარგა.

შოტლანდიელი მომდევნო სეზონისთვის ახალი მეკარის ძებნას მალე შეუდგება. 2011 წლის ზაფხულზე მადრიდის "ატლეტიკოდან" დე ხეას შეძენა "ეშმაკებს" 18 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. ფერგის ეგონა, რომ დე ხეა **პეტრ ჩეხის** გზას გაიმეორებდა და ახალგაზრდულ ასაკშივე მოახერხებდა მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს ჩემპიონატში თავის დამკვიდრებას. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს, როცა ჩეხმა "ჩელსისთან" კონტრაქტი გააფორმა, 22 წლის იყო. 9 წელია, ის ლონდონური გრანდის უცვლელი პირველი ნომერია. "იუნაიტედის" დამრიგებელს მიაჩნია, რომ მისი შეგირდი ფიზიკურად უფრო უნდა მომძლავრებულიყო ინგლისში გატარებული 1,5 წლის განმავლობაში. თავისთავად ეს არ არის გამოუვალი მდგომარეობა, თუკი დე ხეა მონდომებს და ტრენაჟორებზე ვარჯიშს მეტ დროს დაუთმობს, მაგრამ წმინდა საფეხბურთო კომპონენტებს რაც შეეხება, გოლკიპერმა ოდნავადაც ვერ გააუმჯობესა გამოსვლებსა და ფლანგურ ჩაწოდებებზე თამაში. სერ ალექსი ფიქრობს, რომ მცველებსა და მეკარეს შორისაც მეტი შეთამაშებაა საჭირო. დე ხეამ კი დღემდე ვერ ისწავლა თანაგუნდელების მართვა კონკრეტულ სიტუაციებში.

სეზონის დასრულებამდე "იუნაიტედს" ისევ დე ხეას იმედად მოუწევს ყოფნა, რადგან **ანდერს ლინდეგორს** ის რეაქციით მაინც სჯობს. დანარჩენ კომპონენტებში კი დანიელი ესპანელს ბევრით არ აღემატება. კონკრეტულ კანდიდატურებზე მსჯელობა ახლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფერგის სამიზნეში აუცილებლად მოექცევა "სტოკ სიტის" 25 წლის კარის მცველი **ასმირ ბეგოვიჩი**. ბოსნიელმა გიგანტმა (196 სმ) მიმდინარე სეზონში ყველა მოხიბლა თავისი თამაშით. თუკი მისი ამპლუის ფეხბურთელთაგან წელს პრემიერლიგაში ვინმეზე შეიძლება ითქვას, კარგად თამაშობსო, პირველ რიგში სწორედ ბოსნიელია. ფანტასტიკურ სეზონს ატარებს "ქუინზ პარკის" 33 წლის ბრაზილიელი **ჟულიო სეზარიც**, მაგრამ სამხრეთამერიკელი უკვე საპატიო ასაკშია, ფერგიუსონი კი შედარებით ახალგაზრდას ეძებს.

"წითელი ეშმაკების" ბოსებს დე ხეასთან გამოთხოვებას ურჩევს 70-80-იანი წლების "ლივერპულის" ლეგენდარული ცენტრალური მცველი **ალან ჰანსენიც**. *"იუნაიტედის" საჩემპიონო ამბიციები იქამდე დარჩება ეჭვქვეშ, ვიდრე მისი პირველი ნომერი გუნდს ასეთი ბრიყვული შეცდომებისგან არ დააზღვევს. "ტოტენჰემთან" შეხვედრის შემდეგ მე მას უკანასკნელ გაფრთხილებას მივცემდი,"* – აცხადებს ის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტურის შეჯამება

## ძალიან უცნაური ტურის ძალიან უცნაური ფაქტი:
# მესიმ გაიტანა და ბარსამ მაინც წააგო



მესიმ ზედიზედ მე-10 ტურში გამოიჩინა თავი, მაგრამ...

**ძალიან უცნაური რამ მოხდა ამ ტურში - ლეო მესიმ ლა ლიგის მატჩში გოლი გაიტანა და „ბარსელონამ" წააგო... ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ერთხელ, ოთხი წლის წინათ მოხდა. არადა, „ლა პულგას" ანგარიშზე ჩემპიონატში 121 გოლია!**

**ტოპ-5 ევროპულ ლიგებს „უკანასკნელი მოჰიკანი" დააკლდა - „ბარსელონამ" ყველაზე ბოლოს წააგო.**

### ბარსა-რეალობა

ესპანეთის ჩემპიონატის მეორე წრე საოცრად დაიწყო: „ბარსელონამ" სეზონში პირველი მარცხი იგემა, „რეალმა" კი პირველად ითამაშა ისეთ დონეზე, როგორც შეეფერება. ახლა პირველადგილოსანსა და მდევარ „ატლეტიკოს" შორის სხვაობა 8 ქულაა.

მართლაც უცნაური ტური იყო: „ბარსელონამ" წააგო, ხოლო „რეალმა" არა მარტო იმარჯვა, არამედ ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთა, თანაც სად - „მესტალიაზე".

### მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „რეალ სოსიედადთან" 2:3 წაგებულ მატჩში. მან 5-ჯერ დაარტყა კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად, გაიტანა გოლი. მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაარღვიეს წესი, თავად ერთხელ დაჯარიმდა და თამაშგარეში მოხვდა.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „ვალენსიასთან" 5:0 მოგებულ მატჩში. მან 3-ჯერ დაარტყა კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად, 2 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა. მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად 2-ჯერ დაარღვია წესი.

„ბარსას" მარცხის მიუხედავად ლეო მესიმ ძალიან კარგად ითამაშა, თუმცა რონალდო ამ ტურში უკეთესი იყო და ჩვენ „ტურნირში" სხვაობა ოდნავ შეამცირა - 9:14.

### ისით, თუ არა რომ...

* ლიონელ მესიმ ზედიზედ მე-10 ტურში გაიტანა გოლი.

* მარცხის მიუხედავად, „ბარსელონამ" მაინც გაიმეორა 2011 წლის რეკორდი: 55 ქულა 60 შესაძლებლიდან.

* ეს უკვე მეექვსედ მოხდა, რომ სწორედ „რეალ სოსიედადმა" შეძლო „ბარსელონას" წაუგებელი სვლის შეჩერება.

* ლეო მესის გოლი „რეალ სოსიედადის" ისტორიაში 3 000-ე მიღებული ბურთია.

* ლეო მესიმ ლა ლიგაში 121 გოლი გაიტანა და აქედან მხოლოდ 2-ში დამარცხდა „ბარსა", ამ ტურში და 2009 წელს „ატლეტიკოს" წინააღმდეგ (3:4).

* მადრიდის „რეალმა" ზედიზედ 4 ჩემპიონატში დაამარცხა „მესტალიაზე" „ვალენსია". აქამდე ასეთი მიღწევა „სამეფო კლუბს" არ ჰქონია.

### ტურის ფრაზები

**ფილიპ მონტანიე:** *„ბიჭები არ შეეგუვნენ წაგებას, 0:2 კი არა ლამის 0:3 გახდა და მაინც ბოლომდე იბრძოლეს. ისინი ამისთვის რაიმე მნიშვნელოვან ნომინაციაზე წარდგენასაც იმსახურებენ. „ბარსა" ფანტასტიკური გუნდია, 10 კაცითაც"*, „რეალ სოსიედადის" თავკაცი ისტორიული გამარჯვების შემდეგ.

**ტიტო ვილანოვა:** *„პიკეს ჯარიმა იყო ძალიან ჩვეულებრივი, ასეთი 200-ია თითო მატჩში, ხშირად ყურადღებასაც არ აქცევენ ხოლმე. თავიდან შანსები გამოვიყენეთ, მაგრამ „რეალმა" ყურები არ ჩამოყარა. ყველა თამაშს ვერ მოიგებ, ეს ჯერ არავის გაუკეთებია. ერთ დღესაც ჩვენც უნდა წაგვეგო"*, - „ბარსელონას" თავკაცი 2:3 მარცხის მერე.

**უნაი ემერი:** *„თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგი მაღელვებს"*, - „სევილიას" ახალი მესაჭე.

**მანუელ პელეგრინი:** *„მოედანი უფრო საციგუროს წააგავდა, ვიდრე საფეხბურთოს. ფეხბურთის თამაში შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს არ გვამართლებს, რადგანაც მეტოქეც ანალოგიურ სიტუაციაში იყო"*, - „მალაგას" ჩილელი მწვრთნელი „სელტასთან" 1:1-ის მერე.

**პაკო ხემესი:** *„ორივე გუნდმა კარგად ითამაშა, მოიგო იმან, რომელმაც მეტოქის კართან უფრო იყოჩაღა"*, - „რაიო ვალეკანოს" თავკაცი „გრანადასთან" 0:2 მარცხის მერე.

**ანხელ დი მარია:** *„ჩემი თამაშით ძალიან ბევრს ხმა ჩავაკმენდინე"*, - „ვალენსიას" კარში დუბლის ავტორი.

**ერნესტო ვალვერდე:** *„იმედი მაქვს, სათასო შეხვედრას რევანშისთვის გამოვიყენებთ"*, - „ვალენსიას" თავკაცი 0:5-ის შემდეგ.

**აიტორ კარანკა:** *„ასეთი წაგების შემდეგ „ვალენსია" უფრო საშიშია, ის შეეცდება თავისი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციას სათასო მატჩში"*, - ჟოზე მოურინიოს ასისტენტი 5:0-ის შემდეგ.

### ტურის მსხვერპლნი

**პატრიკ ებერტი** (ვალიადოლიდი)
**აპონიო** (სარაგოსა)
**გლენ ლოოვენსი** (სარაგოსა)
**რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო)

*„ვალიადოლიდი"-„სარაგოსას" შეხვედრა მეტად ხიფათიანი გამოდგა, მხოლოდ პირველ ტაიმში 3 ფეხბურთელი ისე დაიმტვრა, რომ შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. კვირას კუნთი დაიზიანა „ატლეტიკოს" ფორვარდმა რადამელ ფალკაომაც.*

### ტურის საუკეთესო გოლი

**კიკე სოლა** (ოსასუნა) „დეპორტივოს" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**კარლოს მარტინესი** (რეალ სოსიედადი) საგოლე პასი **იმანოლ აგირეჩეს.**

### ტურის სტატისტიკა

27 გოლი ტურში (2,7 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 4 ფრედ დასრულდა და 1 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 62 ყვითელი ბარათი 1 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **ანხელ დი მარია** (რეალი), **გონსალო კასტრო** (რეალ სოსიედადი).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ტარსი** (სარაგოსა, 18 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **40 000 - „მესტალია"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **7 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **20 - ვალენსია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **7 - ესპანიოლი, რეალ სოსიედადი, მალაგა, რეალი, ვალიადოლიდი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **22 - ვალენსია**

ყველაზე მეტი კუთხური: **10 - რაიო ვალეკანო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **6 - ვალიადოლიდი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **68% - ბარსელონა**

### მომდევნო ტური

26 იანვარი: **სელტა-რეალ სოსიედადი, ლევანტე-ვალიადოლიდი, სარაგოსა-ესპანიოლი, დეპორტივო-ვალენსია.**

27 იანვარი: **რეალი-ხეტაფე, რაიო ვალეკანო-ბეტისი, ბარსელონა-ოსასუნა, ბილბაო-ატლეტიკო, მალიორკა-მალაგა.**

28 იანვარი: **სევილია-გრანადა.**



ვალენსიის ცოდვა ამ სამეულის კისერზეა

**ტურის გმირი**

**იმანოლ აგირეჩე (სოსიედადი)**



ფორვარდს ბევრი არაფერი გაუკეთებია, შეცვლაზე შევიდა და გოლი გაიტანა. მაგრამ ამ გოლმა ტოპ-5 ევროპული ლიგების უკანასკნელი ბასტიონი, „ბარსა" დასცა.

ლიონელ მესი მე-15-ედ, ხოლო კრიშტიანო რონალდო მე-8-დ მოხვდნენ სიმბოლურში. გვყავს სამი დებიუტანტიც: მარკ ვალიენტე „ვალიადოლიდის" ცენტრალური მცველი, ახალგაზრდა რაფაელ ვარანი „რეალიდან" და რაც ყველაზე საოცარია, „რეალ სოსიედადის" შემტევი ნახევარმცველი გონსალო „ჩორი" კასტრო. საოცარი კი ისაა, რომ სამხრეთამერიკელი პირველად მოხვდა რჩეულთა შორის.

### ბომბარდირები

29 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
18 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### ასისტენტები

12 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

37 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**კოკე (ატლეტიკო)**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## კაპიტანმა კონტრაქტი განაახლა



გუშინ „ბარსელონას" 34 წლის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლამდე განაახლა. კონტრაქტზე ხელის მოწერის ცერემონიალი კლუბის ოფისში გაიმართა. პუიოლი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდებოდა, მაგრამ ვეტერანი ჯერ კიდევ დეკემბერში დათანხმდა ხელშეკრულების გაგრძელებას. შეგახსენებთ, რომ ახლახან კლუბთან კონტრაქტი გააგრძელეს **ჩავიმ** (2016) და **ლეო მესიმ** (2018), ხოლო **ვიქტორ ვალდესმა** ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა.

## ლაპორტა: გვარდიოლამ ბარსა როსელის გამო დატოვა

„ბარსელონას" ყოფილი პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** გუნდიდან **ხოსეპ გვარდიოლას** წასვლის მიზეზებზე ალაპარაკდა. მოგეხსენებათ გვარდიოლამ შარშანდელი სეზონის შემდეგ ფეხბურთისგან ერთწლიანი პაუზა აიღო და ახალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნს" გაწვრთნის.

*„თავიანთი ქმედებებით „ბარსას" ახალმა ხელმძღვანელებმა იმდენს მიაღწიეს, რომ პეპი თავს გამოფიტულად გრძნობდა. მაგალითისთვის, როცა „ბარსელონას" ფეხბურთელებს დოპინგის გამოყენება დააბრალეს, ხელმძღვანელობას თავი არ მოუკლავს რეაგირებისთვის და ამაზეც გვარდიოლა ზრუნავდა. არადა, მწვრთნელი და ფეხბურთელები ასეთი შემოტევებისგან დაცულნი უნდა იყვნენ. არასოდეს არ მჯეროდა გავრცელებული აზრის, თითქოს, ჟოზე მოურინიოს გამო დატოვა პოსტი პეპმა, ეს მან კლუბის ახლანდელი პრეზიდენტის, სანდრო როსელის გამო გააკეთა"*, - თქვა ლაპორტამ.

## ინიესტა: კარიერის დასრულება ბარსაში მინდა

„ბარსელონას" 28 წლის ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა** იმედოვნებს, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულება სხვა კლუბში არ მოუხდება.

ინიესტა, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელი არ არის (ანდალუსიელია) „ბარსელონას" აღზრდილია და პირველ გუნდში უკვე 400-ზე მეტი მატჩი აქვს გამართული.

*„ჩემი სურვილი ალბათ ყველასთვის გასაგები იქნება - მსურს კარიერა აქ დავასრულო, „ბარსელონაში". ერთადერთი, რის გამოც შეიძლება გადაწყვეტილება შევცვალო, ჩემი თამაშის დონეა. თუ ის მკვეთრად გაუარესდება და მივხვდები, რომ „ბარსელონას" დონეს აღარ შევეფერები, მე გუნდიდან წავალ"*, - განაცხადა ანდრესმა.

## ლუგანო პსჟ-დან მალაგაში გადავიდა

ურუგვაის ნაკრების კაპიტანი **დიეგო ლუგანო** „პარი სენ-ჟერმენიდან" „მალაგაში" გადაბარგდა. 32 წლის ცენტრალური მცველის კარიერა პარიზულ კლუბში, სადაც 2011 წელს „ფენერბაჰჩედან" გადავიდა, არ აეწყო. ამ სეზონში **კარლო ანჩელოტიმ** ერთხელაც არ ათამაშა სამხრეთამერიკელი.

ფრანგულ და ესპანურ კლუბებს შორის საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა. ლუგანო სეზონის ბოლომდე ანდალუსიაში ითამაშებს, „მალაგას" მისი გამოსყიდვის უფლება არ აქვს.

დიეგო ლუგანომ ურუგვაის ნაკრებში 72 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

რეგიონი. ინტერვიუ კასპის რაიონის გამგებელ ოლეგ იაძესთან

# ჩვენს რაიონს მეტი შეუძლია

**საქართველოს სამბისტთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე, ორიოდ თვის წინათ კასპის რაიონის გამგებლად დაინიშნა. სპორტიდან მოსული ადამიანი, ამ სფეროს მიმართ რომ ყურადღებას გაზრდიდა, არავის გაჰკვირვებია. წინასაახალწლოდ რაიონის წარმატებულ სპორტსმენთა სხვა რაიონებთან შედარებით გაცილებით მეტი თანხით წახალისება ამის პირველი მაგალითი იყო. ვივარაუდეთ, რომ იაძეს სამომავლოდ, როგორც ადგილობრივი, ისე საზოგადოდ ქართული სპორტის გულშემატკივართათვის არაერთი საინტერესო პროექტიც ექნებოდა ჩაფიქრებული. ალმოჩნდა, რომ ასეცაა. უფრო დაწვრილებით კი ინტერვიუში წაიკითხავთ.**


ოლეგ იაძე

- წინასაახალწლოდ ხელოვნების მუშაკებთან ერთად, ჩვენი რაიონის წარმატებულ სპორტსმენებს და მწვრთნელებს გავუწიეთ ფინანსური დახმარება. არ დავივიწყეთ არც ის ამაგდარი ვეტერანი სპორტსმენები, რომლების აქტიური კარიერის განმავლობაში ბევრი სიხარული მოუტანეს სამშობლოს. სამწუხაროდ, ისინი მრავალი წლის განმავლობაში არავის გახსენებია, არადა ყოველი ათიდან 6-7 ჯანმრთელობაშერყეული ანებებს სპორტს თავს. ამასთან ვეტერანების დაფასებით მინდა ახალგაზრდებმა დაინახონ, რომ ქვეყანა მათ ყოველთვის სცემს პატივს. წლეულს სულ 42 ადამიანი დავაჯილდოეთ, მერწმუნეთ, რომ გაისად ამ რიცხვს 150-მდე გავზრდით.

**- კასპის მთავარი სპორტული წარმატებები მუდამ საჭიდაო სახეობებზე მოდიოდა. კმაყოფილი ხართ მათი ამჟამინდელი მუშაობით?**

- ვერ ვიქნები კმაყოფილი, რადგან კასპს გაცილებით მეტი შეუძლია. სამაგალითოდ მიმაჩნია ის მუშაობა, რაც აგრეთვე დიდი ჩავარდნის შემდეგ გორის სკოლაში გია და ანზორ თენაძეებმა გასწიეს და ახლა როგორი ნაყოფიერი მუშაობაცაა იქ გაჩაღებული - ქვეყანამ იცის. ასეთივე ჩავარდნა გვაქვს ამჟამად კასპშიც, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

**- სხვა სახეობების განვითარება არ იქნება პრიორიტეტული?**

- მეგობრებთან იუმორით მითქვამს ხოლმე, მიუხედავად ჭიდაობის დიდი სიყვარულისა, სულაც არ მინდა კასპში მხოლოდ „ყურებდასრესილ" მოჭიდავეებს ვხედავდე. მნიშვნელოვანია ჩვენთვის მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის განვითარება. თუ რომელიმე ისეთ სახეობაში გამოჩნდა რაიონში პერსპექტიული ბავშვი, სადაც მწვრთნელი არ გვყავს, ან შესაბამისი სპორტული სექცია არ არსებობს, ხელი უნდა შევუწყოთ მის დედაქალაქში მივლინებას. არც ერთი ტალანტი არ უნდა დაიკარგოს.

**- კასპის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლისთვის დღემდე ვერ გაქაწყდა იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება. ამის გამო სხვა კლუბებში ფეხბურთელთა გადასვლისას სკოლას შემოსავალი ერთი თეთრიც არ რჩება.**

- კასპის საფეხბურთო სკოლას ხელმძღვანელობს გამოცდილი და შესანიშნავი სპეციალისტი, ბატონი ავთო ჯალალი. ნებისმიერ საკითხში, რაც საჭიროა ფეხბურთის განვითარებისათვის, მე მას ყოველმხრივ გვერდში დავუდგები.

**- გამართული მუშაობისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა საჭირო. დაგვეთანხმებით, რომ კასპის სპორტული ობიექტების მდგომარეობა დღესდღეობით სავალალოა.**

- რასაკვირველია, მდგომარეობა ცუდადაა, მაგრამ წლეულს ორ მილიონ ლარამდე გვაქვს გამოყოფილი ამ ობიექტების მოსაწესრიგებლად. გავარემონტებთ საფეხბურთო სტადიონს, ჭიდაობის, კალათბურთის დარბაზებს. მოეწყობა კვების ბლოკიც. ეს ობიექტები კასპში ერთადაა თავმოყრილი და კეთილმოწყობის შემდეგ საკმაოდ თანამედროვე და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპორტულ კომპლექსს მივიღებთ. აუცილებლად გაიზრდება მწვრთნელების სახელფასო ანაზღაურება, იქნება მუხლჩაუხრელი მუშაობა მთელი დღის განმავლობაში.

**- ნებისმიერი რაიონული ცენტრისთვის სპორტული ნაკადის თავწყარო სოფელია...**

- გეთანხმებით და მათთვის გვინდა სოფლებში არსებული დარბაზები თუ მოედნები კეთილმოვაწყოთ. გარდა ამისა ორ მიკროავტობუსს გამოვყოფთ სპეციალურად ბავშვების რაიონულ ცენტრში სავარჯიშოდ ჩამოსაყვანად. ერთი იმოძრავებს მტკვრის მარცხენა, მეორე მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფლებში. ამით მოგვარდება სოფლის სპორტსმენებისთვის აქამდე არსებული პრობლემა. საერთოდ, მინდა, რომ მაქსიმალურად ხელი შევუწყო ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში.

**- კასპში ტარდება რეგიონული ტურნირები, მაგრამ უფრო მასშტაბური შეჯიბრების ორგანიზებასაც ხომ არ გეგმავთ?**

- მოგეხსენებათ, რომ ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ და მაქვს კარგი ურთიერთობა ამ სახეობის ხელმძღვანელებთან ევროპასა და მსოფლიოში. ვაპირებ, წლეულს კასპის სტადიონზე ჩავატარო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საქართველოსა და ევროპის, ან მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებებთან. მსოფლიოს ნაკრების მეტოქეობის შემთხვევაში გავითვალისწინებთ მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებს, ევროპის ნაკრებთან შეხვედრის შემთხვევაში კი ნაკრებს მაისში გასამართი კონტინენტის პირველობის გამარჯვებულებით დავაკომპლექტებთ. ვგეგმავ ამ შეჯიბრებაზე სტუმრად მოვიწვიო მსოფლიოს სამბოს ფედერაციის თავკაცები და 10-ზე მეტი ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტი. ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებაში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" თანადგომის იმედი მაქვს.

**- დაბოლოს, თქვენ ორი თვის წინათ განაცხადეთ, რომ საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე აპირებდით კენჭისყრას...**

- მოხდა ისე, რომ ჩემგან შვილივით გაზრდილმა რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენმა თავად გადაწყვიტა ამ პოსტისთვის ბრძოლა. სამწუხაროდ, ისინი შემცდარი არიან, მაგრამ არ მინდა მათ ვეპაექრო, დავუთმობ ასპარეზს, დაე მომავალში მიხვდნენ ჩვენს ურთიერთობაში დაშვებულ შეცდომებს! ამიერიდან უფრო დიდ დროს შევალევ კასპში სპორტის განვითარებას, თუმცა სამბოსთვის ლამის მთელი განვლილი ცხოვრება მაქვს შეწირული და მის გარეშე არც ახლა შემიძლია. ამიტომ, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში ჩვენი ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად მიხილავთ და შეძლებისდაგვარად ისევ დავეხმარები ამ სახეობას.

**ვასილ ბალახაძე**
კასპიდან
*ავტორის ფოტო*

ხელბურთი

# არენაში თამაშები განახლდა

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ინიციატივით ჯერ კიდევ შარშან დაიწყო აქტიური მზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. მოზარდების სპორტული დღესასწაულის პროგრამაში გოგონა და ვაჟ ხელბურთელთა პაექრობებიცაა გათვალისწინებული.

1998-1999 წლებში დაბადებულთათვის ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ რამდენიმე სასელექციო ტურნირი გამართა თბილისსა და რეგიონებში, ჩამოყალიბდა 19 გუნდი. საქართველოს პირველობამ შარშან შემოდგომით აიღო სტარტი. თბილისის, ყვარლისა და ქუთაისის ქვეჯგუფებში ორ-ორი ეტაპის ორთაბრძოლები უკვე ჩატარდა. ორი დღის წინათ სასპორტო კომპლექს „არენაში" მესამე ეტაპის პაექრობები დაიწყო თბილისის ქვეჯგუფში, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობს. გაუწყებთ ორი ტურის შედეგებს: „პეგასი" - მართვე" 30:21, „შევარდენი" - „მერანი" 12:26, „კორიდა" - „აისი" 10:0; „შევარდენი" - „პეგასი" 4:26, „კორიდა" - „მართვე" - 27:25, „აისი" - „მერანი" 0:10. დღეს ითამაშებენ: „მართვე" - „შევარდენი", „პეგასი" - „აისი", „კორიდა" - მერანი".

ყვარელსა და ქუთაისში ასპარეზობები, შესაბამისად, 28-31 იანვარსა და 2-5 თებერვალს გაიმართება. თითოეული ქვეჯგუფიდან 4-4 საუკეთესო ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.

**ვაჟა დანელია**

თხილამურობა

### მეორე ეტაპს ბაკურიანი უმასპინძლებს

სამთო თხილამურობაში 2013 წლის საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა და თასის გათამაშებამ სტარტი შარშან წლის მიწურულს აიღო. როგორც გაუწყეთ, პირველ ეტაპს გუდაურმა უმასპინძლა. გიგანტურ სლალომში ლიდერობენ: **13-14-წლიანებში** - კატო გოცირიძე (გუდაური) და გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი); **15-16-წლიანებში** - ნუცა ხურცილავა (გუდაური) და გიორგი კურტანიძე; **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი**: სუსანა გავა (ბაკურიანი) და ალეკო ბენიაიძე (გუდაური).

კალენდრით მეორე-მესამე ეტაპებიც 12-13 და 26-27 იანვარს გუდაურში უნდა გამართულიყო, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ასპარეზობათა განრიგი შეიცვალა და უახლოეს თასის ეტაპს 30-31 იანვარს ბაკურიანში დიდველის ტრასა უმასპინძლებს.

### უილბლო დღე

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, 19 წლის **ჯაბა გელაშვილმა**, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის იბრძვის, გუშინ სლოვენიურ ტურნირზე სლალომში იასპარეზა. ამავე ტურნირში გამოდიოდა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი **სანდრო ოგბაიძე** (იგი წლეულს 17-22 თებერვალს რუმინელ ბრაშოვოში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას). სლოვენიაში გელაშვილმა და ოგბაიძემ პირველი დისტანცია ვერ ჩაამთავრეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. დავძენთ, რომ ზემოაღნიშნულ ფესტივალზე, სანდროს გარდა, გამოვლენ სამთო მოთხილამურეები - **ნიკოლოზ კოზანაშვილი, სოსო ჯაფარიძე** და **შოთა ნათაძე**, ასევე, **გიორგი წამალაიძე** და **ბექა მერკვილიშვილი** სნოუბორდში, ხოლო **არმენ აგაიანი** - ფიგურულ ციგურაობაში.



### თოვლის დღეს მიეძღვნა

გუდაურში თოვლის საერთაშორისო დღე საქართველოს სათხილამურო სპორტის ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით მეორედ აღინიშნა. ღონისძიება თოვლის, მთისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას მიეძღვნა. ზეიმი განსაკუთრებით მოზარდების ესტაფეტამ გაახალისა - სპორტსკოლების წარმომადგენლები სწრაფდაშვებაში ორ გუნდად შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ასპარეზობის მონაწილეებს ამ დღის აღსანიშნავად სპეციალური მაისურები გადაეცათ საჩუქრად.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ქართველთა პირველი ქულები

გიბრალტარში გუშინ დაიწყო და იანვრის ბოლომდე გასტანს მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობს. **ნანა ძაგნიძემ** იოლად სძლია ფრანკო ვებერს (ესპანეთი), ხოლო **სალომე მელიამ** დაძაბული პაექრობის შემდეგ გააჩერებინა საათი ანტონ კანონეს (საფრანგეთი).

ასპარეზობის სტარტზე სიურპრიზები შემოგვთავაზეს ფავორიტებმა: უკრაინელი ვასილი ივანჩუკი (2758) ბერძენ ხრისტოს ზიგოურისს დაუზავდა, არადა, მეტოქეს მსოფლიოს რეიტინგში 540 პუნქტით (!) უსწრებს. კლასიფიკაციაში, ფაქტობრივად, ამდენივე სხვაობაა ამერიკელ გატა კამსკისა (2740) და შვეიცარიელ ანდრეას აერნს (2206), შორის, მაგრამ ოკეანისგაღმელი მხოლოდ ყაიმს გამორჩა. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა დანარჩენი 27 პარტია კი შედეგიანი აღმოჩნდა: გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს მაიკლ ადამსმა (ინგლისი), რადოსლავ ვოიტაშჩეკმა (პოლონეთი), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა (საფრანგეთი), დავიდ ნავარამ (ჩეხეთი), ალექსეი შიროვმა (ლატვია), ნაიჯელ შორტმა (ინგლისი) და სხვებმა.

დღეს მე-2 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ტოჩინოშინი: ერთის მიზნამდე

ახალი წლის ბაშოს მე-10 დღეზე გამარჯვების შემდეგ ქართველ სუმოისტ **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** მიზნამდე ერთი მოგებაღა აშორებს. ჩვენებურს 7-3 ბალანსი აქვს, მე-8 გამარჯვება კი სამომავლოდ რეიტინგში წინსვლას ნიშნავს. ტოჩინოშინმა ვეტერანი **ვაკანოსატო** დოჰიოს ცენტრში დააგდო. ლევანის მორიგი მეტოქე **ტაკარაფუჯია**, რომელმაც უკვე გაინაღდა ბაშოზე დადებითი ბალანსი (8-2). აქამდე ქართველი ერთხელ შეხვდა ტაკარაფუჯის და მოუგო.

**თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** კი დამარცხდა, მას ტანდაბალმა **ტოიონოშიმამ** მიწოლით აჯობა. ჩვენებურს 3-7 ბალანსი აქვს და თუკი **იკიოისთანაც** წააგებს, რეიტინგში დაქვეითება არ ასცდება. გაგამარუ იკიოის პირად შეხვედრებში 2:1-ს უგებს.

ბაშოს 10 მოგებით დიდი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** უდგას სათავეში, მას 9 მოგებით კვალში დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** მიჰყვება.



**IX დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები)**: ჰარუმაფუჯი-ბარუტო (ოკურიდაში), ჰაკუჰო-გოეიდო (უვატედაშინაგე), კაკურიუ-კაისეი (უვატედაშინაგე), კოტოოშუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), კისენოსატო-კოტოშოგიკუ (კიმედაში), ამინიშიკი-შოჰოზანი (ცუკიოტოში), მიოგირიუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), ტოიონოშიმა-**გაგამარუ** (ოშიდაში), ტაკეკაძე-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), **ტოჩინოშინი**-ვაკანოსატო (ჰიკიოტოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

10-0: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)
9-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა)... 7-3: ტოჩინოშინი (მაეგაშირა 6)... 3-7: გაგამარუ (მ 4).

**X დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები)**: ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ, კისენოსატო-კაისეი, კაკურიუ-არანი, გოეიდო-შოჰოზანი, ბარუტო-მიოგირიუ, ტოჩიოძანი-ტოიონოშიმა, კიოკუტენჰო-ამინიშიკი, **გაგამარუ**-იკიოი, **ტოჩინოშინი**-ტაკარაფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

# პოდუბნიზე დანახული მეტოქეები

## კოლუაშვილი თბილისში სალაშქროდ ირაზმება

ამ უქმეებზე ტიუმენში დასრულდა „დიდი პრიზის" ტურნირი - ივან პოდუბნის მემორიალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც რუსეთის და მისი რეგიონების გარდა, აშშ-ის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და კიდევ რამდენიმე წამყვანი ქვეყნის გუნდები გამოდიოდნენ. თავშივე გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **სტეფან მარანიანი** (55), **რუსტამ ხუჩბაროვი** (60), **ადამ კურაკი** (66), **რომან ვლასოვი** (74), **ალექსეი მიშინი** (84), **ნიკიტა მელნიკოვი** (96; ყველა - რუსეთი) და **ნი სიაომინი** (120, ჩინეთი).

სხვების არ ვიცი, რუსებისთვის კი ეს 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩამოთვლილთაგან ბევრი მარტში თბილისშიც გვესტუმრება, თუმცა არის ერთი გარემოება - რუსთა ქართველმა თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმა** თავდაპირველი დაპირება ბოლო მომენტში შეცვალა და



რომან ვლასოვი (წინა პლანზე) თბილისშიც იჭიდავებს

ლონდონის ოლიმპიადის მედალოსანთა უმეტესობა დაასვენა. იმათგან მხოლოდ ჩემპიონმა რომან ვლასოვმა იჭიდავა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. თბილისამდე რუსები თეირანშიც იჭიდავებენ მსოფლიოს თასზე და, სავარაუდოდ, „ოქროს დიდ პრიზებზეც" გამოვლენ თურქეთსა და უნგრეთში. კოლუაშვილიც ამის შემდეგ დაასახელებს თბილისში წამოსაყვან შემადგენლობას, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება, თუ ვისზე აილონ სწორება ჩვენმა მწვრთნელებმა, ახლავე შეიძლება.

## ჩინელები მსოფლიოს აქაც უტევენ

მართალია, ჩინელი მძიმეწონოსანი თბილისში ვერანაირად ვერ გვესტუმრება ევროპირველობის საჭიდაოდ, თუმცა ამ ათლეტის გამოსვლა მაინც საკმარისია ყურადღების მისაქცევად. მძიმე წონაში რუსებს კრიზისი აქვთ და არც ტიუმენში ჩასულ სხვა გუნდებს მოეძევებოდათ ვარსკვლავები, მაგრამ სიაომინის ზეობას მთლად საკადრო კრიზისსაც ვერ დავაბრალებთ, თვითონაც ძალიან ძლიერად იჭიდავა. ჩინელების და მათი ალქიმიისას ბევრს ვერაფერს გაიგებ (ანუ არ გამოვრიცხავთ, რალაც აკრძალული მეთოდებითაც იყო ასეთ ჩინებულ ფორმაში), მაგრამ ამ მომზადების სტაბილურად შენარჩუნებას თუ შეძლებს, მაშინ მძიმე წონას ახალი ფავორიტი მოვლენია და ეგაა. თუმცა არ გამოვრიცხავთ, მათთვის ჩვეული ალქიმიკოსობით¥იქნებ ამ ტურნირს შეხვდა ასე კარგად მომზადებული და მომავალში ტემპი დააგდოს, მაგრამ ფაქტია, რომ მან 2007 წელს ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოსთვის იჭიდავა. მართალია, მაშინ ის 96-ში გამოდიოდა და ზემოხსენებულ მელნიკოვთან დამარცხდა, მაგრამ, ეტყობა, მას შემდეგ მიზანდასახულად ივარჯიშა, შეცდომებზე ისწავლა და ტიუმენში საშიშ მეტოქედ მოგვევლინა. ჩინელები ამ საჭიდაო სტილში ლიდერებს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ ბოლო წლებში, ანუ მას შემდეგ, რაც მშობლიური პეკინის ოლიმპიადისთვის დაიწყეს მზადება, მოულოდნელი გამოხდომები ახასიათებთ - 2006 წელს მსოფლიოს პირველობაზე ოქრო მოიპოვეს, 2011-ში - ბრინჯაო, პეკინის ოლიმპიადაზე კი ოქრომდე **მანუჩარ კვირკველიამ** (74) არ მიუშვა და ვერცხლს დააჯერა. ცხადია, ასეთ გამოხდომებში მათ პროფესიონალიზმი და ცნობილი ჩინური ხასიათიც ეხმარებათ.

## მიშინი არ ნებდება

პოდუბნის ტურნირის სხვა გამარჯვებულებიდან გამოსარჩევია მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსეი მიშინის გამოსვლა, რომელმაც ასევე ძალიან დამაჯერებლად იჭიდავა. არადა, ბაშკირეთის წარმომადგენელი უკვე 33 წლისაა. იმდენად კარგად იჭიდავა, ფრიად გულდასაწყვეტია, ტიუმენში მისი და ოლიმპიურ ჩემპიონ **ალან ხუგაევის** პაექრობა რომ ვერ ვიხილეთ. საინტერესოა, მათგან ვინ ჩამოვა თბილისში? ჩვენზე არაა დამოკიდებული, თორემ ინტრიგისთვის ხუგაევი გვირჩევნია - ამით **ვლადიმერ გეგეშიძეს** მასთან ოლიმპიადაზე მარცხისთვის რევანშის შანსი მიეცემოდა, თუმცა ევროპაზე გამოსვლა ჯერ არც ჩვენებურს გაუნალდებია.

66-ში კვლავ დამარცხდა ჩვენი მსოფლიოს ჩემპიონი თანამემამულე **ამბაკო ვაჩაძე**, რომელიც პრიზიორებშიც ვერ მოხვდა. აქ ფინალამდე კი მივიდა ნაკრებში მისი ოდინდელი ჩეჩენი მეტოქე, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ისლამ-ბეკ ალბიევი, მაგრამ ადიღეელ **ადამ კურაკთან** ვერაფერს გახდა. ადიღეელმა დამაჯერებლად მოუგო და პირველად მოიპოვა ასეთი დიდი წარმატება, რაც მას გზას უხსნის საერთაშორისო სარბიელისკენ.

60-ში **რევაზ ლაშხის** ერთ-ერთ სავარაუდო კონკურენტად **რუსტამ ხუჩბაროვი** ამოიზარდა, რომელიც აქამდეც შედიოდა რუსეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში. ამ წონაში არ უჭიდავია მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ზაურ კურამაგომედოვს**, მაგრამ, ვფიქრობთ, კოლუაშვილი ამ ეტაპზე პირველ ნომრად მაინც ხუჩბაროვს დააყენებს და თბილისშიც მას ჩამოიყვანს. მით უფრო, 55-დან ამონაცვლებული ოლიმპიური ჩემპიონი **ნაზირ მანკიევი** მესამეზე დარჩა. თან ხუჩბაროვი მეორეზე გასულ **ივან კუილაკოვზე** ბევრად გამოცდილი და მებრძოლია. სავარაუდოდ, ნაზირ მანკიევი საბოლოოდ შეიცვლის წონას - ეს მას წინა წლებშიც სურდა და თან 55-ში ძმას, **ბეკხან მანკიევსაც** აღარ გადაელობება. თუმცა ინგუშ ფალავანს 60-ში ბიძაშვილი - **ახმედ ჩაკაევი** ხვდება, რომელმაც ამჯერად გამოტოვა ეს შეჯიბრება.

ხუჩბაროვის დარად, მელნიკოვი და მარანიანიც დიდი ხანია იბრძვიან თავიანთ წონებში ლიდერობისთვის. მელნიკოვს შარშან ეს **რუსტამ ტოტროვმა** არ დაანება. ვნახოთ, რა მოხდება წლეულს მათ დავაში, თუმცა ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა ტოტროვმა ყოველმხრივ აარიდა თავი პოდუბნიზე ჭიდაობას. დიდი შანსია, მან ევროპისთვის მოსამზადებელი ციკლიც გამოტოვოს და თბილისში მაინც მელნიკოვი ვიხილოთ. მარანიანი შარშან ამ ტურნირზე ფინალში გავიდა, იქ კი ოლიმპიადის მომავალ ყალმუხ პრიზიორ **მინგიან სემენოვთან** დამარცხდა. ვფიქრობთ, მელნიკოვზე უფრო რეალური თბილისში მისი ჩამოსვლაა.

ამჟამად მშობლიურ კრასნოიარსკში სამხედრო სამსახურში მყოფმა ვლასოვმაც ძლიერად იჭიდავა და შესანიშნავი მზადყოფნა გამოავლინა, თუმცა ფინალში **ალექსანდრ ჩიხირკინთან** პირველი პერიოდი დათმო და მოსაგებად დამატებითი დრო დასჭირდა. ჩემპიონის ხასიათი აჩვენაო, ასე შეაფასა მისი ჭიდაობა კოლუაშვილმა. არადა, როგორც პირადი მწვრთნელის, ლეგენდარული **ალექსანდრ კარელინის** აღმზრდელ **ვიქტორ კუზნეცოვის** სიტყვებიდან ირკვევა, ბოლო დღემდე კიდევ არ ყოფილა გარკვეული, იჭიდავებდა თუ არა ვლასოვი ამ შეჯიბრებას და დასკვნითი შეკრების ნახევარიც კი გამოუტოვებია. ასევე გაურკვეველი ყოფილა, იასპარეზებს თუ არა ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიოს თასზე. სამაგიეროდ, კუზნეცოვმა დაადასტურა, რომ ვლასოვი თბილისში აუცილებლად ჩამოვა ევროპის პირველობაზე. ცხადია, ეს ფრიად გაურთულებს საქმეს ჩვენს ფალავანს, რომელსაც დააყენებენ მწვრთნელები, მაგრამ აამაღლებს შეჯიბრების საერთო დონეს.

**ირაკლი თავაძე**

● შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გამიგია, რომ ტარდება ევროპის მცირე ქვეყნების თამაშები. როგორია მოთხოვნები და შეუძლია თუ არა საქართველოს მონაწილეობა მიიღოს ამ თამაშებში?

კახა სარალიძე
რუსთავი

**პასუხი:** ევროპის მცირე ქვეყნების თამაშები კომპლექსური შეჯიბრებაა, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის რვა უმცირესი ქვეყნის (ანდორა, ისლანდია, კვიპროსი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, სან-მარინო) სპორტსმენები. ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, რიგრიგობით ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში. პირველად გაიმართა 1985 წელს სან-მარინოში.

თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობაც მილიონს არ აღემატება. შეჯიბრებები იმართება მძლეოსნობაში, კალათბურთში, ძიუდოში, აფროსნობაში, სროლაში, ცურვაში, სქვოშში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● ჩვენ და სპორტის ოლიმპიური სახეობები



საქართველოს კალათბურთელთა გუნდი. 1926 წელი

# კალათბურთი

ქართული კალათბურთის ისტორია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. 1922 წელს მოსკოვში გამართულ ვსევობუჩის („ვსენაროდნოე ვოენნოე ობუჩენიე") სპარტაკიადაში მონაწილე თბილისელმა მძლეოსანმა ალექსანდრე ჭელიძემ შემთხვევით ნახა ბოძებზე დამაგრებული კალათბურთის ფარები და უცხო თამაში. ჭელიძე საქართველოს მუშფაკის (შემდგომში ინდუსტრიული ინსტიტუტი) ფიზკულტურულ წრეს ხელმძღვანელობდა და, თბილისში დაბრუნებულმა, მუშფაკის ეზოში (ახლანდ. უშანგი ჩხეიძის ქუჩა) კალათბურთის პირველი მოედანი მოაწყო. 1923 წლის მარტში ამ მოედანზე გაიმართა პირველი ოფიციალური მატჩი მუშფაკის ორ გუნდს შორის. პირველ კალათბურთელთა რიგებში იყვნენ გიორგი ეგნატაშვილის ტანვარჯიშული ჯგუფის წევრები მიხეილ ცხვედაძე, გიორგი საყვარელიძე, ბორის გერასიმოვი, ალექსანდრე დავიდოვი, მიხეილ იზაშვილი და სხვები. 1924 წელს თბილისელ რკინიგზელთა თაოსნობით მოეწყო ტურნირი 6 გუნდის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი „სინათლე" იმავე წელს ამხანაგური მატჩების გასამართავად ბაქოში გაემგზავრა. „სინათლის" გამარჯვებით დამთავრდა თბილისის პირველი ჩემპიონატი (1925). იმავე „სინათლის" კაცთა და ქალთა გუნდებმა მოიგეს 1927 წელს ქუთაისში ჩატარებული საქართველოს პირველი ჩემპიონატიც. იმ პერიოდში თბილისში მომრავლდა კალათბურთის მოედნები. გუნდები ჩამოყალიბდა სპორტულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, ქართული დივიზიის ნაწილებში, სასწავლო დაწესებულებებში. პარალელურად, კალათბურთი გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ქუთაისში კალათბურთის პირველი ფარი 1923 წელს აღიმართა გივი კილაძის თაოსნობით ე.წ. მესამე ლეგიონის ეზოში. 1926 წელს მოეწყო პირველი საქალაქო შეჯიბრება. იმავე წელს ქუთაისელი კალათბურთელები ბათუმს ეწვივნენ და ადგილობრივ გუნდებს შეხვდნენ. 1927 წელს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით აფხაზეთში მიავლინა ალექსანდრე ჭელიძე. შეიქმნა კალათბურთის შემსწავლელი ჯგუფები, მოეწყო შეჯიბრებები, ჩამოყალიბდა აფხაზეთის ნაკრები, რომელიც აქტიურად ჩაება საქართველოს პირველობაში. კალათბურთით განსაკუთრებით დაინტერესდა სტუდენტი ახალგაზრდობა. მარტო თბილისის უნივერსიტეტს ათეულობით გუნდი ჰყავდა, საქალაქო პირველობის სხვადასხვა ჯგუფში კი უნივერსიტეტელთა 12 გუნდი გამოდიოდა. 1930-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რამდენიმე ძლიერი გუნდი იყო, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ ლევან ფალავანდიშვილი, ვლადიმერ და რობერტ მდივნები, ვახტანგ ციციშვილი, არჩილ წერეთელი, ლეონიდ ძეკონსკი, შალვა ყიასაშვილი, გიორგი ავალიშვილი, შალვა დიასამიძე, სურენ ოგანეზოვი და სხვები. 1934 წელს ვახტანგ ციციშვილმა შეადგინა კალათბურთის სასწავლო პროგრამა. მანვე სპორტსაზოგადოება „სტროიტელთან" ჩამოაყალიბა კალათბურთის პირველი სკოლა, რომელმაც შემდგომ არაერთი ცნობილი კალათბურთელი აღზარდა.

ქართული გუნდები სსრკ ჩემპიონატებში 1934 წლიდან ჩაებნენ. ომამდელ წლებში ყველაზე უკეთ გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივი". 1944 და 1946 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, ლეონიდ ძეკონსკი, ბორის სარქისოვი, გივი ახვლედიანი, მიხეილ ფილიპოვი, ოთარ სულაბერიძე და სხვები. შემდეგ ქართულ კალათბურთში ლიდერობდა თბილისის „დინამო", რომელიც 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო, 1949, 1950, 1951 და 1969 წლებში სსრკ თასის მფლობელი, 1962 წელს კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ქართველ კალათბურთელებს სსრკ ნაკრების შემადგენლობაში არაერთ საერთაშორისო ტურნირში გაუმარჯვიათ, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში (ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია), მსოფლიოს (ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი) და ევროპის (ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, სერგეი კოვალენკო, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი) ჩემპიონატებში. კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა დროს სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ გიორგი ავალიშვილს, ლეონიდ ძეკონსკის, შალვა დიასამიძეს, მიხეილ კეკელიძეს, გერონტი ბაბახანიდს, გრიგოლ მეუნარგიას, ალექსანდრე მესხს, სულიკო თორთლაძეს და ოთარ ქორქიას. წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის მწვრთნელთა ნაყოფიერმა მუშაობამ და კალათბურთელთა ოსტატობამ საქართველოს სახელი გაუთქვა კალათბურთის სამყაროში. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ოფიციალური თუ ამხანაგური მატჩების გასამართავად ჩვენში ჩამოდიოდნენ ევროპის წამყვანი საკლუბო და ეროვნული ნაკრები გუნდები. 1958-72 წლებში თბილისს ოთხჯერ ეწვივნენ აშშ-ის კაცთა და ქალთა სამოყვარულო ნაკრებები.

ქალთა პირველი გუნდები საქართველოში 1930-იან წლებში შეიქმნა. მათგან საუკეთესო იყო თბილისის „ბურევესტნიკი", რომელმაც სსრკ ჩემპიონატში ზედიზედ ორჯერ (1965-66) დაიკავა მეორე ადგილი, 1969 წელს კი თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ამ გუნდში გამოდიოდნენ ელზა დურმიშიძე, ლიანა ქველიძე, ნელი ჯაფარიძე, ციალა ჯანელიძე, მედეა სურგულაძე, ალექსანდრა კოვზირიძე-რუსკინა და სხვები. ქართველ კალათბურთელ ქალთაგან ყველაზე ტიტულიანია ალისა ასიტაშვილი. მან სსრკ ნაკრებთან ერთად ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში (1954, 56).

1991 წლიდან ქართული კალათბურთი დამოუკიდებლად ვითარდება, 1994 წელს შეიქმნა საქართველოს კაცთა და ქალთა ეროვნული გუნდები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობენ. რამდენიმე ქართველი კალათბურთელი ევროპისა და ამერიკის ცნობილ კლუბებში თამაშობს.

**სპორტის ენციკლოპედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● ქორქია-საკანდელიძის მემორიალი



# ოლიმპირველი



მარცხნიდან: ნელსონი, მილოშევიჩი, ჭოჭუა



სტევან მილოშევიჩი (მარჯვნივ)



მიხეილ ბერიშვილი

**22 იანვარი**

**ფინალი**

**ოლიმპი-რუსთავი 80:67**

**23:16, 18:21, 25:22, 14:8**

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (3ქ), ტომარაძე (9ქ), სოკი (11ქ, 9პ, 6მ), ბერიშვილი (15ქ, 8მ, 3ჩ), მიქელაძე, ფაცაცია (13ქ, 9მ, 6პ), ა. დვალიშვილი (8ქ), მილოშევიჩი (17ქ, 20, 3დ), ანდრიუკაიტისი (4ქ, 6მ).

**რუსთავი:** ბოუი (16ქ, 5მ, 4პ), ცეკვავა (7ქ, 4მ, 3ჩ), ვატადი, აბაიშვილი, ჩაჩანიძე (3ქ), ნელსონი (12ქ, 5მ), ჭოჭუა (22ქ, 9მ), ტუჯანი (4ქ, 5მ, 3პ), ათანელიშვილი (3ქ), მაჭავარიანი, ხმელიძე.

საკალათბურთო კლუბი „ოლიმპი“ 2011 წელს „დაიბადა“. მასში თავიდანვე კარგი შემადგენლობა შეიკრიბა და თავმომწონე გუნდად იქცა. ამბიციურობა შარშანდელ სუპერლიგაშიც დაამტკიცა - ფინალში ითამაშა. თუმცა „ოლიმპს“ გუშინდელ დღემდე ერთი ჯილდოც არ ჰქონდა მოგებული. 22 იანვარს კი ანგარიში გახსნა - ქორქია-საკანდელიძის მემორიალში გაიმარჯვა და ლეგენდარული კალათბურთელების სახელობის თასი მოიპოვა.

მიზნის მიღწევა იოლი როდი იყო: წლეულს, როგორც არასოდეს, მემორიალზე ძლიერი და ამავე დროს თანაბარი შემადგენლობა შეიკრიბა. ჯგუფურ ეტაპზე „დინამომ“ თვით ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული „არმია“ დაამარცხა, მეორე დღეს კი დინამოელები „ოლიმპმა“ დასცა - 85:59. **გია კაზანჯიანის** განვრთნილმა ოლიმპელებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „არმიას“ ძლევით დაგვანახეს, რომ ტურნირის მოგება ხელეწიფებოდათ. თუმცა კიდევ უფრო რთული ფინალური ორთაბრძოლა იყო. „რუსთავმა“ ხომ „შსს აკადემიასთან“ 16-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ფინალის საგზური ისე მოიპოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მემორიალის გადამწყვეტმა მატჩმა საინტერესოდ ჩაიარა. ნეიტრალური ქომაგი სანახაობით ნამდვილად ისიამოვნებდა, „ოლიმპისა“ და „რუსთავის“ ქომაგებს კი დიდი სანერვიულო ჰქონდათ. თბილისელები არაერთხელ ავიდნენ +10 ქულაზე, მაგრამ რუსთაველთა ტრადიციული აფეთქებები ოლიმპელებს არათუ მეტად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა, არამედ ანგარიში ხშირად თანაბრდებოდა და ქვემოქართლელები წინაც გადიოდნენ. შეხვედრა ბოლო წამებამდე ინარჩუნებდა ინტრიგას, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებულის ბედზე მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში თბილისელთა მიერ ჩაგდებულმა სამქულიანებმა დიდად იმოქმედა (ჯერ **ტომარაძემ** გამოიყენა შორეული ტყორცნა, შემდეგ - ესტონელმა **სოკმა**). მეოთხე რაუნდი დაძაბულობისა და დაცვაში დიდი მონდომების გამო ქულამწირი გამოდგა. სწორედ ამიტომ იძენდა თითო ქულა ოქროს ფასს. საბოლოოდ ეს პერიოდი „ოლიმპმა“ 14:8 მოიგო და ისტორიაში პირველ თასსაც დაეუფლა.

ორგანიზატორებმა გამოავლინეს ორი საუკეთესო კალათბურთელი: **მიხეილ ბერიშვილი** (15 ქულა, 8 მოხსნა) და **სტევან მილოშევიჩი** (17 ქულა, 20 მოხსნა). მათ პრიზები ვეტერანებმა **გივი ბიჭიაშვილმა** და **ვალერი ლომაძემ** გადასცეს.

● საქართველოს თასი

# მეოთხედფინალს სოხუმი და სტუ მიუახლოვდნენ

სპორტის სამინისტროს დარბაზში, გუშინ, ვიდრე ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალისტები გამოვიდოდნენ მოედანზე, საქართველოს თასის საკვალიფიკაციო მატჩები გაიმართა. სისტემა ასეთია: ოთხი გუნდი პლეი-ოფის ფორმატით ავლენს ერთ საუკეთესოს, რომელიც თასის გათამაშების მონაწილე შვიდ გუნდს შეუერთდება და შეჯიბრება მეოთხედფინალიდან გაგრძელდება. წინასწარ ცნობილია ისიც, რომ საკვალიფიკაციო ეტაპიდან გასული გუნდი „არმიას“ დაუპირისპირდება. მეოთხედფინალისტთა დანარჩენი წყვილები ასეთია: „შსს აკადემია“-თსუ, „ოლიმპი“-“დინამო“ და „რუსთავი“-“ქუთაისი“. ასე და ამგვარად, 24 იანვრიდან საინტერესო ბრძოლები გველის, მანამდე კი ერთი მეოთხედფინალისტი გვყავს გამოსავლენი.

**22 იანვარი, თბილისი**

**ბათუმი-სტუ 53:79**

**13:21, 14:18, 10:24, 16:16**

**ბათუმი:** მაისურაძე (2ქ), რამიშვილი (11ქ), ნანიტაშვილი (8ქ, 5პ), ელიაშვილი (7მ), სიგუა (8ქ), ყველაშვილი (5მ), კეშელავა (22ქ, 12მ), ნინუა, კოკობინაძე (2ქ).

**სტუ:** ჩაჩიბაია (19ქ, 8მ), ფევზაძე (10ქ, 5მ, 3პ), კორკოტაძე, მინაშვილი (5ქ), მაჩალაძე (7ქ, 18მ), პირველაშვილი (21ქ, 18მ, 6პ), სულაბერიძე (2ქ), დ. დვალიშვილი, კუჭავა (12ქ, 5მ, 4პ, 4ჩ), ძიძიგური, ქორიძე (3ქ).

სუპერლიგის პირველ წრეში სტუ ერთადერთი გუნდია, გამარჯვება რომ არ მოუპოვებია. არადა, გუნდში ახალგაზრდული, საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი და წინასწარ ცხადი იყო, ადრე თუ გვიან, ტექნიკოსები თავის სიტყვას იტყოდნენ. აქეთკენ ნაბიჯი იანვარში გადადგეს - ჯერ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე „სამედიცინო“ 89:68 დაამარცხეს, ხოლო გუშინ თასის საკვალიფიკაციო რაუნდში „ბათუმს“ 26 ქულის სხვაობით სძლიეს.

ზღვისპირელებს წლეულს პრობლემები წინა ხაზში აქვთ, რაც სტუ-სთან შეხვედრაშიც გამოჩნდა: თბილისელებმა **გიორგი პირველაშვილმა** და **ზურაბ მაჩალაძემ** 18-18 მოხსნა გაიფორმეს, საბოლოოდ კი ამ კომპონენტში სტუ-მ 61:39 იმარჯვა. ნათქვამია, ვინც იგებს ფარს, თამაშსაც ის იგებსო. ცხადია, ეს ჭეშმარიტება ვერ დაირღვეოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ერთ გუნდს ფარქვეშ ესოდენ დიდი უპირატესობა ჰქონდა.

**სოხუმი-სამედიცინო 70:62**

**17:17, 22:18, 19:15, 12:12**

**სოხუმი:** მეგენეიშვილი (2ქ), ბულიავა, ჩლაიძე (34ქ, 5მ), კოპალიანი (4ქ, 11მ, 3პ), შვანგირაძე (7ქ), დეკანოიძე (12ქ, 15მ), ბააკაშვილი (3ქ, 6პ), ქადარია (4ქ, 10მ, 3პ, 3დ), მუჟნიეკსი (4ქ).

**სამედიცინო:** ჯიქია (3ქ), ბიბილური (3ქ), არწივიძე (4ქ, 7პ), შიოლაშვილი, გაბისონია (9ქ, 5პ, 8მ), მაისურაძე (3ქ), ფერიაშვილი (15ქ, 13მ, 6დ), გ. რევაზაშვილი (15ქ, 7მ), ჭიჭვეიშვილი (8ქ), ელიაძე (2ქ).

სოხუმელებმა იანვარში „რუსთავთან“ და „შსს აკადემიასთან“ თანაბრად იბრძოლეს, შესაბამისად გუშინ „სამედიცინოსთან“ შეიძლებოდა ფავორიტებადაც შეგვერაცხა. საბოლოოდ „სოხუმმა“ გაიმარჯვა კიდეც, თუმცა რთული ბრძოლა გადახდა - „მედიკოსები“ ბოლომდე მტკიცედ იდგნენ. ისინი „სოხუმს“, რომლის წიმყვანი კალათბურთელი მეფარე **ვახტანგ ქადარიაა**, არც ფარქვეშეთში ჩამორჩნენ დიდად. მეტოქეზე 12-ით მეტი ორქულიანიც გამოიყენეს, მაგრამ გადამწყვეტი პერიმეტრიდან ტყორცნები გამოდგა: „სოხუმმა“ 12 სამიანი ჩააგდო, „სამედიცინომ“ - 1.

პერიმეტრიდან 7-ჯერ (11-დან) ზუსტად გაისროლა **ვაჟა კვარაცხელიას** განვრთნილი გუნდის გამთამაშებელმა **ირაკლი ჩლაიძემ,** რომელმაც მემორიალზე ერთ მატჩში ჩაგდებული ქულების რაოდენობით ყველას აჯობა - 34.

დღეს 14 საათზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „სოხუმი“ და სტუ. გამარჯვებული, როგორც მოგახსენეთ, მეოთხედფინალში „არმიას“ წინაშე წარდგება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ბათუმი-სტუ. უტევს ტექნიკოსი ტატო ჩაჩიბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ბორჯღალოსნების დანაკლისი: კაკოვინი და ზირაქაშვილი

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ მატჩს 2 თებერვალს სტუმრად გამართავს ბელგიის ეროვნულ გუნდთან, რომელიც ამ ტურნირის დებიუტანტია. „ბორჯღალოსნები" ამ თამაშისთვის მოსამზადებლად საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში მომავალი კვირის დასაწყისში შეიკრიბებიან.**


დავით ზირაქაშვილი


ვასილ კაკოვინი

ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ერთი კვირის წინათ დაასახელა. თუმცა ახლავე უნდა ითქვას, რომ ტრავმების გამო იმ რაზმს ორი შერკინების ბურჯი დააკლდება. „ჰაინეკენის თასის" გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო დაძაბულ მატჩებს ორი ქართველი მორაგბის ჯანმრთელობა „შეეწირა". „ტულუზის" შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი** ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზთან" მატჩში თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო და მალევე შესაცვლელი შეიქნა. მან **მარტინ კასტროჯოვანისთან** შეტაკებისას ნეკნი გაიტეხა და ექიმების დასკვნით სამ კვირას ვერ ითამაშებს. მაშასადამე, კაკოვინი „ბორჯღალოსნებს" ბელგიისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრაში ვერაფრით დაეხმარება.

სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრებში ვერ ითამაშებს „კლერმონის" პირველხაზელი **დავით ზირაქაშვილი,** რომელმაც უელსში „ჰლანეჰლისთან" არაფრის მომცემ მატჩში მუხლი დაიშავა და მკურნალობა სჭირდება. ვის გამოიძახებს მათ ნაცვლად მილტონ ჰეიგი, ცნობილი ხვალ ნაშუადღევს გახდება.

ამასობაში გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა ჩვენი მეტოქის, ბელგიის ნაკრების თავკაცმა **რიჩარდ მაკკინტოკმა.** „შავი ეშმაკების" შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი ლეგიონერია. ფრანგული კლუბების მოთამაშეების გარდა (მონ დე მარსანი, პო, სენტ ეტიენი, პერიგო, ლილი, ლა ვულე, ბასტია, ლიონი, ტურნეფუა, ლა როშელი, არასი, ნანტი, ნიცა, აგდი, მონპელიე, მონლუსონი) ბელგიელთა გუნდში ორი სამხრეთ ნახევარსფეროში მოთამაშე მორაგბეა. ესენია: მესამეხაზელი **შარლ ფურნო** (მელბურნის ჰარლექვინზი) და შუამარბი **ვენსან ჰარტი** (დურბანი).

საგულისხმოა, რომ ბელგიელთა მთავარმა მწვრთნელმა გუნდში მხოლოდ ერთი მგეზავი მიიწვია, **კარლოს პიერო** (ნიცა). ეს გუნდი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 3 დივიზიონში ასპარეზობს. ბელგიელებს ასევე ერთი ჰყავთ ფულბეკიც, **ალან ვილიამსი,** რომელიც გუნდის მთავარი მექულეა, ფრანგული „მონლუსონის" ღირსებას იცავს. მის ანგარიშზე ეროვნულ გუნდში 451 ქულაა.

ალსანიშნავია, რომ თავად რიჩარდ მაკკინტოკი ფრანგული „სენტ ეტიენის" სპორტული დირექტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით ამ გუნდის ღირსებას ქართველი მორაგბეები **ირაკლი მაჩხანელი** და **ბესო უდესიანი** იცავდნენ.

შეგახსენებთ, რომ მატჩი ბრიუსელში „ეიზელის სტადიონზე" გაიმართება და მას იტალიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. მთავარი არბიტრი **მარიო ლიპერინი** იქნება. სავარაუდოდ, თამაშის ტელეტრანსლაცია არ შედგება.

### ბელგიის ნაკრები

პირველი ხაზი: **კევინ დემსი, სეპ დებაკერი, ალენ მირალაკისი (სამივე-ბუატსფორტი), ჟან ბატისტ დე კლერკი (მონ დე მარსანი), მაქსიმ ჟადო (პო), ჟულიენ მასიმი (სენტ ეტიენი), რაფაელ ოლივიე (პერიგო), ტომას დინსტი (ლილი), ნორმან ვენდე (ლა ვულე).**

მეორე ხაზი: **ბერტრან ბილი (სუაჟნიე), ჟულიენ მორელი (ბასტია), კირილ ნანა (ანდერლეხტი), ბასტიან ვერმუენი (ბუატსფორტი), მატიე ვერშელდენი (სენტ ეტიენი).**

მესამე ხაზი: **მიშელ დემოლდე (ბუატსფორტი), ტომას დემოლდე (ლიონი), შარლ ფურნო (მელბურნი), კორენტინ ლეკლუ, ტუურ მოლანტსი (ორივე-ბუატსფორტი), ენდრიუ ნეილი (ტურნეფუა).**

№9: **ჟულიენ ბერგარი (ლა როშელი), ჰენდრიკ ბრუვერსი (არასი), სებასტიან გუნსი (ბუატსფორტი), დანიელ იანსენი (ნანტი).**

№10: **კარლოს პიერო (ნიცა)**

№12-13: **ტიბო ანდრე (სუაჟნიე), ჟულიენ ბრებანი (ბუატსფორტი), დირკ ჰეიგჰედორენი (აგდი), ვენსან ჰარტი (დურბანი), ფდერიკ რონჟე (კიტურო).**

№11-14: **ჟულიენ პირონი (მონპელიე), მარკ ჩანჯი, ელიოტ ვან ტრაპენი (ორივე-ბუატსფორტი).**

№15: **ალან ვილიამსი (მონლუსონი).**

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

მეორე ხაზი: **გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია).**

№9: **გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).**

№10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).**

№12-13: **მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).**

№15: **ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).**

### ერთა თასი 2013

**I ტური**

**2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო
პორტუგალია-რუმინეთი
რუსეთი-ესპანეთი

**II ტური**

**9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

**III ტური**

**23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

**IV ტური**

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**V ტური**

**16 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-ბელგია


ბელგიის ნაკრები

მეტოქეები



# რუსები იოჰანესბურგში ისევ დამარცხდნენ

**ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ რუსეთის ეროვნულმა გუნდმა სამხრეთ აფრიკაში საწვრთნელი შეხვედრა დაასრულა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იოჰანესბურგში მეორე საწვრთნელი მატჩი გამართეს და მასშიც დამარცხდნენ.**

რუსთა გუნდის მეტოქე ამჯერად იოჰანესბურგის „ლაიონზი" იყო, რომელიც შარშან ზე რაგბის სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში ბოლო ადგილზე გავიდა და გათამაშებას გამოეთიშა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მეტოქე ყველა კომპონენტში, განსაკუთრებით კი შერკინებაში დაჩაგრეს და 51:13 დაამარცხეს.

თამაშის მსვლელობისას მატჩის არბიტრმა შუბური ბოჭვისთვის რუსთა დამრტყმელ **იგორ კლუჩნიკოვს** წითელი ბარათი უჩვენა. მას, სავარაუდოდ, ხანგრძლივვადიანი დისკვალიფიკაცია ელის. რუსეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს პირველხაზელმა ძმებმა **გრიგორი** და **ვალერი ცნობილაძეებმა.** მესამეხაზელი **პავლე კვერნაძე** განაცხადში არ იყო.

გუნდის უელსელი თავკაცის **კინგსლი ჯოუნზის** განცხადებით, იმ შემადგენლობას, რომელიც სამხრეთ აფრიკაში იმყოფებოდა შეკრებაზე ინგლისურ კლუბებში მოთამაშე **კირილ კულემინი** და **ვასილი არტიომოვი** დაემატებიან.

შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში რუსეთის ნაკრები 2 თებერვალს სოჭში ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

### რუსეთი-ლაიონზი 13:51

რუსეთი: **15. იგორ კლუჩნიკოვი, 14. ანდრეი ოტროკოვი, 13. იაროსლავ რეჩნევი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. მიხაილ ბაბაევი, 10. სერგეი იანუშკინი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. გრიგორი ცნობილაძე, 2. ვალერი ცნობილაძე, 3. ინოკენტი ზიკოვი, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. ანდრე გარბუზოვი, 6. ანდრეი ტემნოვი, 7. პაველ ბუტენკო, 8. ვიქტორ გრესევი.**

**16. ალექსეი ვოლკოვი, 17. სერგეი ნოვოსელოვი, 18. ევგენი პრონენკო, 19. მაქსიმ კისილევი, 20. არტიომ ფატახოვი, 21. ალექსეი შერბანი, 22. სერგეი სუგრუბოვი, 23. იგორ კურაშოვი.**



# სტეუარიმ ყველა უძლიერესს უხმო

**რუმინეთის ნაკრები ერთა თასის გათამაშების უმთავრესი ფავორიტია. „სტეუარის" უელსელმა თავკაცმა ლინ ჰოულიმ იმ 25 მორაგბის სია გააცხადა, ვინც 2 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.**

„მუხის ფოთლებში" ყველა რუმინელ ლეგიონერს უხმეს. ეს შემადგენლობა რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე ითამაშა. რუმინელები „ლობუშებს" ძირითადი პირველი ხაზით დაუპირისპირდება. ესენია: **მიჰაიტა ლაზარი** (კასტრი), **პაულიკა იონი** (ლონდონ ველში) **და პეტრე ტამბა** (კარდიფი). „სტეუარის" რიგებში ამჯერად ვერ მოხვდა „ტიმიშოარას" ქართველი შერკინების კვაჭი **ოთარ ტურაშვილი.**

ეროვნულ ნაკრებში დაბრუნდა მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა** (კარკასონი), გუნდისთვის სოლიდური ძალაა ძმები **ანდრეი** და **ვალენტინ ურსაკეები.** პირველი, რომელიც შერკინების ბურჯია, „კარკასონის" ღირსებას იცავს, ვალენტინი კი მეორეხაზელია და „იოონაქსში" თამაშობს.

ცვლილება არ შეხებია უკანა ხაზს. ეს რგოლი ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ყველაზე გამოცდილნი **ფლორინ ვლაიკუ** (სტიაუა) და **კატალინ ფერკუ** (ტიმიშოარა) არიან. წლეულს, სავარაუდოდ, ყურადღებას მიიქცევენ ადრიან აპოსტოლი (ფარული) და **რობერტ დესკალუ** (სტიაუა).

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: **მიჰაიტა ლაზარი (კასტრი), პაულიკა იონი (ლონდონ ველში), პეტრე ტამბა (კარდიფი), ანდრეი ურსაკე, ოვიდიუ ტონიცა (ორივე-კარკასონი), ეუგენ კაპატანა, დანიელ კარპო (ორივე-ტიმიშოარა), ანდრეი რადოი (ბაია მარე), ვალენტინ ურსაკე (იოონაქსი), მარიუს სირბე (ტარბი), კორნელ ტატუ, ვიორელ ლუკაჩი (ორივე-სტიაუა), ალექსანდრუ მიტუ (ბუქარესტი), მიჰაი მაკოვეი (სენ ნაზერი),**

უკანა ხაზი: **ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), კიპრიან კაპლესკუ (დინამო), დორინ მანოლე (ორტეზი), ფლორინ ვლაიკუ, რობერტ დესკალუ (ორივე-სტიაუა), ჩაბა გალი, კრისტიან დინისი, მიჰაი როსკა, მადალინ ლემნარუ, იონუც ნიაკსუ (ყველა-ბაია მარე), ადრიან აპოსტოლი (ფარული), კატალინ ფერკუ (ტიმიშოარა).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული

## უცხოური სპორტი

**კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი**



კარლოს ბუზერი

# კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზის“ ფორვარდი **კარლოს ბუზერი** და „ოკლაჰომა სიტის“ მცველი **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ბუზერი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. კარლოსი საშუალოდ მატჩში 23.0 ქულას (მეოთხე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში) და 14.8 მოხსნას (საუკეთესო ლიგაში) აგროვებდა. მან ოთხივე შეხვედრაში ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

დურანტის კარგი თამაშის წყალობით, „ოკლაჰომამ“ გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. მცველმა ფანტასტიკური შედეგიანობა აჩვენა - 37.5 ქულა დააგროვა. 18 იანვარს, „დალასთან“ მოგებულ შეხვედრაში დურანტმა კარიერის რეკორდი დაამყარა - 52 ქულა მიითვალა.

### ბუზერის კვირა

**14 იანვარი. ჩიკაგო-ატლანტა 97:58.** 20 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი.

**16 იანვარი. ტორონტო-ჩიკაგო 105:107.** 36 ქულა, 12 მოხსნა.

**18 იანვარი. ბოსტონი-ჩიკაგო 99:100.** 19 ქულა, 20 მოხსნა, 4 პასი.

**19 იანვარი. ჩიკაგო-მემფისი 82:85.** 17 ქულა, 14 მოხსნა.

### დურანტის კვირა

**14 იანვარი. ფინიქსი-ოკლაჰომა 90:102.** 41 ქულა, 5 მოხსნა, 2 დაფარება.

**16 იანვარი. ოკლაჰომა-დენვერი 117:97.** 20 ქულა, 4 პასი, 5 ჩაჭრა.

**18 იანვარი. დალასი-ოკლაჰომა 114:117.** 52 ქულა.

**20 იანვარი. დენვერი-ოკლაჰომა 121:118.** 37 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი“), **გრეივის ვასკესი** („ნიუ ორლეანი“), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა“), **ჯრიუ ჰოლიდეი** („ფილადელფია“) და **დემარკუს კაზინსი** („საკრამენტო“).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 38 | 26 | 12 | 68.4 |
| 2. ნიუ იორკი* | 39 | 25 | 14 | 64.1 |
| 3. ინდიანა* | 42 | 26 | 16 | 61.9 |
| 4. ბრუკლინი | 41 | 25 | 16 | 61.0 |
| 5. ჩიკაგო | 40 | 24 | 16 | 60.0 |
| 6. ატლანტა | 41 | 23 | 18 | 56.1 |
| 8. მილუოკი | 39 | 21 | 18 | 53.8 |
| 7. ბოსტონი | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 9. ფილადელფია | 41 | 17 | 24 | 41.5 |
| 11. დეტროიტი | 40 | 15 | 25 | 37.5 |
| 10. ტორონტო | 41 | 15 | 26 | 36.6 |
| 12. ორლანდო | 40 | 14 | 26 | 35.0 |
| 13. შარლოტი | 41 | 10 | 31 | 24.4 |
| 14. კლივლენდი | 42 | 10 | 32 | 23.8 |
| 15. ვაშინგტონი | 39 | 9 | 30 | 23.1 |

### დასავლეთი

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 41 | 32 | 9 | 78.0 |
| 2. კლიპერსი* | 42 | 32 | 10 | 76.2 |
| 3. სან ანტონიო* | 44 | 33 | 11 | 75.0 |
| 4. მემფისი | 40 | 26 | 14 | 65.0 |
| 5. გ. სტეიტი | 40 | 25 | 15 | 62.5 |
| 6. დენვერი | 43 | 25 | 18 | 58.1 |
| 7. იუტა | 41 | 22 | 19 | 53.7 |
| 8. ჰიუსტონი | 43 | 22 | 21 | 51.2 |
| 9. პორტლენდი | 41 | 20 | 21 | 48.8 |
| 10. მინესოტა | 38 | 17 | 21 | 44.7 |
| 11. დალასი | 42 | 18 | 24 | 42.9 |
| 12. ლეიკერსი | 41 | 17 | 24 | 41.5 |
| 13. საკრამენტო | 42 | 16 | 26 | 38.1 |
| 14. ნიუ ორლეანი | 41 | 14 | 27 | 34.1 |
| 15. ფინიქსი | 41 | 13 | 28 | 31.7 |

** - დივიზიონის ლიდერი*

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 29.2 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 29.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.3 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 25.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 23.0 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 20.7 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 20.1 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 19.7 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.3 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.1 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.0 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.0 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.9 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.8 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 10.7 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.5 |
| კარლოს ბუზერი (ჩიკ) | 10.0 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.7 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.2 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.3 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.6 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.3 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 2.0 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.9 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.9 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ჯეისონ კიდი (ნ-იორკ) | 1.9 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.8 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.5 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.2 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.1 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.1 |

# გასოლი იცვლება

როგორც თავის „ტვიტერზე“ ESPN-ის მიმომხილველმა **მარკ სპირსმა** დაწერა, „ლეიკერსი“ რამდენიმე გუნდთან განიხილავს ფორვარდ **პაუ გასოლის** გაცვლის შესაძლებლობას. თუმცა არც ერთმა გუნდმა არ გამოთქვა ესპანელ კალათბურთელთან მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმების სურვილი.

„ლეიკერსმა“ გასოლთან გამოთხოვება იმის გამო გადაწყვიტა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას აღარ სურს ზედმეტი თანხის გადახდა სახელფასო ბიუჯეტის ზედა ზღვრის დარღვევის გამო, გარდა ამისა, კალიფორნიული კლუბის ბოსებს 2014 წლისთვის ბიუჯეტის განტვირთვა უნდათ, რათა თამამად გავიდნენ თავისუფალი აგენტების ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ თავად გასოლმა ბოლო ინტერვიუში არ გამორიცხა გაცვლის შესაძლებლობა.

წლევანდელ სეზონში გასოლი საშუალოდ 12.7 ქულასა და 8.3 მოხსნას აგროვებს.

# ოკლაჰომა ერთპირო[illegible]

გუშინდელ დღემდე, რეგულარულ ჩემპიონატში ორი გუნდი იყო ისეთი, რომელსაც ათზე ნაკლები მარცხი ჰქონდა სეზონში - „ოკლაჰომა“ და „კლიპერსი“ პირველ ადგილს იყოფდნენ ერთნაირი მაჩვენებლებით - 32 მოგება და 9 წაგება. ახლა, ლოსანჯელესელთა აქტივში 10 წაგებაა და აქედან სამი - „გოლდენ სტეიტისგან“.

გუშინდელ მატჩში დიდი ბრძოლა გაიმართა. მარტო ბოლო მეოთხედში ლიდერი ხუთჯერ შეიცვალა, არადა, მესამე 12-წუთეულში „კლიპერსი“ 12:0 გაიქცა და წესით, ხელიდან არ უნდა გაეშვა კომფორტული უპირატესობა. მაგრამ „გოლდენ სტეიტს“ ჰყავს **სტივენ კარი**, რომელმაც ორი წუთის ინტერვალით სამი სამქულიანი ჩააგდო, ერთი წუთის შემდეგ კი დაამტკიცა, რომ არა მხოლოდ შესანიშნავი სნაიპერი, არამედ ბრწყინვალე გამთამაშებელია. მისი გრძელი პასით **ჯეკი** გაიქცა კონტრშეტევაში და „გოლდენ სტეიტი“ სირენამდე ექვსი წუთით ადრე ოთხი ქულით დაწინაურდა – 90:86.

იძულებითი ტაიმ-აუტის შემდეგ, სტუმრებმა იოლად დაიბრუნეს ლიდერობა 7:0 სპურტით, მაგრამ სწორედ ამ დროს, კარიმ მეოთხე სამქულიანი ჩააგდო, თანაც ეს ძალიან რთულ სიტუაციაში გააკეთა - ჯეკისგან მიიღო პასი (ამ დუეტმა მეოთხე მეოთხედში გუნდური 33 ქულიდან 26 ქულა მიითვალა) და მოუმზადებლად გაისროლა. მოკლედ, „კლიპერსისთვის“ წელს კარი მთავარი თავის ტკივილი გახდა - მცველმა სამ მოგებულ შეხვედრაში **ვინი დელ ნეგროს** გუნდს 82 ქულა ჩაუგდო. ბოლოს **დევიდ ლიმ** ჩააგდო სირენამდე წუთით ადრე, „გოლდენ სტეიტის“ უპირატესობა ექვს ქულამდე ავიდა და საკუთარი ადგილებიდან წამომხტარი გულშემატკივრები ბოლომდე აღარ დამსხდარან.

■ ■ ■

35 ქულა დააგროვა „შარლოტის“ გამთამაშებელმა **კემბა უოკერმა** „ჰიუსტონთან“ საშინაო შეხვედრაში, მაგრამ ეს მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „რაკეტებს“ ბოლო შვიდი მატჩიდან ყველა წაგებული ჰქონდათ და აუტსაიდერთან შეხვედრა ამ სერიის შეწყვეტის კარგი შესაძლებლობა იყო. **ჯეიმს ჰარდენმა** თამაშიდან საშინელი პროცენტით ისროლა (20-დან 5), სამაგიეროდ, შვიდი მოხსნა და ამდენივე პასი დააგროვა და რაც მთავარია, ხშირად აიძულებდა მეტოქეებს ჯარიმების აღებას. საჯარიმოს ხაზიდან ის გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა - 21-დან 19 ჩააგდო (ბოლო მეოთხედში 10-დან 10), რითაც მატჩის მთავარი გმირი გახდა. სწორედ ის იყო ბოლო მეოთხედში იმ გაქცევის სულისჩამდგმელი, რისი წყალობითაც „როკეტსმა“ შვიდქულიანი ჩამორჩენა გააბათილა და წინ გავიდა. ამის შემდეგ, „შარლოტის“ ზედიზედ მე-15 საშინაო წაგება ფაქტობრივად გარანტირებული იყო. ახლა, „ბობკეტსს“ შინ ხუთი წაგება დარჩა NBA-ის აბსოლუტურ ანტირეკორდამდე.

■ ■ ■

„ლეიკერსი“ 41 წუთის განმავლობაში თანაბრად ებრძოდა „ჩიკაგოს“, მაგრამ მატჩის ბოლოს ისევ შეექმნა პრობლემები. „ბულზის“ 14:4 გაქცევამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. ამ სპურტის მთავარი გმირი **მარკო ბელინელი** გახდა, რომელმაც ამ 14 ქულიდან რვა თავის ანგარიშზე ჩაიწერა, თანაც ორჯერ სამქულიანი ჩააგდო.

საერთოდ, შორეული ტყორცნები ჩიკაგოელებს შესანიშნავად გამოსდიოდათ – 17-დან 9 ჩააგდეს და ამით მოუგეს კალიფორნიელებს, რომლებიც ზედიზედ მეექვსედ დამარცხდნენ სტუმრად. ტყუილად არ ვწერდით გუშინ, რომ „ლეიკერსის“ კრიზისი **კობი ბრაიანტზეც** აისახა – მცველმა ექვსივე სამქულიანი მიზანს ააცილა, სულ კი 22-დან მხოლოდ შვიდი ბურთი ჩააგდო.

■ ■ ■

გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივარი „სან ანტონიომ“. სირენამდე ხუთი წუთით ადრე, **ნიკ იანგის** ზედიზედ ხუთი ქულით, „ფილადელფია“ შვიდ ქულას იგებდა. მაგრამ „სპურსი“ გამოცდილების ხარჯზე გამოძვრა ამ რთული სიტუაციიდან. დარჩენილ დროში „სიქსერზმა“ ათიდან ცხრა ტყორცნა ააცილა და მეტოქეს 15:3 გაქცევის საშუალება მისცა. „ფილადელფიას“ იმედები **ტონი პარკერმა** დაასამარა, რომელმაც ბოლო ექვსი გუნდური ქულიდან ხუთი თავის ანგარიშზე მიითვალა, რაც შეეხება მატჩის მთავარ გმირს, ის **ტიმ დანკანი** გახლავთ, რომელიც 24 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა და თან 17 მოხსნაც დააგროვა.



გოლდენ სტეიტი-კლიპერსი

**ფილადელფია-სან ანტონიო 85:90**

**17:25, 18:24, 29:22, 21:19**

**ფ:** ტერნერი (18+12 მოხსნა+7 პასი), ჰოიესი (16+6 მოხსნა+3 დაფარება), ჰოლიდეი (15+8 პასი+4 ჩაჭრა), ტ. იანგი (14+6 მოხსნა), ნ. იანგი (12).

**ს-ა:** დანკანი (24+17 მოხსნა+5 პასი), პარკერი (20+8 პასი), ლეონარდი (16+7 მოხსნა), სპლიტერი (10+12 მოხსნა).

**მემფისი-ინდიანა 81:82**

**27:26, 12:17, 24:22, 18:17**

**მ:** ელინგტონი (17), გეი (14+8 მოხსნა), რენდოლფი (13+7 მოხსნა), კონლი (13).

**ი:** უესტი (14+3 ჩაჭრა+5 დაფარება), ჰილი (13), ჯორჯი (12+10 მოხსნა+9 პასი), ჰიბერტი (10+5 მოხსნა+4 დაფარება).

**ნიუ ორლეანი-საკრამენტო 114:105**

**30:18, 34:21, 23:37, 27:29**

**ნ-ი:** ანდერსონი (27+6 მოხსნა), ვასკესი (19+7 მოხსნა+11 პასი), გორდონი (16), ამინუ (14+11 მოხსნა), დევისი (11+6 მოხსნა+3 დაფარება).

**ს:** კაზინსი (29+13 მოხსნა), ტომასი (20), ტ. ევანსი (16), აუთლო (10).

**შარლოტი-ჰიუსტონი 94:100**

**30:22, 26:23, 25:29, 13:26**

**შ:** უოკერი (35+5 პასი), სეშენსი (19+8 მოხსნა+5 პასი), უორიკი (10).

**ჰ:** ჰარდენი (29+7 მოხსნა+7 პასი), მორისი (21+8 მოხსნა), დელფინო (16), პარსონსი (14+7 მოხსნა+5 პასი), ბევერლი (10).

**ატლანტა-მინესოტა 104:96**

**18:31, 26:27, 26:19, 34:19**

**ა:** ჰორფორდი (28+10 მოხსნა+3 დაფარება), პარგო (16), კორვერი (14), სკოტი (11+7 მოხსნა), სმიტი (10+6 პასი), ტიგი (9+10 პასი).

**მ:** უილიამსი (17), ბარეა (14+7 პასი), კირილენკო (13+6 მოხსნა+5 პასი), კანინგემი (13), რიდნური (12+3 ჩაჭრა), სტიმსმა (11+5 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ბრუკლინი 85:88**

**24:26, 17:21, 27:18, 17:23**

**ნ-ი:** ენტონი (29+7 მოხსნა), სმიტი (16+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (15+6 მოხსნა), კიდი (11+6 ჩაჭრა), ჩენდლერი (7+11 მოხსნა).

**ბ:** ჯონსონი (25+5 პასი), უილიამსი (15+12 პასი+5 მოხსნა), ლოპესი (14+11 მოხსნა+4 დაფარება), ჰემფრიზი (11+13 მოხსნა).

**გ. სტეიტი-კლიპერსი 106:99**

**33:33, 20:19, 20:28, 33:19**

**გ-ს:** კარი (28+6 პასი), ჯეკი (18+6 მოხსნა+10 პასი), ტომპსონი (18), ლი (12+11 მოხსნა+6 პასი).

**კ:** გრიფინი (26+13 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), კროუფორდი (24), ბატლერი (19+5 მოხსნა).

**ჩიკაგო-ლეიკერსი 95:83**

**27:20, 20:20, 22:29, 26:14**

**ჩ:** ჰაინრიხი (22+7 მოხსნა+8 პასი), ბელინელი (15), ბუზერი (14+6 მოხსნა), ჰემილტონი (13), რობინსონი (11+3 ჩაჭრა), ბატლერი (10+8 მოხსნა), ნოა (6+13 მოხსნა+6 დაფარება).

**ლ:** ნეში (18+6 პასი), ბრაიანტი (16+5 პასი), გასოლი (15+12 მოხსნა), უორლდ პისი (12+8 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 დაფარება), კლარკი (12+8 მოხსნა).

**პორტლენდი-ვაშინგტონი 95:98**

**31:34, 20:16, 13:19, 31:29**

**პ:** ლილარდი (18+5 პასი), ოლდრიჯი (17+12 მოხსნა), მეტიუზი (17), ჰიქსონი (16+6 მოხსნა), ბატუმი (12+10 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა).

**ვ:** ნენე (24+9 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), უებსტერი (24+6 პასი), ოკაფორი (13+13 მოხსნა), ჯორ. კროუფორდი(13).

# ვარეჟაომ სეზონი დაასრულა



ანდერსონ ვარეჟაო

„კლივლენდ კავალიერზის“ ბრაზილიელ ცენტრს **ანდერსონ ვარეჟაოს** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბოლო დროს, კალათბურთელი საავადმყოფოში იმყოფება, სადაც ექიმები ებრძვიან მოულოდნელად წარმოქმნილ ფილტვის ემბოლიას.

იტყობინებიან, რომ უახლოეს რამდენიმე დღეს ვარეჟაო კლინიკაში გაატარებს, რის შემდეგაც, დაახლოებით სამი თვე სახლში იმკურნალებს ექიმების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ წლევანდელი სეზონი „კლივლენდის“ ერთ-ერთი ლიდერისთვის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ბრაზილიელის სამომავლო კარიერას, ამ მხრივ, ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

ვარეჟაომ რეგულარულ ჩემპიონატში 25 მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ 14.1 ქულა და 14.4 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„ჩიკაგო ბულზის“ მცველი **დერიკ როუზი**, რომელიც მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენით კურსს გადის, მალე რეაბილიტაციის ახალ ეტაპზე გადავა. ეს ეტაპი ითვალისწინებს სრულფასოვან ვარჯიშებს გუნდთან ერთად, - წერს ESPN.

ასეთი ოპტიმისტური ინფორმაციის მიუხედავად, „ჩიკაგოს“ მთავარი მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** ვერ ასახელებს როუზის მოედანზე დაბრუნების ზუსტ თარიღს. წინასწარი ინფორმაციით, შარშანწინდელი სეზონის MVP თებერვლის ბოლომდე ვერ დაბრუნდება მოედანზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სეზონი რეკორდით დაიწყო

ტრადიციულად, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ მორიგი სათამაშო დღის შემდეგ სამი ვარსკვლავი დაასახელა. ამჯერად, პირველი ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა „ანაჰაიმის" ფორვარდმა **დანიელ ვინიკმა**, რომელმაც „კალგარისთან" მატჩში (5:4) სამი ქულა (2+1) დააგროვა.

მეორე ვარსკვლავად აღიარეს „სენტ ლუისის" რუსი ფორვარდი **ვლადიმერ ტარასენკო**, რომელსაც ასევე სამი ქულა ჰქონდა. დებიუტანტმა შესანიშნავად დაიწყო ახალი სეზონი და ორ მატჩში უკვე სამი შაიბა და ორი საგოლე პასი აქვს.



ვლადიმერ ტარასენკო

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავს, ეს სტატუსი მიიღო „ოტავას" ფორვარდმა **კაილ ტარისმა**. მან დუბლი შეასრულა „ფლორიდასთან" მატჩში.

■ ■ ■

NHL-ის რეგულარული ჩემპიონატის პირველ სათამაშო დღეს დაფიქსირდა სარეკორდო ტელერეიტინგი ბოლო 11 წლის განმავლობაში.

კერძოდ, NBC-ის ტელეარხზე შაბათის მატჩების რეიტინგმა 2.0 შეადგინა და ეს რეკორდია რეგულარული ჩემპიონატისთვის 2000 წლის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შარშანდელი „ზამთრის კლასიკა", რომლის რეიტინგი 2.4-ზე მაღალი იყო.

**ბოსტონი–ვინიპეგი 2:1 (ბ)**

**1:1, 0:0, 0:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ტორნბურნი-1 (პოსტმა-1, სლეიტერი-1), 1:1 მარჩანდი-1 (სეგუინი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** სეგუინი (ბოსტონი), ველერი (ვინიპეგი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი).

**აილენდერსი–ტამპა ბეი 4:3**

**0:0, 3:0: 1:3**

**გოლები:** 1:0 გრაბნერი-1 (შტრაიტი-1, ნაბოკოვი-1), 2:0 მარტინი-1 (ტავარესი-1), 3:0 ოკსოპო-1 (ტავარესი-2, მოულსონი-1), 4:0 ულსტრიომი-1 (კ. ოკუანი-1, ჰამონიკი-1), 4:1 სან ლუი-3 (სტემკოსი-3, კონაჩერი-2), 4:2 პულიო-1 (კრომბინი-1, ა. ჰოლი-1), 4:3 სტემკოსი-1 (კონაჩერი-3, სან ლუი-2).

**ნეშვილი–სენტ ლუისი 3:4 (ბ)**

**2:2, 1:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 უილსონი-1 (ჰორნკვისტი-2, ელისი-1), 1:1 ტარასენკო-3 (მაკდონალდი-2, შატენკირკი-3), 1:2 მაკდონალდი-1 (ტარასენკო-1, შატენკირკი-4), 2:2 ფიშერი-1 (ერატი-1, ჰორნკვისტი-3), 3:2 ჰორნკვისტი-1 (ერატი-2, ფიშერი-1), 3:3 პიეტრანჯელო-1 (ტარასენკო-2, შვარცი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), სტინი (სტ. ლუისი).

**ტორონტო–ბაფალო 1:2**

**0:1, 0:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 ჰოჯსონი-2 (ერჰოფი-1, პომინვილი-4), 0:2 პომინვილი-1 (ვანეკი-4), 1:2 კადრი-2 (კოსტკა-2, ბოჟაკი-1).

**ოტავა–ფლორიდა 4:0**

**1:0, 1:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ტარისი-2 (ვირჩიოკი-2, ალფრედსონი-1), 2:0 ტარისი-3 (ლატენდრესი-1, ბენუა-1), 3:0 ო'ბრაიენი-1, 4:0 სილფვერბერგი-1 (სპეცა-1, მ. მიხალეკი-1).

**კოლამბუსი–დეტროიტი 3:4 (ბ)**

**0:0, 1:2, 2:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ლაშოფი-1 (სამუელსონი-1, კრონვალი-1), 0:2 ი. უაიტი-1 (ფრანცენი-1, დაციუკი-1), 1:2 ატკინსონი-1 (იოჰანსენი-1, დორსეტი-1), 2:2 ვიშნიევსკი-1 (ბრასარი-1, უმბერგერი-1), 3:2 პროსპალი-1 (ნიკიტინი-2, ტიუტინი-3), 3:3 დაციუკი-1 (კრონვალი-2, ზეტერბერგი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ბრუნერი (დეტროიტი).

**კალგარი–ანაჰაიმი 4:5**

**2:3, 1:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 გეტცლაფი-1 (ლიდმანი-2, პერი-1), 0:2 ს. კოივუ-1 (კოლიანო-3, ვინიკი-1), 0:3 ვინიკი-3 (სურეი-2, ს. კოივუ-3), 1:3 გლენკროსი-1 (ვიდემანი-1, ტანგეი-1), 2:3 ტანგეი-1 (იგინლა-1, გლენკროსი-1), 3:3 გლენკროსი-2 (კამალერი-1, ვიდემანი-2), 3:4 ვინიკი-4 (კოლიანო-4, ს. კოივუ-4), 3:5 გეტცლაფი-2 (პერი-2, პალმიერი-1), 4:5 სტემპნიაკი-2 (ბროდი-1, ჰორაკი-1).

**გია თვალაბეიშვილი**

### რაგბი. ექვსი ერი

# სენტ-ანდრე წინააღმდეგია

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფილიპ სენტ-ანდრე** კატეგორიული წინააღმდეგია, ექვსი ერის გათამაშებაში ქულათა ათვლის სისტემაში, პრემიალური ქულების დარიცხვა შეიტანონ. ამ ინიციატივით ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილე ქვეყნების ფედერაციებს მიმართეს.

ექვსი სარაგბო ქვეყნიდან პრემიალური ქულების შემოღების მომხრე მხოლოდ ერთია - ინგლისის რაგბის კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ „ლე ბლოს" თავკაცი ლა მანშის გაღმა რვა წელიწადი მუშაობდა მწვრთნელად, მაინც ამ იდეის წინააღმდეგია. თუმცა სენტ-ანდრეს მოსწონს, როცა იგივე სისტემა მსოფლიოს თასისა და სხვა საკლუბო ტურნირების მსვლელობისას მოქმედებს.

*„მომხრე ვარ, პრემიალური სისტემა მსოფლიოს თასის გათამაშებისა და საკლუბო შეჯიბრებების დროს მოქმედებდეს. მაგრამ, რადგან რაგბის ძველი სკოლის წარმომადგენელი ვარ, ვერაფრით შევეგუები იმავე სისტემის დანერგვას ექვსი ერის გათამაშებაში. წარმოუდგენელია, მაგრამ გუნდმა შეიძლება ყველა თამაში მოიგოს და ექვსი ერის გამარჯვებულად სხვა გამოცხადდეს, რადგან პრემიალური სისტემის გამო მეტ ქულებს დააგროვებს.*

*ამ შემთხვევაში თავს მოტყუებულად ვიგრძნობ. თუ ეს მოხდება, ტურნირის სული საბოლოოდ ჩაკვდება. რაგბიში იმიტომ მოვედი, რომ ბავშვობაში ხუთი ერის მატჩებს ვუყურებდი. მაშინ მთელი ყურადღება დიდ სლემსა და ხის კოვზზე იყო კონცენტრირებული და არა რაღაც პრემიალურ ქულებზე"* - განაცხადა 45 წლის სენტ-ანდრემ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# პომებს კვესიჩი და ბოთა დაემატებათ

შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან მატჩის წინ, ინგლისის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ორი ცვლილება განხორციელდა.

„ჰაინეკენის თასის" გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში სერიოზულად დაშავდნენ **ტომ ჯონსონი** („ექსეტერი") და **კალუმ კლარკი** („ნორსჰემპთონი"). მათ ნაცვლად „პომების" თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** „ვორსტერის" 20 წლის ფლანკერს **მეთ კვესიჩს** და „სარასენზის" მეორეხაზელ **მორის ბოთას** უხმო. ამ სამხრეთაფრიკელ მორაგბეს ახლახან ინგლისში სავიზო პრობლემები შეექმნა, თუმცა ინგლისის რაგბის კავშირმა დროულად მიიღო სათანადო ზომები და ეროვნული ნაკრების მორაგბეს ქვეყანაში ყოფნის უფლება მისცეს.

გერმანიაში დაბადებული კვესიჩი კი დებიუტანტია და დიდი იმედი აქვს, რომ ეროვნული ნაკრების კვართს აუცილებლად მოირგებს.

*„ფანტასტიკური განწყობა დამეუფლა, როცა ინგლისის ეროვნულ ნაკრებში გამოძახების შეტყობინება მივიღე. ძალიან კარგი შანსი მაქვს „პომების" კვართი მოვირგო. საამისოდ საჭიროა თავი ჩავლუნო და მუხლჩაუხრელად ვიშრომო. სხვაგვარად, ოცნება რეალობად ვერაფრით გადაიქცევა"* - თქვა მეთ კვესიჩმა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ლანკასტერმა გუნდში კიდევ ერთ მორაგბეს, „ჰარლიქვინზის" გარემარბ **უგო მუნის** უხმო, რომელსაც „ბარბაროსების" შემადგენლობაში თბილისში საქართველოს ნაკრებთან უთამაშია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ამბები

**ველოსპორტი**

## ოპრა ლენს ამხნევებს

ცნობილ ამერიკელ ტელენამყვან **ოპრა უინფრის** მიაჩნია, რომ **ლენს არმსტრონგს** კარგი შანსი აქვს იმისთვის, რომ ისევ გახდეს გმირი. მისი სიტყვებით, ლენსს ამისთვის შინაგანი რეზერვი გააჩნია. შეგახსენებთ, რომ სწორედ ოპრა უინფრის შოუში აღიარა ამერიკელმა ველომრბოლმა დოპინგის გამოყენება.

*„თუ ლენსი გამოავლენს ბრძოლის ჟინსა და ხასიათის სიმტკიცეს, მას შეუძლია ისევ გახდეს ეროვნული გმირი, - ამბობს სააგენტო AP-სთან კომენტარში ტელეწამყვანი. - ნებისმიერს აქვს შინაგანი რეზერვი და არმსტრონგი არ არის გამონაკლისი. ვფიქრობ, ის შეძლებს აღორძინებას. ახლა, მისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იქნება ის, თუ რა გზით გადაწყვეტს სიარულს".*

**ფორმულა 1**

## პაუგს შემცვლელი უპოვეს

ფორმულა 1-ის საჯინიბოს - „უილიამსის" 41 წლის თანამფლობელი **ტოტო ვოლფი** „მერსედესში" **ნორბერტ ჰაუგის** შემცვლელად გამოაცხადდა. ის გერმანულ საჯინიბოში აღმასრულებელი დირექტორის პოსტს დაიკავებს.

ვოლფი დატოვებს ანალოგიურ თანამდებობას „უილიამსში", მაგრამ ბრიტანული საჯინიბოს აქციათა პაკეტთან, რომელიც 2009 წლის ნოემბერში შეიძინა, უახლოეს მომავალში გამოთხოვებას არ აპირებს.

**კალათბურთი**

## ამერიკელი გამოიჭირეს

თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ „გალათასარაის" ამერიკელ ლეგიონერს, **დევიდ ჰოუკინსს** აცნობა, რომ ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ აღებულმა დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ჰოუკინსმა გუშინ გამოტოვა კლუბის ვარჯიში და მისი ბედი უახლოეს მომავალში გაირკვევა. თურქული პრესა იტყობინება, რომ ამერიკელის სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს, „გალათასარაი" კი ამტკიცებს, რომ აკრძალულ პრეპარატს შეიცავდა ტკივილგამაყუჩებელი, რომელსაც კალათბურთელი ზურგის არეში ტკივილის მოსახსნელად იყენებდა.

საინტერესოა, რომ ექვსი წლის წინ, ჰოუკინსმა იტალიაში ანალოგიური დარღვევისთვის მიიღო დისკვალიფიკაცია.

წელს, ამერიკელი ევროთასისა და თურქეთის ჩემპიონატის მატჩებში საშუალოდ 13.6 ქულას აგროვებს.

**გია თვალაბეიშვილი**

### ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **აფრიკის თასი** | |
| კოტ დ'ივუარი-ტოგო | 2:1 |
| ტუნისი-ალჟირი | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბრნო-ტრენჩინი | 3:3 |
| მატერსბურგი-მარიბორი | 1:1 |
| ადმირა-იჟლავა | 0:3 |
| შენიცა-ოლომოუცი | 1:0 |
| სიგმა-ჟილინა | 1:0 |
| ვენა-ვინერი | 2:0 |
| ზენიტი-შახტარი | 1:3 |
| ლეგია-არაუ | 4:2 |
| პადერბორნი-სტ. გალენი | 4:1 |
| ალტახი-აალენი | 3:4 |
| ატლანტასი-იაგელონია | 1:1 |
| უნიონი-ლოზანა | 4:2 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბლექბერნი-ბრაიტონი | 1:1 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ლეიტონი | 2:2 |
| ჰარტლპული-ბორნმუთი | 1:2 |
| ნოტსი-ოლდჰემი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| ალდერშოტი-ნორთჰემპტონი | 1:2 |
| **კონფერენცია** | |
| გრიმსბი-ჰაიდი | 2:0 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ასტონ ვილი-ბრედფორდი | 2:1 (1:3) |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვარეზე-ბრეშა | 3:2 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| იუვენტუსი-ლაციო | 1:1 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| სედანი-ლორიანი | 0:1 |
| ეპინალი-ნანტი | 1:1 პენ. 4:3 |
| ავენირი-ჰავრი | 0:3 |
| ვენდე-ტრუა | 0:5 |
| ვერტუ-ევიანი | 0:2 |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-დანდი იუნ | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ინტერი-ლაჰტი | 0:1 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 0:1 |

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **[illegible]** | |
| გალათასარაი-ულმი | 82:66 |
| **ევროჩელენჯი** | |
| გაზ მეთანი-კატაია | 84:82 |
| ხიმიკი-კრ. კრილია | 69:77 |
| ვეტნსპილსი-პინარი | 81:86 |
| ნორჩეპინგი-თოფასი | 84:82 |
| გრაველინი-პარიზი | 82:77 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| ჩილე-ავსტრალია | 32:23 |
| ჩერნოგორია-ს. კორეა | 27:30 |
| კატარი-ს. არაბეთი | პენ. 29:30 |
| არგენტინა-ალჟირი | 23:29 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ბარისი-სლოვანი | 2:4 |
| იუგრა-ლევ პოპრადი | 4:2 |
| ატლანტი-სპარტაკი | 5:2 |
| დინამო (მ)-სკა | 1:2 |
| დინამო (რ)-ლოკომოტივი | 1:2 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ოლიმპია | 2:3 |
| ვილახი-ზაგრები | 4:2 |
| გრაცი-ლინცი | 4:7 |
| ზალცბურგი-დორნბირნი | 5:4 (ბ) |
| ზნოიმო-ინსბრუკი | 2:3 |
| კლაგენფიურტი-ვენა | 0:3 |
| **დანია** | |
| ოდენსე-სონდერიისკი | 3:4 |
| ფრედრიკშავნი-კოპენჰაგენი | 7:1 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 2:1 |
| ოლბორგი-ესბერგი | 3:4 |
| **ნორვეგია** | |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 4:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-ჟილინა | 2:1 (ო) |
| პოპრადი-პიესტანი | 3:4 |
| სკალიცა-ნიტრა | 4:3 (ო) |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 3:4 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ტპს | 4:0 |
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 2:1 (ბ) |
| ლუკო-ჰამეენლინა | 4:2 |
| პელიკანსი-ილვესი | 5:2 |
| საიპა-კალპა | 0:3 |
| ტაპარა-ჰიფკ | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 3:2 (ბ) |
| სლავია-ვიტკოვიცე | 4:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ციურიხი | 1:5 |
| ლაგნაუ-ცუგი | 4:7 |
| ლუგანო-ბერნი | 2:1 |
| ფრიბურგი-დავოსი | 3:1 |

### TV პროგრამა

**23 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. შალკე-ჰანოვერი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. აიაქსი-ფეიენოორდი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ვერდერი-დორტმუნდი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ნიურნბერგი-ჰამბურგი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:45** ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. არსენალი-ვესტ ჰემი (LIVE).
**01:45** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-ზენიტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუთჰემპტონი-ევერტონი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მონპელიე-ტულონი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ფიურტი.
**22:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. სან ანტონიო სპურსი. დევიდ რობინსონი. I ნაწილი.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.
**14:20** სპორტ-NEWS.
**14:50** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი.
**16:50** სპორტ-NEWS.
**17:20** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. უდინეზე-ლივერპული.
**19:20** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ბოსტონი.
**21:20** NBA ACTION.
**22:20** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 14 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 13 | (წვიმა) |
| ბათუმი | 10 | 15 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 14 | (მზე) |
| ზუგდიდი | 5 | 12 | (მზე) |
| გორი | -1 | 11 | (წვიმა) |
| თელავი | 2 | 14 | (მზე) |
| სიღნაღი | 1 | 13 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 5 | (მზე) |
| ბორჯომი | -4 | 9 | (მზე) |
| მესტია | -5 | 3 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2265 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6677 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6425 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5231 |

ჩოგბურთი.



ელიო და ვენუსი

# ვენუსის ახალი შეყვარებული

## ამერიკელი ვარსკვლავი კოლუმბიელ მოდელს ხვდება

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** თავისი პრინცი იპოვა. 32 წლის ჩოგბურთელის რჩეული გახდა 23 წლის ლათინურამერიკელი მოდელი, სახელად **ელიო**.

წყვილი პირველად მაიამის პლაჟზე შენიშნეს. ჟურნალ People-ის ინფორმაციით, ვენუსი და ელიო 2012 წლის სექტემბრიდან ხვდებიან, როცა ნიუ იორკში აშშ-ის ღია პირველობაზე გაიცნეს ერთმანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ვენუსის ახალი სასიყვარულო ურთიერთობა დადებითად აისახება სპორტსმენის ჯანმრთელობაზე. საქმე ისაა, რომ დაახლოებით ნახევარი წლის წინ, ექიმებმა ვენუსს ე. წ. შეგრენის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს. ამ სენთან საბრძოლველად, უფროსი უილიამსი ვეგეტერიანელი გახდა.

თავის მხრივ, კოლუმბიელი ელიო პიზი გამოჩნდა ფრანგული Vogue-ის გარეკანზე ცნობილ მოდელ **ბრუკ შილდსთან** ერთად - ის **რასელ სიმონსის** ტანსაცმლის ხაზს უკეთებდა რეკლამას. ფოტოგადაღებების გარდა, ელიო ჩოგბურთის დიდი თაყვანისმცემელია. სანამ ვენუსი გამოჯანმრთელების გზას ადგას, კოლუმბიელი არ ტოვებს თავისი შეყვარებულის არც ერთ თამაშს და ანუგეშებს მას დასანანი წაგებების შემდეგ, რომელიც ასაკში შესული ვენუსის კარიერაში სულ უფრო ხშირი მოვლენა გახდა.

სხვათა შორის, ელიო არა მხოლოდ მოდელი, არამედ მოდელიორია და ის დაჰპირდა უილიამსს, რომ სპეციალურად მისთვის ტანსაცმლის ხაზს შექმნის.

ბიათლონი

# ლეგენდა მოღალატე ყოფილა

ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** ცოლს გაეყარა. მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი 40 წლის იტალიელ ბიატლონისტ **ნატალი სანტერს** დაშორდა, რომელიც ალბერვილის, ლილეჰამერის, ნაგანოს, სოლტ-ლეიკ-სიტისა და ტურინის ზამთრის თამაშების მონაწილეა. ბიორნდალენმა და სანტერმა ერთად ექვსი წელი იცხოვრეს.

განქორწინებასთან დაკავშირებით, მათ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს: *„უნდა ვაღიაროთ, რომ არ განხორციელდა მრავალი წლის განმავლობაში თანაცხოვრების სურვილი. წინ ცალ-ცალკე ცხოვრება გველის. მოვილაპარაკეთ, რომ ამ განცხადების გარდა, ამ თემაზე სხვა კომენტარს არ გავაკეთებთ. გთხოვთ, პატივი სცეთ და გაგებით მოეკიდოთ ჩვენს გადაწყვეტილებას“.*

იტალიური ინტერნეტგამოცემა Wintersport-news-ის ინფორმაციით, ბიორნდალენი სანტერს ცნობილ ბელარუს ბიატლონისტთან **დარია დომრაჩოვასთან** რომანის გამო დაშორდა. ნორვეგიელსა და ბელარუსს შორის სასიყვარულო ისტორია გასულ წლის ზაფხულში, ავსტრიის კურორტ ობერტილაჰში დაიწყო, სადაც ნორვეგიელი ისვენებდა, ხოლო ბელარუსის ბიატლონისტთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებას გადიოდა.



ბიორნდალენისა და სანტერის ქორწილი

ავსტრალიის ღია პირველობა

# მარიას რეკორდი და შეწყვეტილი სერია

გუშინ, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო. მამაკაცთა და ქალთა ბადეში თითო ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა...

მამაკაცთა მეოთხედფინალური პროგრამა ესპანური დერბით იხსნებოდა, რომელშიც **დავიდ ფერერი** და **ნიკოლას ალმაგრო** წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. წინა ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა აშკარად ფერერის მხარეს იყო - ის 12:0-ს უგებდა თანამემამულეს.

გუშინ, ალმაგროს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამ სერიის შეწყვეტა. და პირველი ორი სეტი ბრწყინვალედ ჩაატარა. პირველში ფერერს საერთოდ არ ჰქონდა ბრეიკ-პოინტი, მეორეში კი ორი ასეთი შანსი მიიღო, მაგრამ ნიკოლასმა ეს საფრთხე მოიგერია.

კომფორტულად ვითარდებოდა ალმაგროსთვის მესამე პარტია. მეშვიდე გეიმში მან ბრეიკი გაიფორმა და მალე მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. და სწორედ ამ დროს წარდგა მაყურებლის წინაშე ნამდვილი ალმაგრო, რომელსაც არ შეუძლია გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ნიკოლასმა მეტოქეს ჯერ საპასუხო ბრეიკის საშუალება მისცა, შემდეგ კი ზედიზედ ორი გეიმი აილო.

მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მეოთხე სეტში ხდებოდა. ნიკოლასი ოთხჯერ ახერხებდა ბრეიკს და მომენტალურად კარგავდა თავის მოწოდებას, მათ შორის 5:4-ზე და 6:5-ზე. ტაი-ბრეიკზე კი მან ფეხი დაიზიანა და მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მეხუთე სეტში ნიკოლასი ტრავმის გამო პრაქტიკულად ვერ დარბოდა და დავიდმა მშვიდად დაასრულა მატჩი თავის სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალშიც ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა ერთი მოთამაშის უპირატესობაზე მეტყველებდა, თუმცა **ტომაშ ბერდიხს** 12-დან ერთი მატჩი მოგებული ჰქონდა **ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის**.

სერბმა ორი დღით ადრე ურთულესი მატჩი ჩაატარა **სტანისლას ვავრინკას** წინააღმდეგ - მეხუთე სეტი 12:10 მოიგო. ასე რომ, თუ ნოვაკი ვერ მოასწრებდა მეოთხედფინალისთვის აღდგენას, ეს ტომაშისთვის შანსი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ სერბს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მან თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და პირველი სეტი 28 წუთში მოიგო. მეორე პარტია სხვაგვარად განვითარდა. ჯოკოვიჩმა შეცდომების დაშვება დაიწყო და ბერდიხმა პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

მაგრამ მეტის მისაღწევად ჩეხს ოსტატობა არ ეყო. მესამე პარტია ძალიან ჰგავდა პირველს - ისევ 28 წუთი და ისევ 6:1. მეოთხე სეტისთვის ბერდიხს დაღლა დაეტყო. მან მეტოქეს პარტიის დასაწყისში ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა, რის შემდეგაც, ნოვაკს მხოლოდ საკუთარი მოწოდების შენარჩუნება სჭირდებოდა. 5:4-მდე სერბმა თავის გეიმებში მხოლოდ ერთი ქულა წააგო. მეათე გეიმში ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ჯოკოვიჩმა მეოთხე მატჩბოლზე ეისით დაასრულა მატჩი.

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღე **ნა ლისა** და **აგნიეშკა რადვანსკას** მეოთხედფინალით იხსნებოდა. ეს ჩოგბურთელები კვირა-ნახევრის წინ, სიდნეის ტურნირის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და პოლონელმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო ორ სეტში. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ლიმ იცის რადვანსკას წინააღმდეგ თამაში, რასაც ამტკიცებდა შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი, როცა ჩინელმა სამჯერ მოუგო პოლონელს, თანაც ორ-ორ სეტში.

ეს მატჩი რომ დაძაბული გამოვიდოდა, საწყის გეიმშიც გამოჩნდა, რომელიც 15 წუთი გაგრძელდა. თამაშის თანაბარი ხასიათი ბოლომდე შენარჩუნდა. ვერც ერთი ჩოგბურთელი ვერ ახერხებდა ერთზე მეტი გეიმით წინ გასვლას. რადვანსკას სეტზე ჩაწოდების საშუალება ჰქონდა, მაგრამ 5:4-დან ზედიზედ სამი გემი წააგო.

პირველ პარტიაში წარმატებამ ჩინელს დამაჯერებლობა შესძინა. მართალია, ის 0:2 ჩამორჩა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ხუთი გეიმის აღებით 5:2 დაწინაურდა. მატჩზე ჩაწოდებისას ლი ოდნავ ანერვიულდა და რადვანსკას ორი ბრეიკ-პოინტი მისცა, მაგრამ ამ მნიშვნელოვან მომენტში პოლონელი შეცდომებით დაეხმარა მეტოქეს საბოლოო გამარჯვების მიღწევაში.

ასე შეწყდა რადვანკას 13-მატჩიანი მოგებათა სერია. მან პირველად წააგო 2013 წელს და ისევ ვერ შეძლო ავსტრალიის ღიაზე მეოთხედფინალზე შორს გასვლა.

ნა ლის მეტოქე ნახევარფინალში რუსულ დერბიში ირკვეოდა. **მარია შარაპოვამ** და **ეკატერინა მაკაროვამ** შარშანაც ამ ეტაპზე ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ და მაშინ მარიამ მოიგო. მაკაროვას წელსაც არ ჰქონდა წარმატების შანსი, რადგან შარაპოვა ბრწყინვალედ გამოიყურება. მან დაამყარა ავსტრალიის ღია პირველობის რეკორდი - საწყის ხუთ მატჩში მხოლოდ ცხრა გეიმი წააგო. წინა რეკორდი **მონიკა სელეშს** ეკუთვნოდა, რომელმაც ნახევარფინალამდე 12 გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

გუშინ, შარაპოვას ოდნავ გაუჭირდა თამაშში შესვლა და მაკაროვამ წინ გასვლის შანსი მიიღო, მაგრამ ის ორმაგმა შეცდომებმა დაალალატეს, რის გამოც ორი თავისი მოწოდება წააგო. ამასობაში, მარიამ ალღო აუღო თანამემამულის თამაშს და ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია უპირატესობა - 6:2, 6:2.

**1/4 ფინალი**

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:1, 4:6, 6:1, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10) 4:6, 4:6, 7:5, 7:6(4), 6:2.

**ქალები**

**ნა ლი (ჩინ, 6)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4) 7:5, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 19) 6:2, 6:2.



მარიამ ისევ დამაჯერებლად მოიგო

ამბები

## ისნერი დევისის თასზე იქნება

დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების კაპიტანმა **ჯიმ კურიემ** მერვედფინალისთვის შემადგენლობა დაასახელა. ამერიკელებს 1-3 თებერვალს ელით შეხვედრა ბრაზილიის ნაკრებთან.

აშშ-ის რიგებში მიწვეულია **ჯონ ისნერი**, რომელმაც ტრავმის გამო ავსტრალიის ღია პირველობა გამოტოვა. მის გარდა, კურიემ შემადგენლობაში მიიწვია **სემ კუერი** და ძმები - **ბობ და მაიკ ბრაიანები**.

ამერიკისა და ბრაზილიის შეხვედრა ქალაქ ჯექსონვილში (აშშ) გაიმართება.

## ლისიცკის ახალი მწვრთნელი

გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** გამოაცხადა, რომ თანამშრომლობა დაიწყო ცნობილ მწვრთნელ **რიკარდო სანჩესთან**.

*„ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ ჩემს გუნდს შეუერთდა რიკარდო სანჩესი. მოუთმენლად ველოდები მასთან თანამშრომლობის დაწყებას“*, - დაწერა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე 23 წლის გერმანელმა.

სანჩესი ადრე რუს **ნადია პეტროვასთან** მუშაობდა, რომელთან თანამშრომლობა ავსტრალიის ღია პირველობის წინ შეწყვიტა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608